ბ.ლ. ჟღენტი

შემოწმებულია 1948 წ.

# მამია გურიელი

/ ცხოვრება და შემოქმედება /.

1940 წელი.

# შესავალი

მე-19 საუკუნის დამდეგიდან ქართველი ხალხის ცხოვრება და კერძოდ ქართული ლიტერატურის განვითარება რუსეთის ცხოვრებასა და ლიტერატურის განვითარებას გაჰყვა, მას მჭიდროდ დაუკავშირდა, მისი გზით ევროპულ კულტურასაც ეზიარა. აქედან იწყება ჩვენი ლიტერატურის ახალი ხანა. ამ ხანის პირველ პერიოდში, რომელიც დაახლოებით 1845 წლამდე გრძელდება, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შედეგად რუსეთის გზაზე დამდგარი, აღმოსავლური კულტურით გამსჭვალული, ფეოდალური არისტოკრატია, თავისი დამახასიათებელი ფსიქო-იდეოლოგიით, შეეჯახა გარეშე ძალას- ბიუროკრატულ რუსეთს. ამ შეჯახების ნიადაგზე ვიღებთ ხსენებული სოციალური კლასის, თუ წოდების, იდეოლოგიურ კრიზისს, რაც ლიტერატურაში რომანტიზმის განვითარებით აღინიშნა.

ქართულ ლიტერატურაში ამ სტილის დამკვიდრებელი ალ. ჭავჭავაძეა, მის გამგრძელებლად გრ. ორბელიანი გვევლინება. ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში კი მოცემული გვაქვს რომანტიული ლირიკის უმაღლესი ფორმა. ნ. ბარათაშვილის გენიამ შესძლო ქართველი ერის ულაჯობის მწვავე ფორმებში განცდა, კლასიური ტრაგედიის ერთგულ და ზოგადკაცობრიულ ტრაგედიამდე აიყვანა. რომანტიული პოეზიის უდიდესი წარმომადგენლის,- ნ. ბარათაშვილის,- შემდეგ, რომელმაც ეს პოეზია ჩვენში უმაღლეს საფეხურამდე აიყვანა, რომანტიული ლირიკა დაცემისაკენ უნდა წასულიყო და ახალი ელემენტები უნდა შესულიყო პოეზიაში.

მეორე პერიოდი ახალი ქართული ლიტერატურისა დაახლოებით 1845 წლიდან იწყება და გრძელდება 90-იან წლებამდე.

ეს პერიოდი მდიდარი სოციალ-ეკონომიური და იდეოლოგიური ძვრებით ხასიათდება. პირველ პერიოდში მომხდარ აჯანყებების ჩახრჩობის შემდეგ, ქართველი ხალხის საპროტესტო გამოსვლები მეფის რუსეთის მართველობისა და საკუთარი ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ კვლავ გრძელდება.

საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ /განსაკუთრებით 1864 წლის რეფორმის შემდეგ/, თავადაზნაურობა დეგრადაციის გზაზე დააყენა. დაცემის გზაზე მყოფ ქართველ თავადაზნაურობაში ვამჩნევთ ახალ დიფერენციაციას. ქართველი თავადაზნაურობის მოწინავე ნაწილისათვის /საშუალო და ღარიბი ფენა/ კაპიტალისტური განვითარების მიმართულება ცხადი და უდაო შეიქნა. ისინი ცდილობენ ალღო აუღონ ფერცვლილ ცხოვრებას და გამონახონ მასთან საერთო ენა. მათი მიზანია "პატრონყმური, მემამულური მეურნეობის ნელ-ნელა გადაზრდა ბურჟუაზიულში, იუნკრულში" /ლენინი/. თავადაზნაურობის ეს ფენა / "თერგდალეულები"/ ლიტერატურაში ავითარებს კრიტიკულ რეალიზმს. "თერგდალეულების" საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლამ ახალი მიმართულებით აამოძრავა ქართული ლიტერატურა და აზროვნება. ახალმა თაობამ საზოგადოებრივ დევიზად გაიხადა ილ. ჭავჭავაძის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი, -

" მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.."

ძირითადში "თერგდალეულები" გამომხატველნი არიან ლიბერალური თავადაზნაურული ფსიქო-იდეოლოგიის, მაგრამ მათთვის ხშირად დამახასიათებელია რადიკალურ-დემოკრატიული მოტივები, განსაკუთრებით ბატონყმობის საკითხში და ნაციონალურ-გამანთავისუფლებელ მოძრაობაში.[1]

მეორე ნაწილი თავადაზნაურობისა /უფრო შეძლებული მემამულენი/, განაგრძობს ძველი მსოფლმხედველობის, წყობისა და წესების უპირატესობის აღიარებას. იცავს ძველ ლიტერატურულ ტრადიციებს, ანვითარებს გადაგვარებულ რომანტიზმს.

ამგვარად, ახალი ქართული ლიტერატურის განვითარების მეორე პერიოდში ძირითადი ლიტერატურული მიმართულება რეალიზმია. 50-იან წლებში განვითარებულ რეალიზმს, 60-იან წლებში ამტკიცებენ "თერგდალეული" მწერლები, ხოლო პერიოდის დასასრულს ამ ლიტერატურული სტილის გამომხატველნი არიან ხალხოსანი მწერლები. პარალელურად ამ ძირითადი მიმართულებისა, ქართული ლიტერატურის მთლიან ცხოვრებაში, ამ პერიოდის გასწვრივ მიმდინარეობს რომანტიული ლირიკის დაცემა. ვახ. ორბელიანი, მამია გურიელი, გრ. აბაშიძე და სხვანი.

ჩვენი შრომა მონოგრაფიული ხასიათისაა. მამია გურიელის ცხოვრებასა და შემოქმედებას ვიხილავთ ურთიერთკავშირში, ცხოვრების ცალკეული მომენტების შესწავლისას, ვარკვევთ პოეტის იდეურ-შემოქმედებით მხარეს. ვითვალისწინებდით რა მარქსისტული კრიტიკის მოთხოვნილებას, გზადაგზა შემოქმედების ფორმის საკითხსაც შევეხეთ.

---

1/ პროფ. მ. ზანდუკელი. ახალი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის პრობლემა. /თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები. ტ.7/.

ილია ჭავჭავაძე სწერდა: "უფროს-ერთი ადამიანი ისე გაივლის ხოლმე თავის ცხოვრების გზასა, ისე დაჰლევს ხოლმე თავის სიცოცხლეს, რომ ერთხელაც არ ჩაახედებს თავის თვალს გულში, იმის გამოსარკვევად თუ,- რისთვის ვიყავ, რისთვისა ვარ და რა გამიკეთებია. ესე მიდის და ილევა ცხოვრება ათასისა და ათი-ათასისა. მარტო ათასში ერთი თუ იქნება იმისთანა, რომ ამ ხვედრს არ ექვემდებარებოდეს და თავის-თავი განსაკითხველად თავის-თავისავე წინაშე დაეყენებინოს, ანუ, როგორც რუსთაველი იტყოდა, გაეთავისწინებინოს". 1/

ჩვენმა პოეტმა "თავის-თავი განსაკითხველად თავის-თავისავე წინაშე დააყენა" და ამგვარად განსაზღვრა საკუთარი პოეტური შემოქმედების ღირებულება:

" არც მინდა გავხდე მე დიდ პოეტად,
სადიდებლად მრთელის ხალხისა,
ან ემსახურებდე ნათლისა სვეტად
დამჭკნარის ენის სამშობლოისა.
მწადიან მხოლოდ, თქვენს მუშაობას
შევუერთო სუსტი თუ რომ მაქვს ძალი,
აგებ მომავალს შთამომავლობას
დახვდეს ჩემ მიერ ნაცკეპნი კვალი,
რომ პირუტყვებრივ მუცლის ძღებაში
არ გაჰქრეს ფუჭად მრთელი ცხოვრება
და ჩვენის ერის საყდრის გებაში
ჩემგანაც ჩნდეს ერთი ქვის დაშენება".

მამია გურიელმა შესძლო თუ არა ამ მიზნის განხორციელება,- პირუთვნელი მკითხველი წინამდებარე მონოგრაფიის წაკითხვისას დაინახავს.

---

1/ "ივერია". 1887 წ. N 234

## თავი I.

გურიელთა გენეალოგია. გურიის სამთავროს უკანასკნელი დღეები. პოეტის მშობლები: დავით ვახტანგის-ძე გურიელი და ეკატერინე ნიკოლოზის-ასული დადიანისა. გურიელის სასახლის ფეოდალური წყობა. პოეტის ბიძა — პეტრე დადიანი.

გურიელების გვარი უძველესია მთელ საქართველოში. პირველი გურიელი, რომელსაც იხსენიებს ისტორია, ცხოვრობდა მე-13 საუკუნეში, რუსუდან მეფის დროს.

"მე-15 საუკუნეში, - წერს დ. ბაქრაძე, - გურიელებიდან ცნობილ ისტორიულ პიროვნებად გვევლინება კახაბერი, რომელიც ქართული ცნობების მიხედვით, გარდაიცვალა 1483 წელს. კახაბერის წარმოშობას უკავშირებენ ვარდანიძეთა გვარს, რომელიც თამარ მეფის დროიდან ფლობდა სვანეთის საერისთავოს. გიორგი ბრწყინვალის მეფობისას, მე-14 საუკუნეში, ვარდანიძეს გადაეცა გურია, ხოლო სვანეთში მის მაგივრად გელოვანი დასვეს". 1/

გურიელთა გენეალოგიური შტოს აღდგენა შესაძლებელი ხდება მე-16 საუკუნიდან.

---

1) Д.БАКРАДЗЕ. Археологическое путешествие по Гурии и Аджаре. стр.99-100.

## გურიელთა გენეალოგია.



მე-19 საუკუნის დამდეგს გურიის მთავრად ითვლებოდა ახალგაზრდა თავადი მამია გურიელი /მე-5/. რადგანაც მამია პატარა იყო, სამთავროს განაგებდა ბიძა მამიასი, ქაიხოსრო გურიელი. დიდ გასაჭირში იყო ჩავარდნილი ამ დროს გურია. ერთის მხრივ გარეშე მტრები- ოსმალები აოხრებდნენ, ხოლო მეორეს მხრივ ადგილობრივი თავადები, რომელნიც ოპოზიციაში ედგნენ მთავარს. დიდი ბრძოლისა და წვალების შემდეგ, ქაიხოსრომ ალაგმა უკმაყოფილო და ურჩნი თავადნი, ძალით დაანგრია და აიკლო სოფლები- ასკანა, ლიხაური, ლანჩხუთი. მოსპო მეამბოხეთა ბუდეები და, ამის შემდეგ, გადასცა მამია გურიელს მართვაგამგეობა შედარებით მტკიცე საფუძვლებზე დაყენებული. ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც იმერეთმა დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, როდესაც სოლომონ მეფემ მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა /1804 წ. 25 აპრილს/. იმპერატორი ალექსანდრე I-ის მიერ დამტკიცებული იქნა ტრაქტატი იმერეთის სამეფოს შემოერთებისა. ამ ტრაქტატის ძალით გურია, როგორც წინათ ყოფილი ნაწილი იმერეთის სამეფოსი, რუსეთს უნდა შეერთებოდა. 1811 წელს მამია გურიელი ღებულობს რუსეთის ქვეშევრდომობას. რწმუნებაში იგი ფიცს სდებს: "არაოდეს არ მივენდობი სხვა ვინმე მმართველს, არამედ დავემორჩილები ხელმწიფეს- მართმადიდებელის ბოძს, რომელიც არის დღეს აღმართული დედამიწაზე, ე.ი. ალექსანდრე პირველს".

ამავე წელს, ოქტომბერში, საქართველოს მთავარმართებლის ტორმასოვის შუამდგომლობით, მამიას ებოძა ანას ორდენი პირველი ხარისხისა, ხმალი შემკული ძვირფასი ქვებით

და დროშა რუსეთის იმპერიის ღერბით. კნეინა მარინე გურიელისას /მამიას დედა/ 2000 მანეთი დაენიშნა პენსია.

ისტორიული ცნობების თანახმად, მამია გურიელი თავის სამთავროში ვაჭრობის განვითარებასა და ევროპული კულტურის გავრცელებას ყოველმხრივ ხელს უწყობდა. "ყმაწვილთა სასწავლებლად, ვკითხულობთ ერთ ისტორიულ დოკუმენტში, გააჩინა მამია გურიელმა ოზურგეთში შკოლა, ვაჭრობისა და აღებმიცემობის განსამხნევებლად ერთს თავის სოფელთაგანში დააწესა მან მარინობა /დღესასწაული წმიდის მარინასი/ და გააჩინა იქ თარმანკა, რომელზედაც შემდგომ მოვიდოდნენ ხალხნი მთელის სამთავროთგან, შეხალისებულნი სხჳა-და-სხჳა სანახავებითა, რომელსაცა წარმოადგენდნენ ხოლმე მოლდავითგან ანუ ვალახიითგან მოწოდებული ფიგლიარები და მეკომედიები; ზნეობათა განსანათლებლად დააწესა მან თავისს სახლში საღამოს შესაქცევი შეკრებილება ასამბლეების მსგავსად /ესე იგი ბალისა/, გამოიყჳანა ევროპიითგან მუზიკის მასწავლებელი, შეადგინა თავისი მუზიკა და ჩვეულებად გააჩინა ევროპიული ტანცები, ესე რომ ძვირად იპოება ეხლა მის დროის თავადი ვინმე ანუ თავადთა ქალი, რომელმაც კარგათ არ იცოდეს ევროპიული ტანცაობა, და ესრეთ მცირედ ჟამში გურია აღვიდა უფრო უმაღლეს განათლების ხარისხზედ, ვიდრე სხვანი კავკაზიის აქეთ მდებარენი თემნი". 1/

1816 წელს მამია გურიელმა, დაბა ნაგომარში, თავისი დედის-მარინეს სახელობის დღეს, 14 ივლისს, დააწესა ბაზრობა, სადაც დიდძალი ხალხი იყრიდა თავს. ქართველ ვაჭართა გარდა, აქ ტრიალებდნენ სტამბოლიდან, ტრაპიზონიდან და

-----------------

1/ "მოგზაური" 1902 წ. № 1-2.

სხვა ქალაქებიდან ჩამოსული ვაჭრები. ადგილობრივ მცხოვრებ-ლებს შინამრეწველობის საგნები გამოჰქონდათ გასაყიდად. ჩვენი პოეტის ერთ ხელნაწერში ასეთი ცნობაა დაცული: "რიცხვი აქ შემოყრილის ხალხისა ხშირად აღვიდოდა 10000 სულამდის. სადაც ამდენი სული შეიყრება მხოლოდ იმ აზრით, რომ ივაჭრონ, უეჭვე-ლია გაიმართება რიგიანი ვაჭრობა; მართალია მცხოვრებლებს რომლებიც შეადგენენ ყოველთვის უმრავლეს ნაწილს ამგვარ თავ-ყრილობაშიდ ეკლებათ ფულები, მაგრამ ნაცვლად მისა მოჰქონდათ მათაც ნივთიერება გამოსაცვლელად ნივთიერებაში". 1/

მამია გურიელის მართველობა დღეგრძელი არ გამოდგა. 1820 წ. იმერეთის ამბოხებამ ბოლო მოუღო. მთავარმართებელმა ყველა შეამბოხე თავადაზნაურს მამულები ჩამოართვა და სახა-ზინოდ ჩარიცხა. მამია გადაჰყვა ამის ჯავრს /იგი გარდაიცვა-ლა 1827 წ./.

აღნიშნული ისტორიული სიტუაციის მოწამე გახდა პოეტის მამა დავით, იგივე დათა, ვახტანგისძე გურიელი. დავით გურიელი დაიბადა 1802 წელს, 1 ნოემბერს. იგი გურიის ფეო-დალური არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო. დავითი ბიძაშვი-ლია ზემოთმოხსენებული უკანასკნელი მთავრის მამია სიმონი-ძისა. რომ მთავრობა არ მოსპობილიყო, იგი უნდა დამჯდარიყო გურიის ტახტზე მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა გურიელი მამია მეხუთეს მემკვიდრე- დავითი / 1839 წ./.

დავით გურიელის პიროვნების შესახებ საწინააღ-მდეგო გადმოცემები არსებობენ. იონა მეუნარგია, რომელიც მწერლის ბიოგრაფიის შედგენისას, ფაქტების შემოწმებასა და შეჯერებას ზუსტად იცავდა, წერს: "ყველანი, ვისაც კი ვკითხე

----------------

1/1/ "ნაგომრის ქალაქობა", ავტოგრაფი 196.

რამე დავით გურიელის პიროვნებაზე, ერთხმად დასახავენ მას: ზნეობითად- კაცად მშვიდობიანად, კეთილად, თავ-მდაბლად, ზრდილად, ღვთის მოშიშად". [1]

საწინააღმდეგო ცნობას იძლევა ზ. ჭიჭინაძე. მისი მოწმობით: "1854 წ. დათა გურიელი ცნობილია ვითარცა უდიერი მებატონე და მტანჯველი ყმათა. იგი ავიწროებდა არა მარტო თავის ყმებს, არამედ სხვებისასაც. საეკლესიო გლეხებს ძალით თვით იყმობდა ხოლმე. ყმებისთვის დევნა მისთვის ძლიერ იაფი და ადვილი ყოფილა. ამან ბევრს ალაგას დაარბია და დააწიოკა, არა მარტო საბატონო ყმები, არამედ საეკლესიო ყმანი და თვით მღვდელნიც-კი". [2]

დავითი ქართული კლასიკური ლიტერატურის ძეგლებს, განსაკუთრებით "ვეფხის-ტყაოსანს" და "თამარიანს", გატაცებით სწავლობდა /პოეტის რძლის-ნინო გურიელის ცნობა/. გარდა მწიგნობრობისა პოეტის მამა გამოირჩეოდა მუსიკალური ნიჭით. იგი კარგი მომღერალი და მგალობელი ყოფილა. ჩინებულად უკრავდა საზს, ჭიანურს, ქნარს, ჩონგურსა და დაირას. თანამედროვეთა გადმოცემით, დავითი ფიზიკურადაც გამოჩენილი ვაჟკაცი ყოფილა. ფეოდალური ცხოვრებისათვის დამახასიათებელ შეჯიბრებებსა და ტურნირებში /ცხენოსნობა, სროლა, ჯირითი, გულადობა/ შეუდარებელი ჭაბუკი. ყველა ამასთან გარეგნულად მოხდენილი და ლამაზი. აკი თვით პოეტიც სწერს:

"ლომსა ჰგავს სწორედ მხარ-მკერდით,
აპოლონ ღმერთსა თვალათა".

საქართველოში მეფის რუსეთის მართველობის დამკვიდრებით გამოწვეული გურიის სამთავროს გაუქმება, ფეოდალური

---

1/ ი. მეუნარგია. მამია გურიელი / ფაზელი/.

2/ ზ. ჭიჭინაძე. საქ. ბატონ-ყმობის ფაქტიური მასალები ც. 4.

არისტოკრატიის ეკონომიური და პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა, უცხო ქვეყნის უხეში პოლიტიკა, გურიის ფეოდალურ წრეებს ოპოზიციონურად რაზმავდა. ამ წრეებთან იყო დაკავშირებული დავით გურიელი.

უკანასკნელი მთავრის გარდაცვალების შემდეგ /1827 წ./, მემკვიდრე დავითის მცირეწლოვანების გამო, ერმოლოვის განკარგულებით, გურიის სამართავად შეიქმნა ე.წ. თავადთა საბჭო. საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა მთავრის ქვრივი სოფიო ნულუკიძე. წევრებად: ვახტანგ ერისთავი, გიორგი ერისთავი, დავით მაჭუტაძე, სიმონ გუგუნავა, გიორგი ნაკაშიძე და გიორგი თავდგირიძე.[1] ასეთმა პოლიტიკამ შეზღუდა მთავრის ქვრივის უფლებები, გამოიწვია უკმაყოფილება. 1828 წ. 2 ოქტომბერს, სოფიო მცირეწლოვანი შვილებით, 14 წლის ეკატერინე და 10 წლის დავითით, გურიის თავადაზნაურებთან ერთად, გადავიდა ოსმალეთში, იმ იმედით, რომ ოსმალეთი სძლევდა რუსეთს და დაუბრუნებდა წინანდელ დამოუკიდებლობას. დავით გურიელი თან გაჰყვა მთავრინას საზღვარგარეთ. გურიის ემიგრანტთა იმედები არ გამართლდა. ოსმალეთი დამარცხდა /ამ წელს რუსეთსა და ოსმალეთს ომი ჰქონდათ ერთმანეთთან/. მთავრის ქვრივი, სოფიო, გარდაიცვალა ტრაპიზონში 1829 წ. 7 სექტემბერს. მისი ამალა დარჩა უცხო ქვეყანაში ულუკმაპუროდ და უნუგეშოდ. ჩამოერთვათ გურულ ემიგრანტებს ადგილმამული და ტრაპიზონის კონსულის საშუალებით გამოეცხადათ უმაღლესი წყრომა იმპერატორი ნიკოლოზ პირველისა. დავით გურიელი ამ მიზეზების გამო, ოთხი წელიწადი ცხოვრობდა მცირე აზიის სხვადასხვა ქალაქებში. იგი რამდენიმეჯერ წარუდგა ხონთქარს, როგორც წევრი გურიის მთავრის ოჯახისა.

---

1/ А К Т Ы , ТОМ VIII.

1832 წელს, როცა რუსეთის იმპერატორმა ამნისტია მიანიჭა მთავრინასთან წასულ გურულებს და მიწები დაუბრუნა მათ, დავით გურიელი დაბრუნდა სამშობლოში. მან დაიჭირა ის ადგილი, რომელიც დაცარიელებული იყო მთავრის ოჯახის გურიიდან წასვლით. ამ დროს გურიის "სამთავროს" ტერიტორია მე-19 ს. დასაწყისთან შედარებით შეზღუდული იყო. მიუხედავად ამისა, დავით გურიელის სახლი შეიქნა ერთი უპირველესთაგანი მთელ დასავლეთ საქართველოში. ცბიერი და შორსმჭვრეტელი მეფის ნაცვალი, მ. ვორონცოვი, ცდილობდა დავით გურიელის გადმობირებას, ხშირი სტუმრობითა და ვაჟიშვილისთვის მფარველობის გაწევის აღთქმით.

სასახლე დავით გურიელისა ძველი ფეოდალური ტრადიციის მიხედვით იყო დაწყობილი. გურიაში მთავრის ტიტულის გაუქმების შემდეგაც, გაბატონებულ სოციალურ კლასს, თუ წოდებას, წარმოადგენდა ფეოდალური არისტოკრატია /საერო და სასულიერო/. აზნაურთა უმრავლესობა ფორმალურად იყვნენ აზნაურებად აღიარებულნი. პირადად და მამულით დამოკიდებულნი იყვნენ თავადებსა და ეკლესიაზე. გამონაკლისს წარმოადგენდნენ ტახტის აზნაურები, რომელნიც ყოველმხრივ თავისუფალნი იყვნენ. ყველაზე დაბალი სოციალური ფენა იყო გლეხობა, რომელიც ექვემდებარებოდა სახელმწიფოს, ეკლესიასა და მებატონეებს. სახელმწიფო გლეხები შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ. ისინი არ იყვნენ დამოკიდებულნი მებატონეებზე, უშუალოდ სახელმწიფოს უხდიდნენ ნატურალურსა და ფულად გადასახადს. ასრულებდნენ სხვადასხვა ბეგარას.

დავით გურიელის განკარგულებაში იმყოფებოდნენ სხვადასხვა კატეგორიის გლეხები: მსახურები, ყმები და

მოჯალაბეები. მსახურთ თავიანთი სოციალური მდგომარეობით აზნაურთა და გლეხთა შორის შუათანა ადგილი ეჭირათ. ეკონომიურად შედარებით ძლიერნი იყვნენ. მსახურთა ერთი ჯგუფი საჯინიბოს განაგებდა, მეორე- საბაზიერო საქმეს, მესამე- სალაროს. ზოგს სტუმრის მიღება და მომსახურეობა ევალებოდა. მსახურთა ერთი ნაწილი შეადგენდა ამალას, რომელიც ყოველთვის თან დაჰყვებოდა დავით გურიელს. ყმები წარმოადგენდნენ ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს გლეხობისას, რომელთაც კისრად აწვათ მთელი ჩაგვრა და ეკონომიური ექსპლოატაცია. მოჯალაბეები იყვნენ ყმების ყველაზე დაბალი ფენა . მოჯალაბის მთელი ოჯახი ცხოვრობდა გურიელის სასახლესთან და სავსებით ემორჩილებოდა მის ძალაუფლებას.

დავით გურიელი საკმაოდ დიდი ფეოდალი იყო. თანამედროვეთა გადმოცემით, მას ჰყოლია 80 აზნაური, თავისი ყმებით მისი მიწები ზღვამდის, 20 ვერსის მანძილზე, ყოფილა გადაჭიმული. მთელი გურიის სანაპირო და აქედან ნავების ბაჟის შემოსავალი გრიგოლეთსა და მალთაყვას მის ხელში იყო. ამასთან ერთად, დავითის ბიძაშვილი, ისიც დავით გურიელი, გადავარდნილი იყო და მისი ადგილმამულით ჩვენი პოეტის მამა სარგებლობდა.

დავით გურიელის სასახლეში სტუმრობა გამოულეველი ყოფილა. პურ-მარილით სახელგანთქმული დავითი ყოველთვის ცდილობდა სტუმრისათვის კარგი პატივი ეცა. თანამედროვეთა გადმოცემით, ყველა დღე მის ოჯახში ორი ძროხა იკვლოდა და ისიც ძლივს ჰყოფნიდა სასახლეში მოფრიალე ხალხს. თავადნი: გუგუნავები, თავდგირიძენი, მაჭუტაძენი და ნაკაშიძენი. აზნაურნი: ჭყონიები, კიკნეიშვილები, თავართქილაძეები, ებრალიძენი და სხვა. უცხო სტუმრები, მისული აფხაზეთ-სამეგრელო-იმერეთიდან: შერვაშიძეები, დადიანები- აი, ვინ შეადგენდნენ "სადარბაზო ერს".

გამოუღეველმა ღხინმა და ხელგაშლილმა ცხოვრებამ დავით გურიელის შეძლება თანდათანობით დასცეს და გაანადგურეს. მთავარი მიზეზი გურიელის ეკონომიური დაცემისა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება შეიქნა. 40-50 წლებში გურიაში საკმაო სისწრაფით ვითარდება სავაჭრო-სასაქონლო მეურნეობა. "გურიამ, რომელიც შავ ზღვას ეკრა და სამეგრელოსთან ერთად ოსმალეთის მოსაზღვრე ტერიტორია ეჭირა, სამოქალაქო ცხოვრებისა და ვაჭრობის წარმატებით გაუსწრო შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირების ყველა სხვა დანარჩენ მცხოვრებლებს". 1/

ოფიციალური ცნობების თანახმად, გურიაში, ამ დროს, არსებულა 12-ოე ბაზარი, სადაც ვაჭრობდნენ მთელი წლის განმავლობაში, დაახლოებით 20.000 მანეთის რაოდენობით. 2/

ბუნებრივია, სავაჭრო კაპიტალის განვითარებამ მძლავრად დაუწყო ძირი ბატონყმურ სისტემაზე დამყარებულ ნატურალურ მეურნეობას. უმთავრესად ამ პროცესის "მსხვერპლი" გახდა დავით გურიელის ეკონომიური ავლადიდება.

აღსანიშნავია, რომ ვორონცოვის ცბიერული პოლიტიკის მიუხედავად, დავით გურიელი, ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგაც, ოპოზიციაში უდგას მეფის რუსეთის მთავრობას. ასე მაგალითად, ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში, რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების დროს / 1853-54 წ.წ./, იგი ყოველმხრივ ცდილობს ხელი შეუწყოს ოსმალეთს. თავისი ქვეშევრდომებით იბრძვის ოსმალთა მხარეზე, რუსეთის წინააღმდეგ. 1854 წლის 28 მაისს, სოფელ ნესას მიდამოებში მომხდარი შეტაკების დროს რუსის ჯარისა და შერიფ-ბეის რაზმს შორის, დაიჭრა კიდეც. 3/

---

1/ Акты, том IX, стр.660.

2/ ც. არქივი. ქართლ-კახეთ-იმერ. სახაზინო პალატის ანგარიში 1841-45 წ.

3/ Акты, том X, стр.798.

დავით გურიელი გარდაიცვალა 1856 წელს, 19 ნოემბერს, დასაფლავებულია სოფელ ჯუმათში.

პოეტის დედა, ეკატერინე, იყო ქალი სამეგრელოს უკანასკნელი მმართველის ნიკოლოზ დადიანისა. ნიკოლოზი გახლდათ სამეგრელოს სამთავროს მმართველი მემკვიდრე დავითის მცირეწლოვანების დროს. მას ჰქონდა შედგენილი სამთავროს მართვა-გამგეობის წესრიგი. ზოგიერთი ცნობით ნიკოლოზი გამოჩენილი მწიგნობარიც ყოფილა. 1/

ეკატერინეს ჰყავდა სამი ძმა: პეტრე, გიორგი და ბესარიონი. ბიძებთან პოეტს კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. პეტრე დადიანმა 11 წლის მამიას საჩუქრად მშვენიერი ლურჯა გაუგზავნა. პოეტმა უძღვნა ლექსი "ფიქრი ყრმობისა". პეტრე ფეოდალურ განცხრომაში ატარებდა დროს. მის შესახებ კ. მორიზონი სწერს: "ტანისამოსი, ქცევა-სიარული, ყოველი მიმოხვრა და სიტყვა-პასუხი პეტრესი ერთმანეთთან იყო შეხამებული, და ეს კაცი არამც თუ წამოსადეგი, ლამაზიც იყო. რომელ მეფესთანაც უნდა ყოფილიყო სასახლეში, პეტრეს ყველგან შენიშნავდენ, ყველას თვალში მოუვიდოდა. გარშემო სულ მუდამ ეხვივნენ დართულ-დაკაზმული თავად-აზნაურები. ერთ მიმინო ეჭირა ხელში, მეორეს ბატონიშვილის საყვარელი მწევრები- "მერცხალა" და "ფრიალა" დაჰყავდა. დიდკაცურ ქცევასა და თავის დაჭერაში ვერავინ შეედრებოდა. ცოტათი ცხვირში იცოდა ლაპარაკი, აუჩქარებლად, სასიამოვნო მობოხო ხმით, სვენებ-სვენებით, მწიგნობრულად და დიდკაცურად. ქართულის მწერლობისა დ საღმრთო წერილის ზედმიწევნით მცოდნედ ითვლებოდა. ამასთან, მეტის-მეტი ღვთის მოშიში იყო და არ შეიძლებოდა მარხვა გაეტეხნა როდისმე. საკმარისი იყო, ერთხელ გენახნათ მისი გაწმინდავებული სახე,

------ -------------

1/ "საქ. კალენდარი" 1892 წ.

რომ თქვენი გული მოეგო.

ხელმწიფე რომ ტახტზე ავიდა, ეკატერინე დედოფალს პეტერბურგში წაჰყვა: ნახა იმპერატორი, პეტერბურგი, მოსკოვი და ამის შემდეგ უფრო გადიდკაცდა, ღირსება და ფასი მოემატა ქვეშევრდომთა თვალში, ხშირად მოჰყვებოდა ხოლმე, როგორ იმოგზაურა რუსეთში, როგორ გაიცნო მინისტრები და სხვ." 1/

პეტრე მოსწრებული სიტყვის კაცი ყოფილა. მოხუცებულობაში იგი, თურმე, ულვაშებს იღებავდა. ადრინდელმა კავკასიის მეფის ნაცვალმა ჰკითხა:

- კნიაზო პეტრე, რისგან არის ულვაშები შავი გაქვს და თმები თეთრი.
- თქვენო ბრწყინვალებავ, მიახსენა პეტრემ, ეს თმები ოცი წლით უფრო ხნიერი არის ამ ულვაშებზე და რა გასაკვირველია. 2/

ეკატერინე მამასა და ძმებსავით კარგი მწიგნობარი ქალი იყო. გონებამახვილი, ჩინებული მოლაპარაკე. ი. მეუნარგიის ცნობით, "როცა ქუთათურმა ქალებმა "ქართული ბიბლიოთეკის" გამოცემა დაიწყეს, მამიას დედამ ამ ჟურნალის მოთავეს კაცო ჭყონიას ასულს მადლობის წიგნი მისწერა ისეთის ენით, რომ მისი ბარათი დიდხანს დაჰქონდათ ხელი-ხელ წასაკითხავად, როგორც შესანიშნავი წერილი".

ეკატერინე დიდ ყურადღებას აქცევდა ქართულ მწიგნობრობასა და კულტურას. მას კარგად ჰქონდა შესწავლილი სასულიერო და საერო მწერლობა. "ვეფხის-ტყაოსანი" ზედმიწევნით იცოდა. როცა მამიასთან ლიტერატორები შეიკრიბებოდნენ, გაუგებარი და ძნელად ასახსნელი ადგილების განმარტებას ეკატერინე იძლეოდა. 3/ იგი მეტად გულკეთილი, ზრდილი და სანდომიანი

---

1/ კ. ბოროზდინი. სამეგრელო .გვ. 244-45.

2/ "ივერია" 1886 წ. N 11

3/ გ. ეგებუაძის ცნობა.

ქალი ყოფილა.მისმა დედობრივმა სიყვარულმა პატარაობიდან-ვე დაატყვევა პოეტის გული. ღრმა პატივისცემით,მოკრძალებით და სიყვარულით იხსენიებს მამია დედას.გადაიკითხეთ მისი წერილები და ნახავთ როგორი სიყვარულის ცეცხლი ანთია პოეტის გულში.აბინიდან მამია სწერს: "გაკოცებ ურიცხვს ღვთისმშობლის გულსა და ხელებზე ჩემო მანუგეშებელო დედა, ღმერთს ვსთხოვ მიცოცხლე დედა სანამ არ მომეწყინოს,ასე მიტომ ვსწერ,რომ შენს სურვილს არ ვენდობი,კიდევაც ათას გაკოცებ.შენი უმორჩილესი მონა შვილი მამია". 1/

ეკატერინე გარდაიცვალა 1884 წ., 7 წლით ადრე პოეტის გარდაცვალებისა.

---

1/ პოეტის კერძო მიწერ-მოწერა და სხვა უცნობი ხელნაწერები დაცულია ქუთაისის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმში.

## თ ა ვ ი II.

მამია გურიელის ბავშვობა და ყრმობა. გამდელი ჯანვერდი. სასახლის ყოფაცხოვრება. მამია მოწაფე. მთავარმართებელი ვორონცოვი. თბილისის საზოგადოება. სამხედრო სამსახურში განწესება. რეფორმის შემდეგ, კაპიტალიზაციის შედეგად, გურიის ფეოდალური არისტოკრატიის ეკონომიური დაცემა. "ფეოდალური ბუდეების" რღვევა. მამიას პირველი ლექსები.

მამია დაიბადა 1836 წ. 16 იანვარს, სოფელ ლესას. ი. მეუნარგიის, ალ. ხახანაშვილისა და სხვათა ცნობებით, იგი დავითის პირველი შვილი ყოფილა. მაგრამ ეს არ შეეფერება სიმართლეს. პოეტის არქივში დაცულია უბის წიგნაკი /ავტოგრაფი/, საიდანაც ირკვევა, რომ მამია მეორე შვილი იყო. აქ ვკითხულობთ: "პირველი ვაჟი იყო დედამა ჩემის შობილი 1835 წ. რომელსაც ერქვა სახელად "ნიკო". პაპის სახელი დედის მხრით, ხოლო გარდაიცვალა 1836 წ."

თანამედროვეთა ცნობებით, დიდი ზეიმით შეხვედრია გურიელის სასახლე მემკვიდრის ძეობას. თოფის სროლა, საჩუქრების გაცემა, სიმღერა და გალობა მთელი დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ახალდაბადებული ბებიამისმა აიყვანა აღსაზრდელად. პოეტის ბებია, ვახტანგ გურიელის ცოლი, ზაალ ორბელიანის ქალი იყო. მისი სურვილით დაერქვა ბავშვს მამიკონი, შემდეგში მამიად გადაკეთებული. სიკვდილამდე ორბელიანის ქალს შვილიშვილი თავის მზრუნველობის ქვეშ ჰყოლია.

პატარა მამიკონს დედამ ძიძად მიუჩინა სასახლეში მსახურის ჯორბენაძის ცოლი, რომელმაც ძალიან შეიყვარა ბავშვი /პოეტის სიკვდილის შემდეგ მონაზვნად აღიკვეცა/.

ეკატერინე დადიანის ქალმა თავისი შვილები ძიძებს დაზრდევინა. ელეონორა გურიელისა /მამის რძალი/ და ივდითი თავდგირიძის /მამის დისწული/ ცნობებით ეკატერინე "პირველად ძიძებს სახლში მოაყვანიებდა და რამოდენიმე თვეს ბავშვს თავის თვალის წინ აზრდევინებდა, მაგრამ მერე კი ძიძას შინ გაატანდა გაზრდილს და რამდენისამე წლით დაარჩენდა იმასთან, იმიტომ რომ ამბობდა: გლეხისას გაზრდილი დიდი კაცის შვილი ზომიერი ხასიათის კაცი გამოდგებაო, უფრო მრთელიც იქნება და კარგი მებატონეცო, რადგან მისი ძიძის და ძიძის მეზობლის შვილებს ნახავს ღარიბებს, შიმშილებს და გაჭირვებულებს და ამით გამოცდილი, თითონ გულმოწყალე მებატონე შეიქნებაო".

შეიძლება ეჭვი შევიტანოთ ამ განცხადების გულწრფელობაში და საწინააღმდეგოთ წარმოვიდგინოთ საქმის ვითარება: ეკატერინე შვილებს აძიძავებდა იმიტომ, რომ მათი აღზრდა არ ჰნებავდა, რადგან გართული იყო განცხრომასა და არისტოკრატიულ ცხოვრებაში. მაგრამ ეს არ სცვლის საქმის ვითარებას. ობიექტურად, ძიძის ოჯახში ყოფნა, გლეხის შვილებთან ამხანაგობა, მათთან თამაში, მათ წრეში ტრიალი, დადებითად მოქმედებდა ჩვენი პოეტის განწყობილებათა ჩამოყალიბებაზე. "ძიძაობა" და ყმაწვილის სოფელში გაზარდა, დამახასიათებელი ჩვეულება იყო ქართველი არისტოკრატიისათვის. შეიძლება გადაჭარბებული იყოს, მაგრამ დამაფიქრებელია აკ. წერეთლის განცხადება: "არ შემიძლია, არ გამოვტყდე, რომ, თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაზარდული და გლეხების შვილებთან ვიზრდებოდი".[1]

------ ------ --- ---

1/ აკ. წერეთელი: "ჩემი თავგადასავალი".

მამია გურიელის გენეალოგია.

გურიელი როსტომი (ცხოვრობდა 1564წ.)

გურიელი გიორგი II (XVI საუკ.)

გურიელი ვახტანგი (ცხოვრობდა 1583წ.)

გურიელი ქაიხოსრო (1658წ.)

გურიელი გიორგი III (1684წ.)

გურიელი მამია III (1717წ.)

გურიელი გიორგი IV (1726წ.)

გურიელი გიორგი V (1744წ.)

გურიელი ვახტანგი (1788წ.)

გურიელი დავითი (1802–1856წ.წ.)

მამია

მამის რამდენიმე და-ძმა ჰყავდა. ყველა ისინი გლეხების ოჯახში იზრდებოდნენ, დაკავშირებულნი იყვნენ ათეული გლეხის ოჯახთან. შეუძლებელია ბავშვობის დროს ამხანაგთან ერთნაირ პირობებში იზრდებოდე და მისდამი სიახლოვის, კეთილი განწყობილების, გრძნობა არ შეგრჩეს.

1841 წელს გარდაიცვალა პოეტის ბებია, ზაალ ორბელიანის ქალი. რამდენიმე წლის განმავლობაში ბავშვი გამდელის მზრუნველობის ქვეშ იზრდებოდა. ჯანვერდი /ასე ეძახდნენ გამდელს/ ნამდვილი დედა შეიქნა მამიასათვის. ბავშვი ძლიერ შეეთვისა მას. ჯანვერდის სიყვარული დიდხანს ათბობდა პოეტის კეთილშობილურ გულს. ი. მეუნარგია სწერს: "თუ მამია პოეტია და არა უბრალო მოშაირე და ლექსების მწერალი, როგორც უმრავლესობა ჩვენის მოლექსეებისა და თუ, როგორც ძველად ამბობდნენ "პოეტები იბადებიან" /poeta nascuntur/, ჯანვერდის ამ პოეტის ნიჭის დაბადებაში წილი აქვს. ჯანვერდის აუჩქარებელის სიტყვით ნაამბობი ზღაპრები იმ საზოგადოებაში, საცა ყოველი კაცი მიუწვევლის სხაპა-სხუპით ლაპარაკობს, მამიას გონებას ატყვევებდა და მისს ნორჩს გამოხატულებაში შეუნიშნავად ანოყიერებდა ნიადაგს, საცა შემდეგში უნდა ამოსულიყო და გაშლილიყო საუკეთესო პოეტური ძალა გულისა".

ვფიქრობ, ი. მეუნარგია გადაჭარბებულად აფასებს ჯანვერდის სადგომში პოეტის გადაყვანის ფაქტს. რადგან აქ მამიას ნორჩი ფანტაზია ფეოდალურ ყოფაში მოექცა. ჯანვერდის სადგომში პატარა მამიას საკუთარი დარბაზი ჰქონია, საკუთარი ამალაც ჰყოლია. ამალიდან, ზოგს მისი დასუფთავება ევალებოდა, ზოგს ტანისამოსის ჩაცმა, ზოგს- სუფრის გაშლა და საუზმის მორთმევა, ზოგიც მერიქიფობას ეწეოდა და ა.შ. ბუ-

ნებრივია ასეთი დამოკიდებულება არა თუ შეუწყობდა ხელს, არამედ შეაფერხებდა ბავშვის ნორმალურ აღზრდას.

6-7 წლის მამიას კარის ეკლესიის მღვდელმა, გიგინეიშვილმა, დააწყებინა ხუცურის სწავლა- ლოცვანი, ჟამნი და შემდეგ- მხედრული. 13 წლამდე მამია სკოლის გარეშე. ყრმობის წლები ტყუილაუბრალოდ ეღუპება. ფეოდალურ-პატრიარქალური ყოფა აფერხებს ბავშვის აღზრდის საქმეს. "დარბაზის ერისა" და შინაყმების გავლენის ქვეშ მყოფი ყმაწვილის მახვილი გონება ყველაფერს ხარბად ისუნთქავს.

როგორც აღნიშნული გვქონდა, დავით გურიელის სახლი ერთი პირველთაგანი იყო მთელ დასავლეთ საქართველოში. სტუმრის პატივისცემა, პურ-მარილი, ქეიფი, გართობა, ვარჯიში, ქებული იყო მის ოჯახში. გართობას, რასაკვირველია, ფეოდალურ-რაინდული ხასიათი ჰქონდა. ბურთაობა, ჯირითი, ნადირობა, დროსტარების აუცილებელ ფორმებს წარმოადგენდნენ გურიელის სასახლეში. პოეტი ერთ-ერთ ლექსში ამგვარად მოაგონებს თავის ძმას, ჯაბას, წარსულ ამბებს:

" მალთაყვას მხეცთა საკლავად თოფი ნიშანზე გიწყვია;
ველური ხარის თავები ქორბუდის რქოებით გიწყვია;
ზოგსა ურიგებ მხლებელთა, ზოგი შინ საძღვნოდ გიწყვია, -
კარგს მიჯნურთათვის შორსა სდებ, გული ვისდამი გიწყვია.
....
გსურს, ნადირობ, შეექცევი, დროს ატარებ სანატრელად,
დარდიმანდობ, ლაციცობ ტურფა ქალთა სალხენელად;
ხან სევდისგან გასართობლად, მოედანზე სარბეველად
შავსა მიჰგვრის შავი ზანგი მას უცხოსა საჭვრეტელად".

/ ჯაბას. 1857 წ./

საღამოს კვლავ იკრიბება "დარბაზის ერი". იმართება ცეკვა, სიმღერა, თამაში. ქალები ნაზად მღერიან, დათა გუგუნავა /სიმონ გუგუნავას, "თამარიანის" გამლექსავის, მამა/ მომხიბვლელად უკრავს ჩონგურს. დამსწრენი მოსწრებული სიტყვებით, ზმებით და რუსთაველის ლექსებით, ამეტყველდებიან. ენამჭევრობს სამანთალა ჭყონია /გურიელის ოჯახთან დაახლოებული აზნაური/: "საღამოს თავ-შეყრილები

ერთს ვატარებდეთ ნებითა,
თავად-აზნაურთ წვლილები
თქვენთანვე შემოკრებითა.
ზმებს, მოსწრებულებს, ლექსებსა
ერთმანეთს სწრაფად ვესროდეთ;
რუსთაველის ნაანდერძებსა
ზეპირად ვიმეორებდეთ".

/დედასთან მიწერილი თბილისიდგან. 1873 წ./.

ღვინით შეზარხოშებულნი ყანწით ეჯიბრებიან ერთმანეთს. "ალავერდი-იახშიოლ" განუწყვეტლად ისმის. ლხინი და ღრეობა ბოლოვდება ჩხუბით. ასეთ ატმოსფეროში იმყოფებოდა მამია გურიელი 10-13 წლამდე. ეს გარემოება უარყოფითად მოქმედებდა პოეტის გონებრივ და ფსიქიურ განვითარებაზე.

1848 წ. მამია მიჰყავთ ოზურგეთში. პოეტის მამა ცნობილ პიროვნებად ითვლებოდა გურიაში. ამიტომ პოლკოვნიკმა არსენიევმა კმაყოფილებით აიყვანა თავის ოჯახში საცხოვრებლად მამია. არსენიევის ცოლს უნდა ესწავლებია მისთვის რუსული წერა-კითხვა. მამიამ ორი წელი დაჰყო არსენიევებთან. ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ შეითვისა რუსული ენა, შეეძლო დაუბრკოლებლად გიმნაზიაში შესასვლელი გამოცდების ჩაბარება.

1851 წ. 1 იანვარს გაიხსნა ქუთაისის გიმნაზია. მამია შედის ამ სასწავლებელში, სადაც დაჰყოფს 1853 წლამდე. ჩვენ არა გვაქვს უტყუარი ცნობები, თუ როგორ სწავლობდა იგი აქ /ხსენებული გიმნაზიის არქივში ამის შესახებ არავითარი ცნობა არ აღმოჩნდა/. პოეტის ძმის, ნინო გურიელის, მოწმობითა და ი. მეუნარგიას გადმოცემით, მამია გიმნაზიაში კარგად სწავლობდა. 1853 წელს პოეტი გაჰყავთ გიმნაზიიდან.

მთავარმართებელი ვორონცოვი ორი წლით ადრე /1851 წ./, ესტუმრა დავით გურიელს მალთაყვას. ცბიერ დიპლომატს სურდა გურიელის გადმობირება, მისი გადაქცევა მეფის რუსეთის ერთგულ მსახურად. ვორონცოვმა შესთავაზა დავითს უფროსი ვაჟის გაგზავნა თბილისში, მისი მფარველობის ქვეშ. დავითმა სიამოვნებით აღასრულა. 1853 წელს, ქუთაისის გიმნაზიიდან გაყვანილი, მამია თბილისში ამოჰყოფს თავს. მოუთმენლად ელოდება მთავარმართებლის განკარგულებას.

თბილისის კულტურულ ცხოვრებას ამ დროს ცოცხალი გამოცოცხლება ეტყობა. გიორგი ერისთავის მეთაურობით იწყებს მუშაობას ქართული თეატრი. მისივე რედაქტორობით გამოდის "ცისკარი". გონიერი და შორსმჭვრეტელი ვორონცოვი ცდილობს უმტკივნეულოდ განახორციელოს ქართველთა "სულით გარუსების" პოლიტიკა. ამაში მდგომარეობდა ვორონცოვის "კულტურტრეგერული" მოღვაწეობის მთავარი შინაარსი. ჩვენი პოეტის ნორჩი ფანტაზია ყველაფერს ხარბად ეწაფება, ახარებს ლიტერატურულ-თეატრალური ცხოვრების გამოცოცხლება. პოეტი ემიჯნება ქართველი არისტოკრატიის იმ წრეს, თუ ფენას, რომელსაც ილია ჭავჭავაძე "აჩრდილში" შემდეგნაირად

ახასიათებს: "გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან,
მთავრის ღიმილზე-პატიოსნებას,
და დაქანცულ ბორკილზე სცვლიან
თავის მამულის თავისუფლებას".

თბილისში მამია ცოტახანს რჩება. 1853 წელს, პირველ ნოემბერს, ვორონცოვს მოუვიდა ბრძანება ოსმალეთთან ომის გამოცხადების შესახებ. მამია განწესებული იქნა ქართული გრენადერების პოლკში, უნტეროფიცრად.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს /1853 წ./ უმთავრეს საბრძოლო ხაზებს წარმოადგენდნენ ახალციხისა და ალექსანდრე-პოლის მხარე. რუსის ჯარი იმარჯვებდა ორივე ხაზზე. ახალციხის მხარეში მოქმედებდა გენერალი ანდრონიკაშვილი, ალექსანდრეპოლისაში- გენერალი ბებუთოვი. ამ წელს გრენადერების პოლკი შეადგენდა ალექსანდრეპოლის აქტიური ნაწილს. იგი ექვემდებარებოდა გენერალ ბებუთოვს. ბებუთოვმა, სტრატეგიული მოსაზრებით, პოლკიდან შექმნა ორი საბრძოლო ნაწილი. პირველის მეთაურად დანიშნა გენერალი კიშინსკი, მეორის- გენერალი მუხრანბატონი. მამია გურიელი უკანასკნელის ხელქვეით მოქმედებდა.

ოსმალთა არმიის მთავარსარდალმა, რეის ახმედ ფაშამ, ბაშკადიკლართან 1853 წლის 19 ნოემბერს, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა რუსის ჯარს. მსხვერპლი ორივე მხრივ დიდი იყო /რუსებმა დაჰკარგეს 1300 კაცამდე, ოსმალებმა-1500 კაცი/. ოსმალო დამარცხდა. ჩვენი პოეტი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ამ ბრძოლაში. ამავე წლის 23 ნოემბერს, დაჯილდოებული იქნა საპატიო ნიშნის ორდენით. 1/

---

1/ ხელნაწერი № 39- Полный послужной список Кутаисского Конно-Иррегулярного Полка. Капитана Князя Гуриели.

მამაცი მებრძოლის სახელი მოიხვეჭა მამიამ 1854 წ.24 ივნისის შეტაკების დროს კურუკდართან და მიიღო პოდპორუჩიკობა.

1855 წ. კავკასიის მთავარმართებელი მურავიოვი ცდილობს გამწვავებული მდგომარეობა ცოტათი შეანელოს, რადგან აფიქრებს რუსეთ-ოსმალეთის კონფლიქტში ინგლისისა და საფრანგეთის ჩარევის საშიშროება / უკანასკნელნი დაინტერესებულნი იყვნენ სტამბოლის ხელში ჩაგდებით/. მურავიოვი ცბიერი ტონით მიმართავდა ოსმალებს: " 22 წლის წინათ, როცა ღალატით იყო გარემოცული სულთანი მახმუდი, როცა მეამბოხე მუხამედ ალი ფაშა ემუქრებოდა სატახტო ქალაქს, ხოლო თქვენი ეხლანდელი მეგობრები- ინგლისელები და ფრანგები, აძლევდნენ მას სტამბოლსა და ოსმალოს შვილთა მემკვიდრეობას, როცა ოსმალეთი იღუპებოდა და ყველა გულცივად უყურებდა ამას, ვინ გამოგიწოდათ თქვენ დახმარების ხელი? ამბოხებისა და ბოროტების მტერმა, განსვენებულმა იმპერატორმა ნიკოლოზმა.

ამის შემდეგ ჰქონდა ოსმალეთს უფლება ეჭვი შეეტანა იმპერატორის სიტყვაში? ეხლა თქვენ აღარა ხართ თქვენი მიწის მფლობელნი. ვინ გაძლევთ ბრძანებებს? ინგლისელები და ფრანგები. ვინ ასრულებენ?—მუსულმანები. მაგრამ უცხოელები, რომლებმაც დაგიპყრეს თქვენ, არ კმაყოფილდებიან განკარგულებებით, ისინი ცემით გაიძულებენ აასრულოთ მათი ნება. სტამბოლი მათ უპყრიათ; თვით სულთანის სასახლე გარშემორტყმულია უცხოელთა ჯარებით. გაახილეთ თვალები, შეხედეთ ვინ არიან თქვენი ჭეშმარიტი მტრები და მოკეთეები". 1/

ამ დიპლომატიურმა ხერხმა არ გასჭრა. ომი კვლავ გრძელდებოდა. რუსის ჯარი შეტევისათვის ემზადებოდა. მიტანილი

---

1/ А к т ы ,том Х1, стр.83.

უნდა ყოფილიყო შტურმი ყარსის სიმაგრეებზე. მამია გურიელი ამ დროს, მაისის თვიდან სექტემბრამდე, ყარსის გარშემო დაბანაკებულ ჯარში იმყოფებოდა. მონაწილეობას ღებულობდა რუსებსა და ოსმალებს შორის წარმოებულ შეტაკებებში. 1855 წ. 17 ივნისს მამია ღებულობს პრაპორშიკის ხარისხს. 1855 წ. 17 სექტემბერს, როცა რუსის ჯარმა იერიში მიიტანა ყარსის ციხეზე, მამია დასჭრეს მარჯვენა ფეხში ტყვიით და სამი თვე საავადმყოფოში იწვა. 18 სექტემბერს მურავიოვი ასეთ ცნობას აძლევს დოლგორუკოვს: "გუშინდელი ჩემი შტურმი ყარსის სიმაგრეებზე მარცხით დამთავრდა". 1/ ამ შეტაკებაში მონაწილეობისათვის მ. გურიელს პოდპორუჩიკობა ებოძა /1855 წ. 26 ნოემბერს/. იდია ჭყონიას ცნობით, ამ ბრძოლის შემდეგ მამიას ბარათი გაუგზავნია დავით გურიელისთვის /სამწუხაროდ ეს ბარათი პოეტის არქივში არ აღმოჩნდა/ თავისი ჭრილობის დაწვრილებითი აღწერით და რომ ეჩვენებინა მამისთვის ბრძოლის სიმწვავე, მოეწერა: ერთმა რუსმა 12 ოსმალო მოკლა ხიშტით.

1853-55 წ.წ. საომარ ოპერაციებში მონაწილეობისათვის მამია დაჯილდოებული იქნა მედლით.

1856 წ. 18 მარტს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდვა საზავო ტრაქტატი: რუსის ჯარს უნდა დაეტოვებინა ყარსის ციხე და ყველა დაპყრობილი ადგილი, ხოლო ოსმალეთის მოკავშირეებს /ინგლის-საფრანგეთს/ ყირიმი და ანაპა.

ამავე წელს გარდაიცვალა დავით გურიელი, რამაც ახალგაზრდა პოეტის გული მწარედ დასერა.

1857 წ. 16 მარტს მამია რაზმის კომანდირად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა 1857 წლის 17 დეკემბრამდე.

---

1/ Акты, том XI, стр.92.

ყირიმის ომის შემდეგ, აჯანყდა დაღესტანი. შამილის მეთაურობით ათეული წლების განმავლობაში ებრძოდა დაღესტნის გმირი ხალხი გარეშე დამპყრობელ ძალას. მამია გადასროლილი იქნა ამ ფრონტზე. ის არაერთგზის შებმია ჩაჩნებს, ამ უშიშარ მეომრებს ზარდამცემი შამილისას. 1857-59 წლებში იგი ლეკის ატრიადშია. 1860 წ. ადაგუნის ატრიადში. 1860 წ. 14 ნოემბერს ღებულობს პორუჩიკობას. საინტერესოა პოეტის ამ პერიოდის ცხოვრების წარმოსადგენად კერძო მიწერ-მოწერა. აი, რას სწერს მამია გურიელი აბინიდან ეკატერინე დადიანის ქალს:

"ჩემო უმზგავსო დედა ბატონო!
ჯერ შენი წიგნი არ მიმიღია. საპახოდიდამ მოვედი და მოუთმენლად ველოდები, გუშინ მოვედი პახოდიდამ. იქნება ხვალ მომიტანონ შენი წიგნი ჩემო ნუგეშო დედიჯან. ძლიერ კარგი საქმეები გვქონდა, ჩინებული სროლები, ერთი ხმალთ ქნევა და შტიქის ტრიალი მრთელი ოთხი დღე, საიდამაც გამოვედი ღვთის მადლით უვნებლად. ამას მისთვის ვწერ რადგანაც წარსული საქმეა, აწ მოსვენებული ვართ. არაფერი საქმე აღარ გვექნება აგვისტომდის. ამაშიდ მერწმუნე თორემ კარგად იცი თუ მე შენ როდისმე მომიტყუებიხარ, ცოტა კიდევ მომითმინე შენი ჭირიმე და უთუოდ მოვალ ღვთის მადლით თქვენ სანახავად, დიდათ მსურს მერწმუნე; ვინ იცის რამდენი ტანჯი და მწუხარება გამოვიარე უთქვენოდ, დრო არის მოსვენების. მეცა ვგრძნობ ცოტა ხანს დავსტკბე ჩემ დედასთან და შევკრიბო ახალი ძლიერება შენის ალერსითა და მოვლით".

ლექსში "წერილი სმყვარლისადმი" /დაწერილია 1860 წ./ პოეტი ამგვარად აცნობს სატრფოს 1860 წ. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში სამხედრო ბანაკში გატარებულ დროს:

"აი ჩვენი საქმობა:
საზამთროთ თივის ხმობა,
ტყის ჭრა, ზიდვა შეშისა,
შენება კარვებისა .
ნახე, შენსა მწერალსა
როგორ იმსახურებენ ?
შენს ბულბულს, შენს მღერალსა
შეშას აზიდვინებენ !
ესეც არაფერია,
რადგან დრონი მეფობენ;
ჩვენს გარშემო მტერია,
არ ვარდნი იეფობენ .
დრო არს, საღამოს ჟამსა
საყვარელთან განვცხრებით,
უფუშავთ დაწნილ თმასა,
მისის ხვევნით დავსტკბებით .
დრო არს, ვსხედვართ, ხილსა ვსჭამთ,
მწვანეზედ დღეს ვატარებთ;
ეხლა მაფსუყებსა ვჰკრავთ
ყარაბაღირს ვაჯავრებთ. 1/
წავალთ, სოფლებს ავიკლებთ,
დავსწვავთ ნამუშავარსა,
მრავალ ჯოგებს წაუღებთ,
ვიშოვნით საშოვარსა.
ტყვეებს ჩავსხამთ ურმებში,
მოგვყავს, მოვმასხარაობთ;

---

1/ მაფსუყი ქვეყანაა, მაფსუყები-აქ მცხოვრებლები, ყარაბაღირი მათი უფროსი კაცი-ნაიბი/ავტ. შენიშვნა, ხელნაწერი N 80/.

ზოგსა გამოვსცვლით ცხვრებში,
ზოგზედ ვლაზღანდარაობთ.
ყოველ დღე გვაქვს სროლები,
თუმცა მცირე, უვნები;
შორს დგანან, გვიყურებენ,
წინ ცხენს მოიხტუნებენ.
გავლენ კარგნი მსხდომელნი,
ჯირითობას იწყებენ,
გამარჯვების მდომელნი
სიკვდილს დაივიწყებენ.
ხან მოგვიკვლენ ერთ კაცსა,
ხან ორსა დაგვიჭრიან;
თავს უხმობენ მამაცსა,
ვითომც ჯავრსა იყრიან!
ეგ ჩვენთვისაც ლხინია,
სროლა ხშირი, მტერები;
არ ვისი გვეშინია,
გვახლდეს გრენადერები".

მამის მალე აუცრუვდა გული სამხედრო სამსახურზე. მის სამსახურებრივ წიგნაკიდან სჩანს, რომ 1858 წელს პოეტი 28 დღით ყოფილა დათხოვნილი და 6 თვე და 15 დღე დარჩენილა სახლში. ასევე 1859 წელს, 14 დღის მაგიერ თვე და 5 დღე დაუყვია. 1860 წ. კი 28 დღის შვებულება 5 თვესა და 17 დღემდე გადაუწევია.[1]

---

1/ ხელნაწერი №39.

ალაგუნის ატრიადში ყოფნის დროს /1860 წ./მამია შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნის ეკატერინე დადიანის ქალს: "ხვალ ზევით, ანუ ზეგ /ასე სჯობს რომ ვსთქვათ, რა მექართლელება ნეტაი სწორედ გერულს/ მივდივართ გზის საკეთებლად ზღვისკენ და ისე მგონია თქვენ გიახლოვდები, როცა ზღვას ვნახავ, რაღაც სიამოვნებასა ვგრძნობ და თითქოს ვიყნოს ჩემი სამშობლოს ჰაერს. მალთაყვა, იქაური დროს გატარება, შველი, ირმები, მიმინოები, ლაჟოები, ხუმრობა, სიცილი, თამაში, მხიარულება დახტიან ჩემ თვალწინ, როგორც აჩრდილი. დაფიქრებული ამაებზედ არა ერთხელ ამოვიოხრებ ხოლმე მწარედ, გარნა ის ოხვრა ბევრად უტკბესია ზოგიერთის ძალით გამოძახებულს სიცილზედ".

ეს წერილი მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი; ფეოდალურ განცხრომაში გატარებული ცხოვრების უდარდელი პერიოდი სასიამოვნოდ ეზმანება პოეტს და სანეტარო ილუზიას უქმნის. აქ რელიეფურად მოსჩანს გავლენა სოციალურ-წოდებური ყოფის, რომლებზედაც ზემოდ ვილაპარაკეთ.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა და სოციალური წრეების დიფერენციაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბატონყმური ინსტიტუტის გაუქმებას, რომლის პრაქტიკულ გატარებას ჩვენში 1864 წლიდან შეუდგნენ. ეს აქტი რუსეთში, ფაქტიურად, გამოწვეული იყო, რუსეთის ეკონომიკაში სამრეწველო კაპიტალის შეჭრით. ამ კაპიტალის ინტერესი მოითხოვდა ბაზარსა და თავისუფალ სამუშაო ძალას. რადგან ეს შეუძლებელი იყო ბატონყმურ საწარმოო ურთიერთობის დროს, ეკონომიკის საჭიროებამ ეს ურთიერთობა გაარღვია. "ეკონომიური განვითარების მთელი მსვლელობა ბიძგს იძლეოდა

ბატონყმობის მოსპობისათვის. მეფის მთავრობა, ყირიმის კამპანიის დროს ომში დამარცხებით დასუსტებული და მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა "ბუნტებით" შეშინებული, იძულებული გახდა 1861 წელს ბატონყმობა გაეუქმებინა". 1/ საქართველოში, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ ჰქონდა ადგილი ასეთ მძაფრ სოციალ-ეკონომიურ დიფერენციაციას, თუმცა რუსეთიდან შემოჭრილი სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალი და ადგილობრივად განვითარებული სავაჭრო ურთიერთობა, საგრძნობლად არყევდა ბატონყმობის ინსტიტუტს.

1864 წ. რეფორმამ ვერავითარი სარგებლობა ვერ მოუტანა გლეხს. იგი, ფაქტიურად, მემამულეთა კაბალაში დარჩა. "საქართველოში გატარებული სისტემა განთავისუფლებისა იყო უდიდესი უსამართლობა და დარღვევა ქართველი გლეხის უფლებებისა." 2/

ბატონყმური ინსტიტუტის გადავარდნამ გამოიწვია ჩვენი ეკონომიური ცხოვრების წარმატება. ვითარდება კაპიტალისტური ურთიერთობა. სავაჭრო კაპიტალის ამოძრავებასა და ქართულ საზოგადოებაში შექმნილ განწყობილებას 1874 წ. ცნობილი ჟურნალისტი ს. მესხი შემდეგნაირად ახასიათებდა:" ეს გამწარებული ფაცი-ფუცი, მოძრაობა ჩვენი მოწინავე საზოგადოებისა, ეს ძებნა ადვილად შესასრულებელი და ბევრი ფულის მომცემი საქმისა და შრომისა ჯერაც არ დაწყნარებულა. ეხლაც არიან ისეთი პირნი, რომელთაც იმედი აქვთ, რომელნიც ცდილობენ აყალო მიწაში მადნები აღმოაჩინონ, რომელნიც სხვადასხვა უსახელო კამპანიებს ადგენენ.... ჩვენ სრულიად არა გვსურს,

-----------------

1/ საქ. კომუნისტური პარტიის /ბოლშევიკების/ ისტორია გვ. 5

2/ Акад. Ив. Джавахишвили. Политическое и социальное движение в Грузии в XIX в. стр.36.

რომ ამგვარი მიმართულება, ეს ლტოლვილება ჩვენს საზოგადოებაში ერთბაშად მოისპოს". [1]

გ. წერეთელი კი სწერდა: "ამჟამად, სადა არ გაიხედავ, ყველას ნახშირის სუნი ესმის. იმასაც ამბობენ, კავკასიის მთები იმიტომ მოსჩანს ლურჯად, რომ ნახშირის კომლი აქვთ გარს შემომდგარი, რომელიც მთების გულიდან ამოდისო და ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ კავკასიის მთების გული სულ ნახშირიანიაო. ამისი კი რა მოგახსენო და ზოგიერთი ქართველების, და განსაკუთრებით იმერლების, გული, რომ ნახშირიანია, - ეს კი მართალია. ამ ნახშირის სულმა და კომლმა ისე გაიტაცა ჩვენი საზოგადოება, რომ რაც შავია, სულ ოქრო ჰგონიათ და ამის გამო შავ ჩირქიან ზნესაც არ თაკილობენ". [2]

ეს დახასიათებანი ნათლად წარმოგვიდგენენ ქართველ საზოგადოებაში მომხდარ გარდატეხას. მოსახლეობა ვაჭრული მისწრაფებებით იმსჭვალება. სოციალური ძალა და მნიშვნელობა იმ წრის ხელში გადადის, რომელიც დიდძალი კაპიტალის პატრონია. ეპოქის გაბატონებულ ძალად კაპიტალი ხდება. "საქართველო, სწერს პროფ. ს. ხუნდაძე, მაგარი რგოლებით გადაება ამიერ-კავკასიის სამრეწველო ცხოვრებას, ხოლო ეს უკანასკნელი შეიქნა ნაწილი მთელი რუსეთის ეკონომიური სისტემისა. ამრიგად, საქართველო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მომწყვდეული იყო კაპიტალისტური ეკონომიკის მთლიან სისტემაში. როგორც ეკონომიური, ისე ფინანსიური და სატრანსპორტო პოლიტიკა რუსეთისა უდიდეს გავლენას ახდენდა საქართველოს სამეურნეო ცხოვრების დაწინაურებაზე". [3] რუსეთში კი ბატონყმობის გაუქმების შემდეგ

-------------------

1/ "დროება". 1874 წ. N 44.

2/ "კრებული". 1872წ. N 10-12

3/ პროფ. ს. ხუნდაძე. სოც. ისტორიისათვის საქართველოში. ტ. I
გვ. 44.

სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარება საკმაოდ სწრაფად წავიდა, მიუხედავად ბატონყმობის ნაშთებისა, რომლებიც კიდევ აფერხებდნენ ამ განვითარებას. 25 წლის მანძილზე, 1865-იან 1890 წლამდე, მუშათა რაოდენობა მარტო დიდ ფაბრი-კებში, ქარხნებში და რკინიგზებზე გაიზარდა 706 ათასიდან 1.433 ათასამდე, ესე იგი ერთი-ორად და უფრო მეტად. 1/

საქართველოს კაპიტალიზაციის აჩქარებული ტემპი, ბუ-ნებრივია, გურიის სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობაშიაც შეიჭრე-ბოდა. "80-იან წლების გურია თავისებურ დუღილის პერიოდს განიცდიდა: ერთი მხრივ რუსეთ-ოსმალეთის ომმა, მეორე მხრივ კი ბათომის შემოერთებამ და ბაქო-ბათომის დიდი სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანამ, საგრძნობლად შეარყია გურიის საზო-გადოებრივი ცხოვრება, ჩაითრია სავაჭრო-კაპიტალისტურ ურთი-ერთობაში და გამოიწვია დიფერენციაცია სოციალურ წყობაში". 2/

სტატისტიკური ცნობით 1887 წ. ქუთაისის გუბერნიაში, რომლის ნაწილს გურია წარმოადგენდა, 610 ფაბრიკა ითვლებო-და, 6208 მუშების რიცხვით და 5.237.254 მან. ღირებულ ნაწარ-მოებით. 3/ სოფლის ეკონომიკაში კაპიტალის შეჭრა ფეოდალური მამულების სწრაფ რღვევას იწვევდა. 4/

კაპიტალიზაციის პროცესმა გურიის ფეოდალური არის-ტოკრატია რღვევის გზაზე დააყენა. მან ვერ აუღო ალღო ბურჟუ-აზიულ ურთიერთობას. გარჯას, შრომას, მოკლებული პრივილეგიური წრეები გარიყული დარჩა. მის ერთადერთ საარსებო წყაროს მა-მული წარმოადგენდა. მამულის დაგირავებით, გაყიდვით, ინარჩუნებ-

---

1/ საქ. კომუნისტური პარტიის/ ბოლშევიკების/ისტორია გვ. 7

2/ ე. ნინოშვილის თხზულებათა კრებული. ტ. I გვ. 329-30, პროფ. ს. ხუნდაძის რედ.

3/ ფ. მახარაძე. საქ. მე-19 საუკუნეში/"მნათობი". 1926წ. N3/.

4/ Сборник статист. данных о землевладении и способах хозяйства в пяти губерниях Закавказского края.

და არსებობას ოდესღაც "ქედმაღალი" არისტოკრატია. მამულე-ბის გაყიდვა- დაგირავებამ მასიური ხასიათი მიიღო. ჩარჩ-ვაჭრებს მოქმედების გზა გაეხსნათ.

სოციალ-ეკონომიურმა რღვევამ კლასის ფსიქო-იდეოლოგიას თავისი დაღი დაასვა, წარსულის ლანდებში გადაიყვანა და სევდით გამსჭვალა იგი. გამახვილდა ასოციალური ინსტინქტები. გადაჭარბებულმა მგრძნობელობამ მოიცვა ფსიქიკა. სოციალურად მორღვეული კლასი ცდილობს შეჰქმნას თავდავიწყების ილუზია, მირაჟი. ამით უნდა აიხსნას ეროსის სიჭარბე მ.გურიელის ამ პერიოდის ლექსებში.

მამიამ ბრძოლის ველზე, კარვის ქვეშ, ამოიდგა პირველად პოეტური ხმა. პირველი ცნობილი ლექსი, "ფიქრი ყრმობისა", დაწერილია 1856 წელს.[1] აქედან უნდა დავიწყოთ პოეტის შემოქმედების ისტორია. ამ ხანის ლექსები, უმთავრესად, სატრფიალო ხასიათისა არის.

მ. გურიელის მთელი რიგი სატრფიალო ლექსები, უშუალო განცდის ნიადაგზეა აღმოცენებული, მომენტითაა გამოწვეული. დიდებული გვარიშვილი, გარეგნული სილამაზით შემკული, ენამჭევრი მგოსანი ადვილად ატყვევებდა მანდილოსანთა გრძნობებს. ზოგჯერ კი თვით ხდებოდა დატყვევებული. ასე მაგალითად, ბაბილინა გურიელის ქალს პოეტი ამგვარად მიმართავს:

"თვალთა სხივის მიმღებო, მომფენო შუქისათ,
ყოვლის გულის შემპყრობო, ტკბილო არა მქისათ,
შეუდარო, უსწოროვ, დამჩაგვრელო მზისათ,
ერთო, ქვეყნად მოსულო, ღმერთავ მშვენებისათ!

---

1/ 1897 წლის გამოცემაში ეს ლექსი დათარიღებულია 1865 წ. შეცდომაა. ხელნაწერებში /91, 110/ ლექსის თარიღია 1856წ. დეკემბერი.

სინათლეო ხმელთა, მთიებო დილისა,
წყაროვ უკვდავებისა, ბინდო ზაფხულისაო,
მომსვრელო კაეშნისა, მდებო სახმილისაო,
ერთო, ქვეყნად მოსულო, ღმერთავ მშვენებისაო!"

/ბაბილინა გურიელის ქალს. 1857 წ./

სიყვარულის ცეცხლი და ვნების სიმხურვალე სჩქეფს სხვა სატრფიალო ლექსებშიაც. აი როგორ შეღაღადებს პოეტი დესპინე გურიელის ქალს:

"დილის მზე ხარ ბრწყინვალე, სწორედ დასაწერია,
ელვა ბნელის, გონება ბნელის ამაჟღერია,
სულის გვრიტო, უმანკო, გაქებს ყოვლი ერია,
პირმთვარეო ალსავსევ, ბულბულისებრ მღერია!"

/დესპინე გურიელის ქალს. 1858 წ./

ეროტიული სწრაფვა და ჰედონიკური ღელვა სჩანს ლექსში "ივლიტე ნაკაშიძის ქალს". ამ ქალის "ვარდისაებრ ფურჩქნილი" სახე იწვევს მგოსნის აღგზნებას, თავდავიწყებას, ექსტაზს. ეს ეროტიული აღგზნება იმდენად მძლავრია, რომ პოეტი "ვეღარ გაქრისაც" არ ერიდება:

"ივერიის მნათობო, ქვეყნად შუქ-მომფინეო,
ვარდისაებრ ფურჩქნილო, თხოვნა მომისმინეო!
ლახვარს მასობ გულზედა, დამწვი, შემაძრწინეო,
იადონთა სადარო, ტკბილად მოღიღინეო!
...
შენთვის ვეღარ გავქრილვარ, ვიგრძენ, მოგეწყინეო,
მაგრამ სევდით სავსემან ვერც იქ დავიძინეო!
გთხოვ შენს გულში მტკიცეთა ხსოვნა დამარგვინეო,
იადონთა სადარო, ტკბილად მოღიღინეო!"

/ივლიტე ნაკაშიძის ქალს. 1857წ./

მომენტალური ეროტიული განცდებით არის ნაკარნახევი პოეტის ამ პერიოდის სხვა ლექსები /"ფარვანა", "სამაჯე", "სატრფო-სადმი", "ს...ოს", "ს...ს", "ჩემს სურათზედ" და სხვ./.

მ.გურიელის შეხედულებით სიყვარული მწველი გრძნობაა. იგი მთლიანად იპყრობს ადამიანის არსებას. აბობოქრებს ვნებებს, ცეცხლს უკიდებს გონებას. სიყვარულის ალში გახვეული გულის ძგერა გიჟური სისწრაფით ხდება. გრძნობა და აზრი ერთმანეთს ებრძვის, ბობოქრობს, ღელავს. მეტად ძნელია ამ განცდის ატანა:

"როდესაც წამში ასჯერ სძგერს გული,
ღელდება სისხლი, სუნთქვა ხრიალებს,
სთრთიან წვერები და მთლად სხეული
გაციებულის მსგავსად კანკალებს!
როცა გონება ვეღარ მუშაობს,
მარტოკა ხსოვნა იჭერს წესებსა,-
გრძნობათ და აზრის საგნები სხვაობს,
ომი საკვდავი აქვსთ ამ ორ ძმებსა".

/ეხლაც კალამი ჩემი საბრალო. 1871 წ./

სიყვარული გარდუვალი გრძნობაა. ადამიანი მის ჰიპნოზურ ძალას ვერ გაექცევა. სიყვარული თვით "მოხუც ხრწნილშიაც აღანთებს ვნებებს". სატრფო-კერპია, მიჯნური-ფანატიკოსი, რომელიც ამ კერპს თაყვანს სცემს. პოეტი დაბეჯითებით ირწმუნება:

"შეიძლება კი, ტრფობისა მსხვერპლსა
ტრფიალი სა[illegible]ფოს არ მიართმევდეს?
შეიძლება კი, თავისსა კერპსა
ფანატიკოსი თაყვანს არ სცემდეს?
შეიძლება კი, კაცმა უარჰყოს
ჰაერის სუნთქვა, მიზეზი სუნთქვის?
შეიძლება კი, ისი არა ჰყოს
რაც სურს, გაექცეს საგანსა ღტოლვის?"

/ჩემს კეკელას. 1864 წ./

სიყვარულის ფანტასტიკური ძალა მეფეს მონას უმორჩილებს. "შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს",- ალ.ჭავჭავაძის ამ სიტყვების რეზონანსი ისმის მ.გურიელის ქვემოთ მოყვანილ ლექსში.

"მეფე რომ ვიყო, ვუფლებდე
სრულიად ცისა ქვეშეთსა,
უსაზღვრო ნებით ვსუფევდე,
გიბატონებდი შენ ერთსა.

ღმერთი რომ ვიყო, ერთს წამზედ
სრულ ვჰყოფდი ყოველს შენს ნებას,
შენ გაუფლებდი ზეცაზედ
და თვით გიწყებდი ვედრებას".

/მეფე რომ ვიყო. 1871 წ./

ვნება სიყვარულის მძლავრი ფერმენტია. პოეტი ასე უმღერის მიჯნურის ვნებას:

"ვნებისათვის ხარ შექმნილი,
შენ ტრფიალთა ვნებით აღნობ,
ვით "ვენერა" ღვთად ცნობილი,-
მეც ვნებისთვის შენ გაგაღმრთობ!"

/სურათი. 1876 წ./

მ.გურიელს სილამაზის თავისებური აღქმა აქვს. პოეტს არ მოსწონს სტატიურობაში მოცემული სახის სისწორე, მაღალი გული, ტანის ნაქვთიანობა, წვრილი წელი, თოვლივით თეთრი მხრები, მანათობელი მკერდის ფიცარი, არც მასზე ტურფა ორი კოკორი- ამურულებული, გასაოცარი; პოეტი ეძებს სილამაზეში მოძრაობას, სიცოცხლეს, ექსცენტრულობას.

" მე მომწონს მხოლოდ შენი სიცილი,
ის ყმაწვილური გაკასკასება,
თან ცრემლების ღვრა, თრთოლა, წივილი,
მხიარულებით სახის ავსება".

/არ მომწონს. 1865 წ./

აქ შეიძლება სიყვარული,- "დაღლილი სულის გამოფხიზლება". სილამაზე ეშხიანი, დარდიმანდი, ცელქი, ვერცხლისწყალივით მოძრავი, აი რა ჰხიბლავს პოეტის გულს. მუხამბაზურ კილოზე მამია მოხდენილად მღერის:

" ქალო, რა ლამაზი ხარ,
უცხო ქვეყნის ვარდი ხარ!
მთლად სანდომი, ეშხი ხარ,
თვალის დარდი მანდი ხარ!

ცელქი, გიჟი, ალი ხარ,
თითქო ვერცხლის წყალი ხარ!
გამგიჟები ბავში ხარ,
სულ ჩემს გულს და თვალში ხარ!".

/უცხო ქვეყნელს. 1862წ./[1]

ამ ლექსის წაკითხვა ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის მუხამბაზების კილოს გაგონებთ.

სილამაზის სრულყოფილი განცდა შესაძლებელია სიჭაბუკეში. პოეტი შესტრფის სიჭაბუკეს: "კარგი რამ არის წყეული სიჭაბუკე, როცა სისხლი სდუღს და ძარღვებში იმდენი ძალაა რომ ვეღარ სდგება შიგნით და ათას ნაირის შფოთიანის სახით გამოჩნდება.

---

1/ ხელნაწერი 109. /1897 წ. გამოცემაში ლექსის დასაწყისი სტრიქონი შეცვლილია/.

ხან გიჟის სწორე, წამის ყოფით ფილოსოფოსის, ხან მომღერალი, ხან ღრმად დარდიანი, ხან აშიკი, ხან მხეცური შურის მაძიებელი, ხან ხელმწიფე სრული, ხან მონა უკანასკნელი; დაჰფრინავს აზრი, მთელი ქვეყანა თავში უძევს, სურვილებს არა აქვს ანგარიში, ნდომას საზღვარი.

ეს დროები უსიტყვოდ არიან თვითუმჯობესნი ჩვენს ცხოვრებაში. მენდეთ, რომ შემდეგში სუსტდება ყოველი სურვილები, ყოველი ნდომები, ყოველი მოძრაობა აზრისა და ფიქრების ჰკარგავენ თავის პირველ ძლიერებას". 1/

მ. გურიელის შემოქმედებაში, განსაკუთრებით სატრფიალო ლექსებში, ძირითადი ჟანრი მიძღვნაა. პოეტის ამ პერიოდის ლექსების უმრავლესობა ხსენებულ ჟანრს განეკუთვნება. ამას თავისი ახსნა აქვს. მამიას პოეზია, ძირითადად, პირადი განცდის ლირიკაა, რომელშიაც სოციალური, პოლიტიკური, ფილოსოფიური, თუ სხვა საკითხები, უკანა პლანზეა გადაწეული. მგოსანი, უფრო ხშირად, მომენტალური განცდების უკუფენას იძლევა და ამიტომ იყენებს ისეთ ჟანრს, როგორიცაა მიმართვა, მიძღვნა, ალბომში და სხვ. მ. გურიელის სატრფიალო ლექსებს ახასიათებს შემდეგი სტილური ნიშანი: პოეტი, ხშირად, როცა ქალის სილამაზესა და მშვენიერებას გამოსცემს, მიმართავს ასტრალურ შედარებებს. შედარების ფუძედ იყენებს: მზეს, მთვარეს, ზეცას, ვარსკვლავსა და სხვ. მგოსნისათვის ეს დამახასიათებელი პოეტური ხერხია, რომელსაც ორიგინალობის ნაკლები პრეტენზია აქვს. მაგალითები:

" ნუ მოაკლოს სიკეთე
მაგ შენ პირსა მთვარულსა".

/სატრფოსადმი/.

------------------

1/ "ნაგომრის ქალაქობა."

"დილის მზე ხარ ბრწყინვალე, სწორედ დასაწერია,
პირმთვარეთ ალსავსევ, ბულბულისებრ მღერია!."

/დესპინე გურიელის ქალს/.

"მახსოვს, ქალო, როცა თვალებს,
შენს მნათობებს, შევსცქეროდი...".

/მოგონება/.

"სინათლეო ხმელთათ, მთიებო დილისათ,
წყაროვ უკვდავებისა, ბინდო ზაფხულისათ...".

/ბაბილინა გურიელის ქალს/.

"არ მომწონს თეთრი თოვლივით მხრები,
და მანათობი მკერდის ფიცარი"...

/არ მომწონს/.

## თ ა ვ ი III

სამხედრო სამსახურისათვის. თავის დანებება. კვლავ თბილისის არისტოკრატიულ წრეში მოქცევა. "მნათობსა" და "კრებულში" თანამშრომლობა. ცოლის შერთვა. განქორწინება. "გურიელის საქმე". საქართველოს წარსულის იდეალიზაცია. მეფის რუსეთთან დამოკიდებულება. რობერტ ბიორნსი და მ. გურიელი.

1861 წლიდან 1876 წლამდე მ. გურიელი სამხედრო სამსახურის კარიერაა. პოეტის სამხედრო წიგნაკიდან ჩანს, რომ მას, ამ ხნის განმავლობაში, მხოლოდ ორჯერ მიუღია საომარ კამპანიაში მონაწილეობა. 1862 წელს მთიელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებია მესამე ხარისხის წმ. სტანისლავის ორდენით და 1864 წელს პოეტი ხლებია გენერალ-ადიუტანტ მირსკის, როდესაც იგი გაემართა დასავლეთ კავკასიის დასამორჩილებლად. ამ კამპანიაში მონაწილეობისათვის მამია ცნობილ იქნა შტაბსკაპიტნად სამსახურის კარიერში.

ამ პერიოდში მ. გურიელი მომეტებულად თბილისში ცხოვრობს. ხშირად გურიაშია, თავის ძმა ჯაბასთან. უახლოვდება თბილისის საზოგადოებას. კავშირს ამყარებს ივ. კერესელიძის რედაქტორობით გამოცემულ ჟურნალ "ცისკრის" თანამშრომლებთან. მონაწილეობას ღებულობს თავადაზნაურულ არჩევნებში*/.

მთავრის ჩამომავლობა, პოეტური ნიჭი, ენამახვილობა, გარეგნული სილამაზე, მამია გურიელს ადვილად უხსნიდა გზას თბილისის არისტოკრატიული წრეებისაკენ. იგი მალე გახდა ამ საზოგადოების საყვარელი წევრი: "როცა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე დაინიშნა კავკასიის მთავარმართებლად და თბილისში

---

*/ აკ. წერეთელმა, 60-იან წლებში, კომიკურად დახატა მარშლის არჩევის ერთერთი სურათი, რომელშიაც მ. გურიელი ღებულობდა მონაწილეობას /იხ. "პირუტყვების არჩევანი"/.

დაიწყო დიდი მთავრის შესანიშნავი ბაღები, მამია გამოჩნდა ამ ბაღებში საუცხოო ტანისამოსით. მაშინ როდესაც სასახლის ზალები ამ ბაღების დროს აჭრელებული იყო ორდენებით და ოქრო-ქსოვილის ფერად-ფერადის ტანისამოსით, მამია გაჩნდა ამ ბაღებში სადად ჩაცმული, იმერულის შავის ჩოხით და თეთრის კაბით, რომელსაც წელზე მხოლოდ შავი ქამარი ერტყა და შავივე სატევარი". /ი. მეუნარგია/.

აქ პოეტი დაუახლოვდა ყორხმაზ მელიქიშვილის ქალს-მარიამს და 1868 წ. ჯვარი დაიწერა მასზე. გვირგვინის კურთხევაზე მათ დედ-მამად ყოფილან: გურიის მთავრის ასული ტერეზია დადიანისა და პოეტი გრიგოლ ორბელიანი. 1869 წ. 20 თებერვალს მამიას შეეძინა ვაჟი-კახაბერი.

ამ დროს მამიას სალიტერატურო სალონიც ჰქონია გამართული ოჯახში.[1] ამ ხანას ეკუთვნის პოეტის დაახლოება ჟურნალი "მნათობის" თანამშრომლებთან. სოფრომ მგალობლიშვილის ცნობით: "მნათობის" გარშემო 1869 წ. შემოიკრიბნენ უკვე ცნობილნი ჩვენი მწერალნი აკაკი, მამია გურიელი, ან. ფურცელაძე და სხვა. 1869 წ. "მნათობში" დაიბეჭდა აკაკის შესანიშნავი "ზღაპარი" -შვილო ალექსი, მსურს გითხრა ლექსი. არ დამავიწყდება მამიას ნახვა "მნათობის" რედაქციაში. მამია მაშინ ტფილისში ცხოვრობდა. ერთს საღამოს ნიკო ავალიშვილთან შემოვიდა ლამაზი სახის, ცქვიტი, შავ-წვერ ულვაშით შემკული, თავიდან ფეხამდე შავ ტანისამოსში გამოწყობილი, თავზე გარიბალდის ქუდით. მოუტანა ნიკო ავალიშვილს ლექსი "მზისადმი". რედაქტორმა სთხოვა წაეკითხა. მამიამ წაიკითხა ლექსი ზეპირად, ქაღალდს მხოლოდ ხელში აფრია-

---

1/ "მწყემსი". 1891 წ. №14

ლებდა. წაიკითხა ისეთ ნაირად, რომ ელექტრონის ჟრუანტელმა ამიტაცა, თმა ყალხს შემიდგა, უეჭველია სხვებიც ჩემს მდგომარეობაში იქნებოდნენ. ეხლაც ყურებში მიბზუიან იმისი ნათქვამი პირველი ორი ტაეპი.

გაგიმარჯოს, ნაცნობო!
მშვენიერო საქვრეტო,
საქართველოს მნათობო,
ყოველს მნათობზე მეტო!
შენ ჩემს მამულს საყვარელს
სწყალობ, ეპატრონები,
უელი, როგორც მიმაკვდავს,
არ ხანგრძლივ მოჰშორდები...

რომ გაათავა, ერთს ხანს ღუმილი ჩამოვარდა, თითქო ვინს ვეღარ მოვეღით, ისე გაგვიტაცა მშვენიერმა კითხვამ". 1/

ამ პერიოდში მამის "კრებულში" თანამშრომლობს. აქ იბეჭდება მისი ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებანი. გ. თუმანიშვილი სწერს: " Выйдя в 1867 году из пансиона и поступив в гимназию, я на некоторое время потерял из виду своего учителя.[2] Но ненадолго. В 1871 году стал издаваться под его редакцией грузинский журнал "Кребули". Журнал сразу занял в грузинской печати первенствующее место. В нем участвовали лучшие силы: Гр.Дм.Орбелиани, Мамиа Гуриели, Раф.Эристов, И.Г.Чавчавадзе, Ак.Церетели, Н.Николадзе и сам редактор Г.Церетели".[3]

---

1/ ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი. /„თემი“. 1911 წ. №8/

2/ ლაპარაკია გ. წერეთელზე.

3) Г.М.Туманов. Характеристики и воспоминания. Книга первая.

მამიას დაქორწინება ბედნიერი არ გამოდგა. ცოლ-ქმარს ორი სრული წელიწადი არ უცხოვრიათ ერთად. მათი განშორება უნდა გამოეწვია მელიქიშვილის ქალის ყოფაქცევას. მოარშიყე მარიამი ხშირად ხდებოდა პოეტის შეურაცხყოფის მიზეზად. ერთერთი ასეთი შეურაცხყოფის დროს, შელახული თავმოყვარეობის დასაცავად, მ. გურიელმა, თბილისში, თავის ბინაზე, მწვავედ სცემა თბილისის ოლქის სასამართლოს წევრს იუფეროვს. საქმემ მეტად რთული ხასიათი მიიღო. მამიას ბრალდებოდა იუფეროვის გალახვა, წვალების მიზნით. სასამართლომ დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა ციმბირში გადასახლება, ღირსების აყრით. მამიამ საქმე პალატაში გადაიტანა. პალატამ რვა თვით სატუსაღოში ჩასმა გადაუწყვიტა. განაჩენზე პროკურორმა კასაცია შეიტანა სენატში. სენატმა პალატის გადაწყვეტილება დაარღვია და საქმე ხელახლა დაუბრუნა მას. უკანასკნელმა მ. გურიელი სცნო დამნაშავედ მარტო მძიმე გალახვაში და, თანახმად ამ შეხედულებისა, გადაუწყვიტა რვა თვით დაპატიმრება. 1/

ამგვარად, ოჯახური ცხოვრება დაენგრა პოეტს. ცოლთან ერთად, რომელიც შემდეგ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალს, მაქრო მაღალაშვილს გაჰყვა, მან დაკარგა ერთადერთი შვილი კახაბერი.

მ. გურიელის შემოქმედების ლეიტ-მოტივი ეროვნულ-პატრიოტულია. მის მსოფლმხედველობაში რელიეფურად მოსჩანს საქართველოს წარსული "დიდების" იდეალიზაცია. მგოსანს აწველებს თამარ მეფისა და კახაბერის სახეები. ერთერთ ადრინდელ ლექსში, პოეტი სინანულს გამოსთქვამს, რომ ის "არვინ ამთავრა".

---

1/ "დროება" 1870 წ. N 17

" მე სახელ-გვარად,
ვინ იყო მთავრად,
მპყრობი გურიის, ჩაქვ-აჭარისა,
ვგავარ მას, მარა
არვინ მამთავრა,
არცა ვარ მეფე ზღვა-ლაშქარისა.
არ მაქვს ბათომი,
რომელსა ომი
ხომალდთ საფარვად ეძლო ქარისა,
არც პალო-რკინის,
დამრღვევი ჟინის
მაჩვენებელი ოსმალთ მზღვარისა!". /ფიქრი ყრმობისა/

მამია სწუხს დასჩივის გურიის სამთავროს მოსპობის გამო. პოეტის ამაღლებული ტონით მიმართავს თანამემამულეებს /ფეოდალურ არისტოკრატიას/.

"სად ხართ გურულნო,
პატრონთ ერთგულნო,
რომელთაც მტკიცედ გეჭირათ რკინა?
მეომნო მარად,
თქვენ ჯვარი ფარად
გქონდათ და კარნი განგიხვნათ ვინა?".

"კარნის განხვნამ", ანუ საქართველოში რუსეთის დამკვიდრებით, გურიის დამოუკიდებლობაც გაუქმდა. ძველი პრივილეგიური წოდება, ფიზიკურად მოისპო, მათი "სულნი ცად მორბედიან". მემკვიდრეები- კი მამულს ჰყიდიან, ჰვლეჯენ და სწეწენ. პოეტი სწუხს მათი ასეთი ქცევის გამო. სწუხს, რომ არისტოკრატიის ახალმა თაობამ დაკარგა ეროვნული დამოუკიდებლობის გრძნობა, უარჰყო "მეფის წულთა" ძმობა და მეიქვ-

ნელობა დაუწყო "დიდ არწივს", ე.ი.მეფის რუსეთს. ხსენებულ ლექსს ცენზორის მაკრატელმა მოჰკვეთა ბოლო./1897 წ.გამოცემაში სრულად არ არის დაბეჭდილი/.[1/] პოეტის არქივში დაცულ ხელნაწერით შესაძლებელი ხდება ცენზორის მიერ ამოგდებული სტროფების აღდგენა. მოგვყავს ეს ადგილი მთლიანად:

" არწივსა დიდსა,
მძორთა მიმზიდსა,
ელიქვნებიან, პატრონად ხმობენ;
თვის სეფე-წულთა,

მათგან იძულთა,
არა თუ ეყმონ, არცაღა ძმობენ!
მაგრამ მოვა დრო,
როდესაც ყრმები
გონშია მოვლენ, გაიღვიძებენ;
მათ შეარცხვენენ
თქვენი საქმები,
შეეზიზღებათ, ზრახვას გიწყებენ.
დაჟანგულს ხმლებსა,
ქართველთ ქვის კედელს
მიმოსძებნიან, კვლავ აიღებენ,
მტერს განსდევნიან,
ერთობის მდევნელს,
და ძველსავ სახელს დაიმკვიდრებენ.
ეს მრწამს, ეს მჯერა,
ბულს ვაძლევ ლხენას,
მსოფლიო საქმეთ მოწმეთა ვშთები,
სიცილით ვუცქერ
ყოველს მოვლენას,
ვაზრობ კიდევაც, ბედს შევესწრები!"[2/]

---

1/ ამ გამოცემის ცენზორი რაფ. ერისთავი იყო.
2/ ხელნაწერი N 110

"ფიქრი ყრმობისა" მ. გურიელის პირველი თარიღიანი ლექსია. იგი დაწერილია 1856 წ. დეკემბერში. სტროფიკისა და რითმის თვალსაზრისით მოტანილი ლექსი გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის ლექსების ტიპისაა.[1] გრ. ორბელიანი ანალოგიური რიტმიული ამღერებით, მაგრამ განსხვავებული იდეური განწყობით, მიმართავდა რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ პირველს:

" ხელმწიფევ ჩვენო,
ძლიერო, ბრძენო,
ნიკოლოზ დიდო სულგრძელებითა!
მხედარნი შენნი,
ერთგულნი, მხნენი,
ვჰსვამთ შენს სადღეგრძოს მოწიწებითა!"
/სადღეგრძელო/.

საქართველოს წარსული შარავანდედითაა მოსილი. იყო დრო, როდესაც მის ბედნიერებას შესტრფოდნენ მოსაზღვრე სახელმწიფოები.

" შესტრფოდნენ მარად ჩემსა მამულსა,
ბაღივით მორთულს, ყვავილებიანს,
განგებისაგან მდიდრად შემკულსა,
თუ მთებს თოვლიანს, წყაროებს ხმიანს".

მაგრამ ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. შუღლმა და გაუტანლობამ დაარღვია ძველი ერთობა. კაპიტალიზმის პროცესმა ანტაგონიზმი აღმოაცენა. ახალ სოციალ-ეკონომიურ ვითარებას შავი ფერებით ხატავს პოეტი.

---

1/ შეად. გრ. ორბელიანის- "ეკ. ჭა...სას", "ალბომში ღრ...ოპ..", "მიბაძვა პუშკინისა".
ნ. ბარათაშვილის- "თავადის ჭავჭ. ასულს ეკ.", "საყურე" და სხვ.

მ. გურიელი უარყოფითად არის განწყობილი ახალი ეკონომიური ძალის, სავაჭრო კაპიტალის, მიმართ.[1] იგი ცდილობს დაბალ სოციალურ ფენებში, განსაკუთრებით გლეხობაში, გამონახოს დასაყრდენი ბაზა და დაუპირისპიროს კაპიტალის გამანადგურებელ შემოტევას. ამით უნდა აიხსნას მგოსნის დემოკრატიული ტენდენციია და, კერძოდ, თარგმნა შოტლანდიელი პოეტის რობერტ ბიორნსის ლექსის- "ყვავილის უწინ".[2] ხსენებული ლექსი მამიამ 1873 წელს თარგმნა.[3]

რ. ბიორნსი გამომხატველი იყო დაჩაგრული შოტლანდიის გლეხკაცობის სულისკვეთებას უცხადებს რა პროტესტს სოცია-ლურ უთანასწორობას, ექსპლოატაციასა და ჩაგვრას, ჰგმობს რა კაპიტალის სიმკაცრესა და სიდუხჭირეს, ბიორნსს საზოგადოებ-რივი ადამიანის იდეალად მიაჩნია მშრომელი ფერმერი. ზემოთ დასახელებულ ლექსშიაც ეს შეხედულება არის გატარებული.

ამავე სოციალური მიზეზით უნდა აიხსნას 60-იან წლებში, ბატონყმური ინსტიტუტის მოკრძალებითი უარყოფა. მხედველობაში მაქვს მგოსნის არქივში დაცული პროზაული ავტო-გრაფი /156/- "ნაგომრის ქალაქობა". იგი დასრულებული არ არის. ხელნაწერი ისტორიული ფელეტონის ხასიათისაა. მასში გამოყვა-ნილია მოხუცი თავადი, რომელიც ნეტარებით იგონებს წარსულ დროს და შესტრფის ძველ ფეოდალურ ყოფა-ცხოვრებას. პოეტი გესლიანი იუმორით დასცინის მას. "შეიცვალა დრო, ამბობს გურული თავადი, მანამდი ვისაც სირცხვილ-ნამუსი ჰქონდა და ვაჟკაცობა, იგი იყო კაცი საქები, ახლა ვინც პლუტია, კოტრი და ძალიანი ცრუ, ან კაი მაქანკალი, იმას აქებენ.

---

1/ გურიის ეკონომიურ ურთიერთობაში სავაჭრო კაპიტალის შეჭრისა და მისი შედეგების შესახებ ჩვენ ზემოთ ვილა-პარაკეთ /თავი II/.

2/ თარგმანის ხელნაწერი დაცულია მთაწმინდის მწერალთა მუ-ზეუმში, №148. გამოაქვეყნა გ. ლეონიძემ /"ლიტ. მემკვიდ." /

3/ გასული საუკუნის 70-იან წლებში ბიორნსის ლექსებს სხვა პოეტებიც თარგმნიდნენ, მაგ. გ. ქალანდიძე /"დროება" 1870წ. №5/.

ამას ყველას დევეთხუთ, რაცხა იყო ქე ვითმენდით, მარა ახლა რომ ჩივიან ყაზახები უნდა გაანთავისუფლონ აგი რაღაა! ყაზახი რავარ გეიშობა. ბატონ-ყმობა ღმერთმა გააჩინა, ვის ახსოვს საიდან არის დაწყებული და ახლა გუუშვით ჩივიან. რომ გუუშვა რაღამ მარჩინოს. პირში სული ამეიძვრეთ? -ამას კაცი კაცს ჭჩივოდა გინახავს? მარა იმას ტყულათი ამბობენ, თვარა არა დროს არ იქნება, მე მაინც არ მომასწრობს ღმერთი.

ამ ლაპარაკის შემდეგ მოხუცმა ერთი მწარედ ამოიხვნეშა, თეთრ წვერზედ ხელი დაისო და გაჩუმდა. ხედავთ მკითხველო, დასძენს ავტორი, რა ყოფაშიაც ყოფილა ჩვენი ძველი ბატონი. მაშ ადვილადაც შეგიძლიათ გაიგოთ, თუ მაშინდელის მიხდომილების სულზედ რა მოქმედებაც ექმნებოდა მის ყოვლის შემძლებლობას", ე. ი. ბატონყმობის გადავარდნას. [1]

ამ პერიოდში (60-70-იანი წლები) მ. გურიელის პროგრესული განწყობილება სხვა მასალებიდანაც ჩანს. საყურადღებოა "პოემიდგან რაშიდ ვარდან-ოღლი", [2] სადაც პოეტი ერთმანეთს უპირისპირებს არისტოკრატიის ძველსა და ახალ თაობას. ძველი თაობის წარმომადგენლებს მამია უარყოფითად ახასიათებს. შავი ფერებითა და იუმორისტული ხაზებით ხატავს მათ სურათს. აი როგორი თვითკრიტიკისა და ირონიის ტონით მიმართავს მგოსანი მათ:

" ვეტრფიალებით, გვიყვარს მტერები,
ერთი ერთმანეთს ორმოსა უთხრით:
თუ ჩაგვიცვივდა ხელში მოძმები,
შეუბრალებლად ტყავებსაც დავხდით!

...

---

1/ მ. გურიელი ანალოგიურ შეხედულებას გამოსთქვამს "დროებაში" დაბეჭდილ კორესპონდენციაში /"დროება" 1871წ. N38. "კეთილი მაგალითი"/.

2/ დაიბეჭდა "კრებულში" 1872წ. N 7

ვასმენთ მთავრობას,ვგზავნით "დანოსებს",
არაფრით ვზოგავთ,ოღონდ რამ ვავნოთ;
მრავალს ვიგონებთ მათზე ტყვილებსა,
გვსურს რა სიბირში მალე გავგზავნოთ!".

ძველი თაობის ეკონომიური და მორალური დაცემით შეწუხებული პოეტი ასეთ დასკვნამდე მიდის:

"ყოველი არსი,ხან-გადასული,
უნდა წაიქცეს და დალპეს იგი,
არ ვის უნახავს მობრუნებული,-
ამნაირია ბუნების რიგი.
ძველნი ლპებიან,ახალნი მოვლენ,
ყოველ დღე ვხედავთ,რით უნდა ლექსი;
მათზე ნაყოფის კარგნი გამოვლენ,
ესეც ისევე ბუნების წესი".

ამგვარად,საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალმა,პროგრესულმა ძალამ უნდა გაიმარჯვოს.მგოსანი შესცქერის და უმღერის ახალ თაობას /"თერგდალეულებს"/. "მეც თქვენთვის ვმღერი,ახალნო ვაზნო",დასძენს იგი .მამია ახალი თაობის წარმომადგენლებს ენერგიულ და დაუღალავ მუშაკებად სთვლის.მათი წადილი შთამომავლობას მუდამ დარჩება მოსაგონარად.პოეტი მათთან ერთად კისრულობს "ყრუ ტყეში ძალით შარის გაჭკაფვას".მას სურს,- "ერის საყდრის გებაში,მისგანაც ჩნდეს ერთი ქვის დაშენება". დე,დაეცეს ამ ბრძოლაში, ოღონდ მიზანს მიაღწიოს.ცხოვრების ლოგიკა ასეთია:

"ყაჭმაც კი იცის,რომ თავის პარკში,
რა გააკეთებს,მყისვე მოკვდება"...

პოეტს სურს ხალხის "ბედნიერება,მეგობრობა,ძმობა და ერთობა". იგი პათეთიურად აცხადებს:

"მე სულ სხვა მინდა სანახავები:
მრავალი ხალხი ერთად ხარობდეს,
დაუწყობელი თუნდ იყოს ხმები,
მხოლოდ უფლებას თვისას ჰგალობდეს.
მეგობრობასა, ძმობას, ერთობას
უშიშრად მაღლა განაცხადებდენ,
და სიყვარულსა, ამ წმინდა გრძნობას,
მოუფიქრებლად არ აძაგებდენ".

/სნეული. 1866 წ./

ზემოთ წარმოებული მხატვრული ფაქტების ანალიზიდან მკითხველი დაინახავდა, რომ მ.გურიელის დემოკრატიული ტენდენციები "თერგდალეულთა" გავლენის დაღს ატარებს.

ამ პროგრესულ განწყობილებათა მიუხედავათ მ.გურიელის მსოფლმხედველობა, იდეები და სახეები, ძირითადად წარსულის იდეალიზაციაში ეძებს დასაყრდენს. პოეტი წარსულის უპირატესობის ჩვენებისათვის, ზოგჯერ, ასეთ პოეტურ ხერხს მიმართავს: ხატავს პიროვნებას, საგანს, ან მოვლენას დროის ორ,- აწმყო და ნამყო,- განასერში. ნამყოში საგანს, პიროვნებას, ან მოვლენას, ნათელი ფერებით ავლენს, აწმყოში-შავი ფერებით. ლექსში "ქალები" პოეტი ეხება თანამედროვე ქალის ავკარგიანობას და გამოთქვამს მეტად მკაცრი მსჯავრი:

" დაუნდობელნო, გამცემნო,
ხარბნო, მონებო სიმდიდრის,
კაცობრიობის დამცემნო,
ურწმუნო სულის სიწმინდის"...

წარსულში ქართველი ქალი მარავანდედით იყო მოსილი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ერის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ამ აზრის ნათელსაყოფად პოეტი იშველიებს საქართველოს ისტორიას. იქ, წმინდა მარიამისა და თამარ მეფის სახით, წარმოადგენს იდეალს ქართველი ქალისას.

პოეტის მეხსიერებაში წარსული მძლავრადაა ჩაჭედილი:

"გულსაცა წელთა სრბოლითა
წარსული არ ავიწყდება
და წლები წარსულთ სიამეთ,
ვიცი, ვერ დამიბრუნებენ"... /ნადსონი/

საბედისწერო სიტყვები: "წარხდენ, წარხდენ და იცოდე, კვლავ აღარ დაბრუნდებიან ...", პოეტს თან დასდევს. ცრემლსა და ნაღველში. ილესება მისი გული წარსულის მოგონებით.

"მომაგონდა წარსული დრონი, ოდეს ვსტკბებოდი,
და როს ტურფა ყვავილთა ხშირად ვეყნოსებოდი,
თვალნი ცრემლით აღმევსნენ, გულით ცეცხლსა ვხდებოდი,
ვსთქვი, ნეტავ ფრთები მომცა, მაღ-მაღ გავფრინდებოდი.
ამ საძაგელს ქვეყანას უცებ განვშორდებოდი"...
/დილას ერთსა მარტო ვჯექ... 1860 წ./

სამშობლოს დაცვა, ძველი დიდების აღდგენა, ადამიანის წმინდა მოვალეობაა. "ვინც მამულს უძღვნის თვისსა ცხოვრებას, ამბობს მამია, ის სახელს შესძენს სახელოვნებას". სამშობლოს გამოსახსნელად დაღვრილი სისხლი გამკურნებელ წვეთებად გადაესხმება შთამომავლობას. წინაპართა გმირობა უნდა ამხნევებდეს თანამედროვეებს. გმირებს დაეძებს, უყვარს, პოეტის დაფი და ნაღარა, მაგრამ გმირი აღარსად ჩანს. ფეოდალური არისტოკრატია დაეცა მორალურად და ფიზიკურად, მას არ შეუძლია გმირის შექმნა. პოეტი მწვავედ განიცდის ფეოდალური არისტოკრატიის რღვევის პროცესს, შთამომავლობის გადაშენებას.

"აკვნის უბიდამ კუბოებამდის
ძლივ ხოხვენ ჯაჭვით დამძიმებულნი;
რათ არ აღხოცე, ღმერთო, აქამდის
ეს მატლ-ჭიები დაგლახებულნი!

ეს ყმები, არა, ტყვენი ყმებისა,
შემარცხვენელნი თვისის ქვეყნისა.
....
არ აქვთ მათ ერთი სული ცოცხალი
და მკერდი მხნე და თავისუფალი!".
/ქართლო შენა ხარ? 1872 წ./[1]

სინამდვილე და იდეალი დაუპირისპირდა ერთმანეთს. მათ კონფლიქტს მგოსანი წარსულის იდეალიზაციაში გადაჰყავს. ამ სიტყვებით მიმართავს სამშობლოს,-ძველ ქართლს:

"დღეს რაღას იტყვის, ვინც შენს ნაპირებს
იხილავს თითონ დამწუხრებულსა.
აქ ვეღარ ისმენს ის ძველსა ამბებს,
ლეგენდარულად გადმოცემულსა,
იმ დიდის ხნიდამ დაკარგულების
გასაოცარის საუკუნების,
როდესაც პირზე მაგ შენის მინდვრის
შეუბორკავი ერი სცხოვრებდა,
ღირსი ძეები თავიანთ მიწის,
და მიწაც მათით ამპარტავნებდა".
/იქვე/

შთამომავლობის დაცემით გაბოროტებულ პოეტის ჩანგს ზიზღის აკორდი მოსწყდა სიმებიდან: "რათ არ აღხოცე, ღმერთო, აქამდის, ეს მატლ-ჭიები დაგლახებულნი!". ზიზღი მსწრაფლ იცვლება სი-ნანულით, -"მაგრამ ვგონებ, ვინც მგრძნობელობს, ცხოვრებს, ჩემთანა

---

1/ ეს ლექსი 1897წ. გამოცემაში შეცდომით "გიაურის" თარგმანში არის შეტანილი.

ერთად დალვრის მწარ ცრემლებს". ასეთი უკიდურესობანი: სინანული და ზიზღი, ლიმილი და ცრემლი, დამახასიათებელია სოციალურად მოწყვეტილი კლასის ფსიქო-იდეოლოგიისათვის, რომლის უკუფენას ჩვენი პოეტი ახდენს.

ნიკო ნიკოლაძე სამართლიანად სწერდა: "Старина имела и должна была иметь в его глазах столько прелести и притягательной силы, что порывистая и страстная душа поэта не могла не питать презрения и досады к равнодушию окружающих относительно исчезнувшего мира... Он воспевал этот мир в громких звуках, он окружал его в своих представлениях, чисто-фантастическим блеском и светом, он видел его в поэтических своих галлюцинациях, в таком роскошном расцвете, а между тем, окружающие, близкие оказывались слепыми и глухими к этим краскам, звукам, видениям, призывам".[1]

საინტერესოა როგორ აფასებს მამია გურიელი საქართველოში მეფის რუსეთის მართველობის დამკვიდრებას. გურიის ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი, მთავრის შთამომავალი, რომელმაც საქართველოში რუსეთის დამკვიდრებით დაჰკარგა პრივილეგიები, ჩავარდა უკიდურეს სიღარიბეში, ბუნებრივია, უკმაყოფილო იქნებოდა რუსეთის მართველობით. ამ პირად სოციალურ მომენტს, ემატება ეროვნული ჩაგვრის მომენტი. მეფის რუსეთი საქართველოში ლურსმიანი ჩექმით შემოვიდა, ეროვნულ-ნაციონალური მოძრაობა უხეშად შეზღუდა. ერის წმინდათაწმინდა: ქულტურა, ზნე-ჩვეულება, ენა, გარჰყვნა და წაჰბილწა. საქართველო იქცა რუსეთის კოლონიად.[2] მეფის

---

1) "Новое обозрение". 1891г. № 2614.
2) შდრ. Акад. И.Джавахишвили: "Политическое и социальное движение в Грузии в XIX в.". ст.40-41.

რუსეთის ეროვნული პოლიტიკა ამომწურავად არის დახასიათებული "საკავშირო კომუნისტური პარტიის /ბოლშევიკების/ ისტორიის მოკლე კურსში". აქ ვკითხულობთ: "მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო. მეფის რუსეთის მრავალრიცხოვანი არარუსი ხალხები სრულიად უუფლებონი იყვნენ, განუწყვეტლივ განიცდიდნენ ყოველგვარ დამცირებასა და შეურაცხყოფას. მეფის მთავრობა აჩვევდა რუს მოსახლეობას ისე ექცია ნაციონალური ოლქების მკვიდრი ხალხებისათვის, როგორც დაბალი რასისათვის, ოფიციალურად უწოდებდა მათ "ინოროდცებს", ნერგავდა ზიზღსა და სიძულვილს მათდამი. მეფის მთავრობა შეგნებულად აღვივებდა ნაციონალურ შუღლს, ამხედრებდა ერთ ხალხს მეორის წინააღმდეგ, აწყობდა ებრაელთა დარბევას, თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტას ამიერკავკასიაში.

ნაციონალურ ოლქებში ყველა ან თითქმის ყველა სახელმწიფო თანამდებობანი რუს ჩინოვნიკებს ეჭირათ. მთელი საქმეები დაწესებულებებში, სასამართლოებში რუსულ ენაზე სწარმოებდა. აკრძალული იყო ნაციონალურ ენებზე გაზეთებისა და წიგნების გამოცემა. სკოლებში აკრძალული იყო დედაენაზე სწავლა. მეფის მთავრობა მიისწრაფოდა ჩაეხშო ნაციონალური კულტურის ყოველგვარი გამოვლინება, ატარებდა არარუს ერთვნებათა ძალდატანებითი "გარუსების" პოლიტიკას. ცარიზმი არარუს ხალხთა ჯალათად და მტანჯველად გამოდიოდა".

მ. გურიელი, მთელ რიგ ლექსებში დამაჯერებელი სახეებით, ამიშვლებს მეფის რუსეთის უხეშ პოლიტიკას. პირდაპირი დაგმობა მეფის რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკისა ძნელი იყო /ჩვენ ვნახავთ, რომ მ. გურიელი არც ამას ერიდებოდა/, ამიტომ პოეტი იყენებდა მიმართის შემოქმედების ისეთ

ჟანრს, რომელიც ალეგორიას ემყარება /არაკი, იგავი/. მკითხველს ეძლევა კონკრეტი სიმბოლიკა ცხოველთა, ფრინველთა, ან მცენარეთა სფეროდან, რომლის უკან რეალური მოქმედება უნდა იქნას დანახული.

მამია გურიელის "შოშია", "ირმის ნაამბობი" და სხვა, წარმოადგენს მე-19 საუკუნის ქართული თავადაზნაურული პატრიოტულ პოეზიისათვის დამახასიათებელ პოლიტიკურ-ალეგორიული ჟანრის ნიმუშებს.

პოეტი უფიქრდება სამშობლოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. აანალიზებს პატრიოტულ გრძნობას. იგონებს იმ დროს, -

"როცა ღვთისაგან მქონდა ერთი
მხოლოდ ვედრება, -
ჩემის საბრალო სამშობლოის
ბედნიერება". /შოშია. 1864წ./

წარსული ნათელითაა მოცული. აწმყო-კი უნუგეშოა.

"ყმაწვილობიდამ გალიაში
უხსნელ ტყვედ ვზივარ,
ჩემსა აღმომზრდელ სამშობლოში
შეპყრობილი ვარ"!

ნაღვლიანად დასძენს პოეტი. უხეში ძალა, მეფის რუსეთი, ავიწროებს სამშობლოს. ჰყვნის მის წმინდათაწმინდას: ზნე-ჩვეულებას, ადათ-წესს, ენას, კულტურას.

"მეუბნებიან, ენა სთქვით
ჩვენებურათა!
ძლიერ სცდილობენ, შევეჩვიო
გავხდე ხუმრათა".

ამის გამო პოეტის სევდა მძაფრდება. ასეთ შედარებით გამოხატავს მგოსანი თავის განწყობილებას:

" მწოლარს ზედ მაწვა უთვალავი
მწარე ფიქრები,
როგორც მაღალ მთას ცილით შავი
ავდრის ღრუბლები;

დავსუსტდი, დავბნდი, დამიბნელდა
თვალთა სინათლე;

ვგრძნობდი სიკვდილსა, თან მიმდევდა
მხოლოდ სიმართლე!".

წყევას უგზავნის დამჩაგვრელ ძალას :

" რათ არ იციან, რომ ბუნება
არ გვაქვს ჩვენ ერთი,
ალარ მოსწყინდათ ჩემი ვნება-
გაუწყრესთ ღმერთი! ".

ბედნიერი მერმისის რწმენა არ სტოვებს პოეტს: ის შესტრფის სამშობლოს მომავალ თავისუფლებას.

მამია ცხოვრების ბოლო წლებში, რელიეფურად ამჟღავნებს მეფის რუსეთის ეროვნული პოლიტიკისადმი უარყოფით განწყობილებას.

არაკში "ირმის ნაამბობი" ქართლის ბედის საკითხია დასმული.1/ ირემი საქართველოს ალეგორიული სახეა, ბათვი-რუსეთის

---

1/ "ირმის ნაამბობი" პოეტის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა, არც 1897წ. გამოცემულ მ. გურიელის თხზულებათა ერთტომეულშია შესული. ვარიანტი დაიბეჭდა კ. თუმანიშვილის მიერ განახლებულ ორშაბათეულ "ივერიაში" /1909წ. №39/, ისიც შეცთომებით და კუპიურებით. პოეტის არქივში დაცულია არაკის ორი ავტოგრაფი/95,84/. პირველი შავია, დათარიღებულია-1889წ. 10 სექტ. ქუთაისი. მეორე-გადათეთრებული, თარიღად უზის 1889წ. 15 სექტ. არაკი ცალკე რვეულის სახით იპოვა საქ. ცენტრ. არქივის "საცენზურო კომიტეტის" საქმეებში ი. გრიშაშვილმა და გამოაქვეყნა "მნათობში" /1933წ. № 3-4/. რვეულს თავფურცელზე ახლავს ცენზურის წარწერა: Задержано по постановлению Комитета 30 сентября 1905г.. რვეულის ბოლო გვერდზე სწერია: Рукопись прислана из Кутаиса типографией И.Киладзе и И.Хеладзе; როგორც ჩანს თხზულების ცალკე გამოცემა სურდათ, მაგრამ საცენზურო კომიტეტს აუკრძალავს. განსხვავება "მნათობში" დაბეჭდილ ტექსტსა და ავტოგრაფებს შორის უმნიშვნელოა.

მეფის.დათვი მოყვრობას უცხადებს ირემს. პირდება მტრებისგან დაცვას,საჩუქრებითა და სიმდიდრით ავსებას.

" მითხრა: მტერებს,
შენსა მკვლელებს,
სისხლის მსმელებს მოგაშორებ.
მოგასვენებ,
დაგაშვენებ,
ბედით მეფედ გაგასწორებ.
მრავალ ასთა,
ძლიერ დათვთა,
მცველად თავზე დაგაყენებ.
საჩუქრებსა,
ოქროებსა,
იმდენს მოგქცემ,გაგაშტერებ.
მხოლოდ ესა
მსურის დღესა,
შენსა მტერსა ვეყურებდე
დაჩაგრულსა,
გულ-წასულსა,
შენ კი ჩემად გიგულებდე".

საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა ძნელია.ირგვლივ მტრები ახვევია.ძველი სიმხნე და სიძლიერე დაკარგულია.

" ერთ იყო,ვერვინ გვეტყოდა,
დადექ,მოვდივარ შენზედა,
მათ თვითონ ჩვენ შევუტევდით,
ჯაჭვს დავაფრენდით მხრებზედა".

მ.გურიელის აზრით საქართველო იძულებული იყო მიეღო რუსეთის მფარველობა.ამ მფარველობით ქართველი ერი მიელოდა "წესიერების დადგენას".

"პასუხი მივეც :რადა სჯობს
სიტყვებსა თქვენსა მჭევრებსა,
თქვენი უთვალო ჯარები
ზარს სცემენ ჩემსა მტრებსა.
მე უზრუნველად მივაგდე
ჩემის სახლისა ალაგნას,
ნუკრებთა მოშენებასა
წესიერების დადგენას".

პოეტი მეტად უარყოფითად ახასიათებს რუსეთის მეფეს.ტირანად გამოჰყავს იგი /დათვი ხომ მეფის ალეგორიული სახეა/.არაკის მესამე თავი მკვეთრი სატირაა,რომელშიაც გამასხარავებული არიან ტირანი მეფე და მისი მოხელეები.დათვმა მტრების განადგურებაში დაეხმარა ირემს.უკანასკნელმა დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრება.გადის დრო.ირემი სთხოვს თავის "შემწეს" საკუთარ მხარეში წასვლას.დათვი კატეგორიულ უარზეა.იგი ბატონად აცხადებს თავს.

" დღეიდამ,გესმის,უნდა ემონოთ
უსიტყვოდ ყოველს ჩემს ბრძანებასა.
მე დაგიპყარით,ჩემი ყმები ხართ,
კარგად გაიგეთ,იყავით ჩუმათ;
მითხარი აბა,თქვენ ვინა გდიხართ,
რომ გეწვეოდით ორი დღით სტუმრათ?
ვინც არ შეისმენს,ძალა შეასმენს,
გამოგინახავთ უკეთეს ბინას,
იქ გაგაგზავნით,სადაც ბუქი სცვენს
და თვითონ ყვავი სადაც ვერ ფრინავს".

ამგვარად, რუსეთმა დაიპყრო საქართველო. რა შედეგები მოჰყვა ამას? ქართველმა ხალხმა დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, შევიწროვდა, გალატაკდა, "გაძვრა ტყავი". ახალგაზრდობა, ავტორს მხედველობაში ჰყავს თავადაზნაური ახალგაზრდობა, "შებილწა, გათახსნა, დასცა ზნეობით". გაიხრწნა ერთობა, გაღვივდა გამცემლობა, ბეზღობა, მექრთამეობა, აშრობა და ყველაფერი ის, რაც სულს ჰგვრის. ამას დაემატა ენის გახრწნაც.

"სულ გაგვიფუჭა ახალგაზრდობა,
შებილწ-გათახსნა, დასცა ზნეობით, -
ასწავლა მოძმეთ გამცემლობა
ბეზღების მცკიცი. ცრუ-მფიცველობით,
ურცხვ-უპირობა, მექრთამეობა,
აშრობა ცხადი, დაუფარველი,
სინიდისზედა სიცილ-მასხრობა, -
ყველა რაც კია სულის გამრყვნელი.
გაგვალატაკა, გაგვაღარიბა,
როგორც იტყვიან გაგვაძრო ტყავი,
და რა შეგვატყო უსაშვალობა,
შემოგვითვალა უმეცეს ავი:
მითხარით, რათ გინდათ სიტყვა ირმელი?
მოდით, დათვურად იბურდღუნეთ,
თუ ჯილდოები გსურთ, მიგდეთ ყური,
თქვენ ენა თქვენი მოიძულეთ". —

მწვავე პოეტურ ფორმაშია გადმოცემული ზიზღი მეფის რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკისადმი.

ეროვნული გრძნობის ალეგორიულ გამოხატვას ქართველი პოეტები, უმთავრესად თავადაზნაური წრიდან, ხშირად

მიმართავენ, მაგ. ნ. ბარათაშვილი/"სუმბული და მწირი"/, გ. ერისთავი/"არაკი"/, ს. რაზმაძე /"დათვი და ცხვარი"/, რ. ერისთავი /"დათვი და ცხვრები"/, გრ. აბაშიძე /დაუბეჭდავი არაკი- "ზღაპარი"- საქ. მუზ. H 3047/ და სხვ.

ამ ჟანრის ლირიკისა და ეპოსის საუკეთესო ნიმუშად, ახალ ქართულ ლიტერატურაში, აკ. წერეთელი უნდა ჩაითვალოს /"ზღაპარი", "ნავი", "ლამურა" და სხვ./.

ზემოთ განხილული მ. გურიელის "ირმის ნაამბობი" შინაარსობრივად და კომპოზიციურად ემსგავსება ს. რაზმაძის არაკს,- "დათვი და ცხვარი". სიღ. რაზმაძე ერთერთი მონაწილე იყო 1832 წლის თავადაზნაურული შეთქმულებისა. ეს შეთქმულება რუსეთის საქართველოდან განდევნას და ფეოდალური დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავდა მიზნად. შეთქმულება, როგორც ვიცით, შინაგამცემლობის გამო ჩაიშალა. შეთქმულნი დააპატიმრეს. დაპატიმრებისას მათ ჩამოართვეს მეფის რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებები. ასეთი ბედი ეწია ს. რაზმაძის ზემოხსენებულ არაკსაც. შეთქმულთა მასალები, უკანასკნელ დრომდე, არქივებში იყო დაცული. ს. რაზმაძის "დათვი და ცხვარი" პირველად 1935წ. გამოქვეყნდა.[1]

რასაკვირველია, მ. გურიელს არ ექნებოდა შესაძლებლობა ამ ნაწარმოებს გაცნობოდა. ცხადია, აქ უშუალო გავლენაზე ლაპარაკი არ შეიძლება. უფრო საფიქრებელია რაფიელ ერისთავის არაკის /"დათვი და ცხვრები"/ გავლენა. ეს ნაწარმოები რ. ერისთავმა 1871წ. დასწერა. დათვის სახით ავტორს გამოყვანილი ჰყავს მეფის რუსეთი, რომელმაც

---

1/ გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება.

მფარველობა აღუთქვა ქართველებს/ცხვრებს/. ცხვრებს ჰგონიათ პატრონობას გაუწევს დათვი, დაიცავს გარეშე მტრებისგან და შეუქმნის მყუდრო ცხოვრებას. სინამდვილეში კი პირიქით ხდება.

"თურმე ბატონი, ეს ჩვენი დათვი,
ყოველ დღე კრავებს ეთამაშება,
ხან გააგორებს, გამოაგორებს,
ასე აწვალებს, არ აძლევს შვებას,
ამდენსა სჯიჯგნის, რომ მიამკვდარის,
შემდეგ დაჰბეჟავს, დააღებს ყურსა
და, ამნაირად, თითო ბატკანსა
ყოველ დღე ჩანთქავს, როცა კი ჰსურსა..."

მ. გურიელი სევდით იმსჭვალება. მის სულს ღრღნის სამშობლოს უბედურება. საქართველო დაცემულია, ბედისაგან დასჯილია, განაწამებია, "ჩაბალახ ახდილია". სტანჯავენ, ჯაჭვებით შეჰკრეს, სისხლიდან სცლიან. მგოსანი ფიცს სდებს, დაეხმაროს სამშობლოს, ებრძოლოს დამჩაგვრელ ძალას, ე.ი. მეფის რუსეთს. 1/ ეს ფიცი საკმაო პოეტური ექსპრესიით არის შესრულებული.

"ვფიცავ სამშობლოს ჩემსა დაცემულს,
ბედისგან დასჯილს, განაწამებსა,
ჩაბალახ-ახდილს, ჯაჭვებით შეკრულს
და წითლად ნაღებს მისსა მიწებსა.

---

1/ სიმპტომატურია პოეტის ეს განწყობილება, რომელიც არისტოკრატიის დაცემისა და გახრწნის ფონზე რელიეფურად მოჩანს. მაღალი წრეები, 70-80 წლებში, მოხიბლული რუსეთის პოლიტიკით, ემსგავსებოდა მონას, რომელსაც ლენინი შემდეგნაირად ახასიათებს: „Раб, у которого слюнки текут, когда он самодовольно описывает прелести рабской жизни и восторгается добрым и хорошим господином, есть холоп, хам". (Ленин, т.12, ст.7, изд. 1929г.).

ქართველთ გმირების ძვლებით მოკენჭილს
ველებს, ხეობებს, ციხეებს, მთებსა;
მათ სისხლსა წმინდას, უხვებით დალვრილს,
და მათსა ალმზრდელთ მანდილოსნებსა;
ვფიცავ მათსავე განთქმულსა სახელს,
საერთო მტრების შემაშინარსა;
იმათ მკერდს მხნესა, შიშის უცნობელს,
უცხოდ ნახმარებს ხრმალსა და ფარსა.
მამა-პაპათა ჩვენთა საფლავებს,
მამულისათვის თავდადებულთა;
ათასის წლობით მტრებთან მებრძოლებს,
მუდმივ დღე და ღამ ალმხედრებულთა.
ვფიცავ მეფეთ დასს, თავებ-დაკვეთილს,
დედოფლებს, ჩანგლით დაგლეჯილებსა:
ვახტანგს, გიორგის, თამარსა კეთილს,
დავითს, კავკასის ტურფად ალმგებსა.
და ჩემს ღვთაებას კახაბერს, სხვა კაცს,
რკინის პალოით სამზღვარზე მდგარსა,
ოსმალთ ძალთ მლეწველს, უბადლო მამაცს,
მას ლომსა და ბრძენს შეუპოვარსა.
ვფიცავ ქართველის სულს, ჯან-გაუწყვეტელს,
ძვირფასსა დროშას, ქრისტეს ჯვრით შემკულს,
მაგ ჩვენს დამღუპველს, იმასვე დამხსნელს,
ივერიელებს მისთვის წამებულს." 1)

---

1/ "პოეტი და ჩვენება"/1883წ./ აქ მოჩანს ლერმონტოვის
"დემონის", კერძოდ, დემონის ფიცის, გავლენა. /შეად. შ.
რადიანი. ლიტ. მემკვიდრეობა/. თავის მხრივ მ. გურიელის
ამ ნაწარმოებმა გავლენა მოახდინა შემდეგი პერიოდის
მწერლებზე, მაგალითად ირ. ევდოშვილზე. "პოეტი და ჩვენებას"
გავლენით ი. ევდოშვილს დაწერილი აქვს, თავისი ლექსი "ჩვენე-
ბა". ასევე ი. ევდოშვილის ლექსის "ფიცის" მხატვრულ-ფორმალუ-
რი სათავეები მოცემულია მ. გურიელის "პოეტსა და ჩვენებაში"
ვე/შ. რადიანი.. ირაკლი ევდოშვილის პოეზია. გვ. 29 ირ.
ევდოშვილის ლექსები. ტ. I. 1935 წ./.

აქ ნათლად ჩანს რა მაღლა აყენებს მ.გურიელი საქართველოს წარსულს. მისთვის საქართველოს წარსული წმინდათაწმინდაა; იქ ბრწყინავენ დავით აღმაშენებელის, გიორგი მეფის, თამარისა და კახაბერის უკვდავი სახეები. ეს სახეები უნდა ამხნევებდნენ თანამედროვეებს. ასეთივე თვალსაზრისია გატარებული ლექსში "კარჩხალის მთები". 1/

1879 წ. პოეტი სწერს "ჩემ ალავერდს" /მის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. პირველად გამოქვეყნდა გურიას "კალენდარში" 1892 წ. ისიც კუპიურებით/. "ალავერდი" მკვეთრი პათოსით და ამაღლებული ტონით დაწერილი ლექსია, გულიდან ამონახეთქი მღერაა, სამშობლოს საკეთილდღეოთ წარმოთქმული სადღეგრძელოა. მასში წარსულის რომანტიკა რელიეფურად მოჩანს. პოეტი საბრძოლველად განწყობილი ალავერდს გადადის თანამემამულეებთან ამ სიტყვებით:

" ასე ვუთხრათ, საქართველო,
აღსდეგ, გასდი, კვლავ თავხედი;
არა რა არს უსაშველო,
ყმაწვილებო, ალავერდი!
მოგვაგროვე, მტრებს გვაჯახე,
დეხსენ იმის რამოდენი;
გვაბრძოლე, ნუ დაგვაგლახე,
შეიწირე ჩვენი დღენი!".

---

1/ წარსულის იდეალიზაცია დამახასიათებელია სოციალურად მორ-ვეული კლასის ფსიქო-იდეოლოგიისათვის. დეგრადირებული ბურჟუაზიაც აიდიალებს წარსულს /სიმბოლიზმი/. ანდრეი ბელი სწერს: " Мы ныне как бы переживаем все прошлое:Индия, Персия,Египет,как и Греция,как и средневековье,- оживают,проносятся мимо нас, как проносятся мимо нас эпохи,нам более близкия".(А.Белый. Символизм. 1910г. стр.50).

პოეტი მზადაა სიცოცხლე გასწიროს სამშობლოს კეთილდღეობისათვის, თანამებრძოლებთან ერთად ფიცს სდებს.

"ფიცსა გაძლევთ, არ გიმტყუნოთ
შენ შვილთაგან არცა ერთმა;
რაც გვიბრძანო, აღგისრულოთ,
თუ მოგვასწრო ის დღე ღმერთმა".

გმირული მკლავი მძლავრად უნდა სცემდეს, ბასრი ხმალი ელვასავით უნდა ჰკვეთდეს სამშობლოს მტრებს. დამპყრობელ გარეშე ძალას ცეცხლი და მახვილი უნდა დაუპირისპირდეს.

"სისხლი ჩვენი ჩვენს ტკბილს აღმზრდელს
გარდავასხათ, მოვალეკოთ;
ან სულ გავსწყდეთ ბრძოლისაველს,
ან მტერებათ უნდა ვეყოთ!".

წყევასა და ზიზღს უგზავნის მგოსანი მას, ვინც დაიხრის მტრის წინ ქედს. ნაძრახ სიცოცხლეს, სახელოვანი სიკვდილი სჯობია.

"ვინც არ მოკვდეს წინამბრძოლად,
დაიხაროს მტრის წინ ქედი,
მას შეერთოს დედა ცოლად,
ჩვენ კი შევსვათ-ალავერდი!".

გმირული ბრძოლა და თავგანწირვით აღგენილი უნდა იქნას:

"ჩვენი ძველი არსებობა
გორგასლიანის განაქედი".[1]

80-იან წლებში, ეს ლექსი, პატრიოტული ჰიმნად იყო გადაქცეული. მისი საჯარო დეკლამაციით მ. გურიელი მძლავრად არხევდა ქართველ არისტოკრატიულ საზოგადოებაში მიძინებულ ეროვნულ გრძნობებს.[2]

1/ ხაზგასმული სტრიქონი, 1897წ. გამოცემაში ცენზორის მიერ ამოღებული, პოეტის არქივში დაცულ ავტოგრაფის/62/ მეშვეობით, აღვადგინეთ.

2/ ამ საკითხზე იხ. თავი 5.

## თავი IV

სევდა და მარტოობა. ღვინის სმა. თარგმნა "დემონის", "გიაურის". იმედის მოტივი. პოემა "რაშიდ ვარდან-ოღლი".

მ. გურიელი მოწამე იყო ფეოდალური არისტოკრატიის დაცემის. მან ვერ მოუსწრო "ძველი გურიის დიდებას". ფეოდალური ყოფის რღვევამ წარსულის ლანდებში გადაიყვანა და სევდით გამსჭვალა პოეტის გული. მისი სევდა ბევრში ეხმაურება იმ განწყობილებას, რომელიც გურიის "ფეოდალური ბუდეების" მეხოტბე პოეტმა, სიმონ გუგუნავამ, შემდეგნაირად გამოსთქვა:

" სიკვდილამდის ბედნიერად ჯერ არავის უცხოვრია,
ეს სოფელი ყველასათვის ცრუ და ყალბი სასწორია".

მ. გურიელის მსოფლმხედველობაში პესიმიზმის შეჭრა გამოიწვია ეროვნულმა ჩაგვრამ, არისტოკრატიის დაცემა-განადგურებამ და პირად-ოჯახური ცხოვრების დანგრევამ.

პოეტი ეკვირდება არსებობის დანიშნულებას. მის წინ ისმის მწვავე კითხვა: რისთვის არის შექმნილი, რა მიზანი აქვს ამქვეყნად? უსაზღვრო სურვილს, იდეალისადმი ლტოლვას, გასაქანს არ აძლევს შესაძლებლობა. დუხჭირი სოციალური ყოფა, ბორკავს გონების ჭვრეტას, სალტავს გულის მგრძნობელობას. კონფლიქტი იდეალისა და შესაძლებლობას შორის რომანტიულად აერწავს სულს კითხვა"[1].

სევდა და ნაღველი ტანჯვას იწვევს. ტანჯვა კი შემოქმედებას იმპულსს აძლევს. პოეტი მოუხმობს დარდებს:

---

1/ მიზნის მიღწევის წყურვილი და ვერ დაკმაყოფილება, დამახასიათებელია რომანტიული განწყობისათვის. შეად. Брандес. Главные течения в европейской литературе XIX в. ст.324, изд.1881 г.

"მიდით, დარდებო, აღმივსეთ გული,
უთქვენოთ ვსწუხვარ თქვენი ჩვეული;
თქვენ კარგად იცით მხიარულება
არცა მქონია და არც მექნება".

/ფანტაზია. 1860 წ./

მ.გურიელი საწინააღმდეგო განწყობილებებსაც ამჟღავნებს. ლექსში "ადამიანი" იმედის მოტივი რელიეფურად მოსჩანს. აქ ღრმა აზრია გატარებული, რომელიც სტოიკების მოძღვრებას წააგავს. ბრძოლის რწმენითა და გმირული სულით უნდა იყოს გამსჭვალული ადამიანი.

"ეგებ, კეთილო, ბედს არ უყვარდი,
მოგიკლა გული, გყო სევდიანი?
ნუ დაეცემი, დასდევ, გამაგრდი,
გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი!".

/ადამიანი. 1867წ./.

აღსანიშნავია, რომ იმედის მოტივი, ამ პერიოდის, სხვა ლექსებშიაც მოსჩანს /"მოხუცის ბაასი", "სნეული", "ჩემს ძმას ჯაბას" და სხვა/.

მ.გურიელი ლირიკული განცდის პოეტია.[1] მან აქქვეყნიური ცხოვრების ამაოება და სიბილწე მწვავედ იგრძნო. იგი რწმუნდება, რომ ბედი არ გაახარებს. წუთიერ ცხოვრებას მოუცელავს, ჩასდებს სამარეში, და დავიწყების მტვერს გადააყრის. სიცოცხლის ძალას, ნდომას, ოცნებას, გაუქარწყლებს. მგოს-

---

1/ შდრ. Raphaël Isarloff: Histoir Géorgie. 1900. Paris. ამ წიგნში მოთავსებულია პროფ. ხახანაშვილის წერილი: Aperçu géographique et abrégé de l'Histoir et de la Littératur géorgiennes. აქ ვკითხულობთ: "Mamia Gourieli est très connu et reconnu comme poète lyrique".

ნის ტანჯვით ნალესი გული ცრემლს თხოულობს.

"შენ გევედრები, ჩემო მღერალო, მე ცრემლები მსურს,
მხოლოდ ცრემლები,
თორემ დარდებით გული გასკდება".

/ეს სტრიქონები ბაირონის "ებრაულ მელოდიიდან" არის, რომელიც მამიამ 1871 წ. სთარგმნა/.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ მ.გურიელი დარღვეულ არისტოკრატიის იდეურ და მორალურ ყოფას, შავი ფერებით ხატავს. შუღლი და გაუტანლობა-აი, რით ხასიათდება ეს წრეები. არისტოკრატიას არ შეუძლია ჩასწვდეს მგოსნის სულიერ წუხილს. პოეტი სევდიანად დასძენს:

"ოჰ ჩემს ტანჯვასა, ჩემსა წვალებას
გაიგებს ვითომ ჩემი მოძმები,
სულისა წუხილს, გულისა ვნებას?
არა, ვერა სცნობს იგი ბრიყვები !
. . .
მაღალმა ძალმა ჩემის გონების
გაასწრო თქვენსა მიხდომილებას;
მისთვის არ გესმისთ ხმა მღაღადებლის,
მადლობისა წილ აძლევთ მას ვნებას!".

/თარგმნილი ფრანგულიდან. 1876წ./.

ასეთ გარემოცვაში მგოსანი ვერ ნახულობს პიროვნებას აზრით და გრძნობით თანაზიარს. უმეგობრო და უამხანაგო, სევდიანად სჩივის—

"მე ყველასაგან უარყოფილი,
მარად დევნილი შურიანობით,
საყვარლისგანაც მწარედ დასჯილი,
მთლად გულ-მოწყლული, დაღლილი ბრძოლით,

ვიწექ ჩემს სახლში უამხანაგო
და უმეგობრო, მარტოკა ერთი;
ვფიქრობდი, მისთვის თავი წამეგო,
ვის მიზეზითაც მრწამს კიდევ ღმერთი".

/პოეტი და ჩვენება. პირველი ვარიანტი. 1876წ./.

საინტერესოა ჯაბა გურიელისადმი გაგზავნილი ბარათი, რომელშიაც რელიეფურად მოსჩანს მგოსნის სევდიანი განწყობილება. მამია სწერს: "როდესაც გული დამიმწუხრდება ხოლმე, რაიცა, შენ კარგათ იცი, ძლიერ ავირად შეიძლება მომიხდეს; არა თუ იმისათვის, რომ ბედი ჩემი აწყობდეს მარადის ხავერდიან ბილიკებს ჩემთვის, არამედ სიმაგრისა გამო ჩემის ხასიათისა,- მაშინვე შენ მომაგონდები!

როცა დავრწმუნდები, როგორათაც მაკიაველი, რომ ყოველი კაცი ბილწია, უსინდისო და პადლეცი, რომ ისინი ღირსნი არიან მხოლოდ ზიზღისა და შეფურთხების, რომ არ არის სინდისი ხალხებში და ჭეშმარიტი განწყობილება, და რომ ამაებისათვის საჭიროა მეტად კარგი კაცი, არ ვიცი, რა მიზეზისა გამო, წარმოიდგები შენ.

როცა ვიფიქრებ, რომ ვარ მარტოთ მარტო ამ სოფელში, შეუპოვარი უსიამოვნებისა და გარემოებისა, ცივი, ამპარტავანი, უშიშარი და უკანასკნელ გაუბედავი თავხედობამდის, მხოლოდ გაუცნობელი, უამხანაგო, უმეგობრო, - ამ დროშიაც მაგონდები შენ ჩემო ჯერ კიდევ მეგობარო.

ოჰ, ჩემო ჯაბა! ნეტავი ყოველი კაცი შენ მოგგავდეს, რომ სასიამოვნო გახდეს ცხოვრება ამ წუთი სოფელში". ასეთივე განწყობილებას ამჟღავნებს მამია, ელეონორა გურიელისადმი მიძღვნილ ლექსში /1871 წ. აპრილი/ და მისდამი გაგზავნილ ბარათებში.

მ. გურიელის არქივში დაცული გამოუქვეყნებელი ლექსები, ნათლად წარმოგვიდგენს პოეტის, ამ პერიოდის, სულიერ განწყობილებას. ლექსში "შენთვის ბუნებას მოუცია ყოვლი ღირსება", [1] მასში ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების ამაოების საკითხს ეხება. აი პიროვნება ყველაფრით შემკული: ჭკუის ძლიერებით, სულის სათნოებით, მტკიცე ხასიათით, გამბედაობით, სიმდიდრით. ბუნებრივია, ასეთი ადამიანი ბედნიერი უნდა იყოს?! მაგრამ არა. დაკვირვებული თვალი მასშიაც შეამჩნევს სევდის ჩრდილს, რომლის უკან ტანჯვა იმალება. პოეტი საყვედურით კითხულობს: რად უნდა იყოს ბუნებაში ასეთი უსამართლობა? ადამიანს არ ძალუძს სურვილისამებრ ცხოვრება, ბედი სდევს მის თავისუფალ მოქმედებას:

"რაც გაქვს არ გახმარს, რაც არა გაქვს იმას განდომებს,
გრძნობები გტანჯავს, გონება გსჯის, ჭკუა გაწუხებს,
მონა ხარ მისი ვინც არ ღირსა შენსა მონებას,
ვხედავ კარგისთვის უძლევია უკეთურებას".

ასეთ ტანჯვაში მოქცეული ადამიანის სიცოცხლე უნაყოფოდ იკარგვის:

"ესრე დღე შენი უსარგებლოდ, უღვთოდ განქრება,
ნიჭი ძვირფასი უნაყოფოდ, ურგოდ წარსწყდება,
და ცნობის მოყვასს უცხოს მგზავრსა, საფლავის მნახველს,
ათი ანბანი მოაგონებს მხოლოდ შენს სახელს".

წარმავლობის იდეა საკმაო სიმკვეთრითაა მოცემული. პოეტი ურწმუნოებას უცხადებს შემოქმედს, რომელმაც ამქვეყნად ამაოება ჩაასახლა.

" ოჰ, შემომქმედო თუ შენ ასრე უსამართლო ხარ,
ვეტყვი თამამად დღეის იქით მე შენ არ მწამხარ,
რად მარტო ერთის მწუხარების ჭურჭლად გაგვხადე,
თუ გასართობლად, შესაქცევრად შენთვის დაგვბადე?!
სადაა შენი კეთილობა, ან დიდი ღმრთობა,
მართლა შენ არ გაქვს კაცობრივი არც ერთი გრძნობა".

მ.გურიელი ტანჯული სულის სიღმობას ამგვარად ხატავს ლირიკულ ლექსში- "კითხვა" /1873 წ./:

"ბრძოლას, ტრფიალსა, ლოთობას, ლხენას
გარდავუხადე საკმაოდ ვალი,
ტანჯვას, ნაღველსა, შურსა და წყენას,
ვეყვ, ვემსახურე მათაც მრავალი.
რაც მისგან მქონდა ვალად დებული
სულ მივუბრუნე მოუკლებელად,
მხოლოდღა დამრჩა სული ტანჯული
სოფლის მწიკვლისგან შეუხებელად".

სულიერად აფორიაქებულმა პოეტმა, ღვინის სმას მიჰყო ხელი. ტანჯვა და სიმწარე ღვინოში სურდა ჩაეკლა. "მამია სვამდა ღვინოს უზომოდ, ყოველთვის და ყოველგან, სადაც კი შეეძლო, ან შეესწრებოდა, - სვამდა შინ, ნაცნობ-მეგობრებთან, სასტუმროებში, რესტორნებში, დუქნებში, ბნელსა და ნოტიო სარდაფებში. როგორც ალფრედ მიუსსემ, საყვარლისგან გულ-ხელ-აღებულმა, მამიამაც მისცა თავი ალკოჰოლს და ნელ-ნელად, ყოველ დღიურის ხანგრძლივის სმით თავი მოიწამლა და დალუპა თავისი ძლიერი ნიჭებულება". /ი.მეუნარგია/.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მ.გურიელი, სწორედ ამ პერიოდში, სთარგმნის ბაირონის "გიაურსა" და ლერმონტოვის "დემონს".

მხატვრული ნაწარმოების ზუსტი თარგმნა რთულ შემოქმედებით პროცესს წარმოადგენს. მთარგმნელი ხშირად მაშინ იმარჯვებს, როცა სტილური ბუნებით და ტემპერამენტით ენათესავება ორიგინალის ავტორს. კ. ჩუკოვსკი წერს: " Как актер выбирает роль соответственно со своим амплуа, так и переводчик должен выбирать оригинал, согласуясь со своим темпераментом, с характером своего дарования".[1] სრულყოფილ თარგმანში ტექსტუალურ სიზუსტესთან ერთად, დაცული უნდა იყოს ორიგინალის რიტმულ-სინტაქსური, მელოდიკო-ინტონაციური თავისებურებანი. ზუსტი თარგმანი არღვევს ორიგინალის რიტმის ცოცხალ პულსაციას, შლის მოხდენილ ფერსა და ეპითეტს.

"დემონის" თარგმანში გვხვდება მთელი რიგი სტილური და მხატვრულ-ფორმალური ხასიათის დეფექტები. ორიგინალში ვკითხულობთ:

Всегда безмолвно на долины
Глядел с утеса мрачный дом.

თარგმანი: რაღაცა ჩუმათ ყველთვის დაბლობში
ჩასცქეროდა კლდიდამ ბნელი სახლები.

დარღვეულია ტექსტუალურ სიზუსტესთან ერთად /"სახლები"/, რიტმიც. "ყველთვის"- უსწორო ფორმით ნახმარი სიტყვაა. ზოგჯერ მამია ხმარობს ისეთ გამოთქმას, რომელსაც დისონანსი შეაქვს თარგმანში:

"მის უკან ჯაჭვი აქლემებისა,
მწკრივად შარაზე მიდიოდებიან."

"მიდიოდებიან" უხეშად ისმის. მხატვრულ თარგმანში მიუღე-

--------------------

1) К.И.Чуковский. Искусство перевода.

ბედის ასეთი გამოთქმის ხმარება.[1]

არა სწორად არის წარმოებული სიტყვა "სახელი", ამ ადგილას:

მის ჩოხის სახელებს ქარის ცელქობა
ანძრევს.... და სხვ.[2]

თარგმანში გვხვდება სხვა ენობრივი უმართებლობანი: შუაღამე-ბი, ყველთვის დაბლობში, მიმორბიოდა, ბურულამდი, ვნებათ ღელვები და სხვ.

არა სწორად არის თარგმნილი პოემის მე-16 თავის ბოლო ტაეპი. აქ, ლერმონტოვს, დემონის დასახასიათებლად, გამოყენებული აქვს რთული შედარება. იგი ასეთ კონტრასტულ ფერებში ხატავს დემონის სახეს: Он был похож на вечер ясный,
на день, на ночь, на мрак, на свет!

თარგმანში ეს აზრი არა სჩანს, მკითხველი გაურკვევლობაში ვარდება. ლექსის მუსიკალურ-რიტმიული მხარე სუსტია.

თარგმანის მთელი რიგი ადგილები რიტმიულად გაუმართავი და დაუხვეწავია.[3] საილუსტრაციოდ მოვიტანოთ დემონის სასიყვარულო აღსარებიდან შემდეგი ადგილი:

მიყვარხარ მე შენ სულ სხვა ვნებებით,
რა რიგ არ ძალგიძს შენ შეყვარება,
ყოვლის სურვილით, ყოვლის შეძლებით
უკვდავის აზრის და ზედ ოცნება
სახმილსა მიდებს წარმოდგენებით.

შეადარეთ ორიგინალს:
1) [illegible] (თავი I).
2) თავი X.
3/ შეად. თავები: I, III, IV, VI, VII, VIII, X, XII /პირველი ნაწილი/
I, II, III, V, VII /მეორე ნაწილი/.

Люблю тебя не здешней страстью,
Как полюбить не можешь ты:
Всем упоеньем, всею властью
Безсмертной мысли и мечты...

თარგმანში დარღვეულია ორიგინალის როგორც რიტმი, ისე რითმა.

ლერმონტოვი პოემის მეორე ნაწილს ამგვარად იწყებს:

" Отец! отец! оставь угрозы,
Свою Тамару не брани.
Я плачу- видишь эти слезы ?
Уже не первыя они...

თარგმანში ეს ადგილი სუსტად არის გადმოცემული:

მამავ, დაეხსენ ფუქსა ჯავრობას,
შენ საწყალს თამარს ნულარ უწყრები:
ხომ ხედავ ჩემსა უწყვეტს ცრემლობას,
და არ არიან ეს პირველები.

ქართული ენისათვის უცხოა ხაზგასმული სიტყვის მოცემული ფორმით ხმარება. იგი არ ითვისებს და არ იყენებს განყენებული აზრის გამომხატველ სიტყვათა მრავლობით რიცხვს. მაგალითად არ ითქმის: ბედნიერებები, უბედურებები, შვებები, სიყვარულები და სხვა. მ. გურიელი ხმარობს: პირველები, ფიცები, შვებები, შიშები, რასაც გრამატიკული და აკუსტიკური დისონანსი შეაქვს თარგმანში.

ზოგიერთი ადგილი დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული, მაგალითად დემონის ფიცი. ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ პოემის ამ ნაწილმა გავლენა მოახდინა მ. გურიელის ორიგინალურ შემოქმედებაზე / "პოეტი და ჩვენება"/.

-------------------

მ.გურიელის თარგმანი სუსტია, იგი ვერ იძლევა ორიგინალის პოეტური სიძლიერის შთაბეჭდილებას. ქართველი საზოგადოების ერთმა ნაწილმა დადებითად შეაფასა თარგმანი.[1] ხოლო მოწინავე, კულტურული ფენა ქართველი ინტელიგენციისა გულგრილად შეხვდა თარგმანს. ი. მეუნარგიას ცნობით, ნიკო ნიკოლაძეს შემდეგი აზრი გამოუთქვამს ამ საკითხზე: "მამის ნათარგმნი „დემონი" ჩვენ იმიტომ მოვიწონეთ, რომ თითონ მამიამ წაგვიკითხა ეს თარგმანიო".

1872 წ. მ.გურიელი სთარგმნის რამდენიმე ხანას ბაირონის "გიაურიდან".[2] თარგმანი ათმარცვლოვანი ზომით არის შესრულებული. სტილიური დეფექტები და ენობრივი უმართებლობანი აქაც საკმაოდ გვხვდება. თარგმანი პოეტს გაუგზავნია გ. წერეთლისათვის დასაბეჭდად. მისადმი მიმართულ ბარათში, მამია, სწერს: "მე წინათვე ვგრძნობ, რომ ბევრს რამეებს გამოშლიან ამ თარგმანში, მაგრამ ერთს მხოლოდ გთხოვ: არც ერთი სიტყვა არ გადაასწორებინო, ე.ი. არ გადააკეთოს ცენზორმა თავისებურად. დე გამოშალოს რაც უნდა; ჩემის აზრით ისევ ისა სჯობს გამოშლილი დარჩეს, ვიდრე გარდაქმნილი.

ეს რამდენიმე ხანა из "Гяура" იმისთვის ვთარგმნე მე, რომ რაღაც მეტად ეწყობა ჩვენს მხარესა და ჩვენს ხალხს". აქ, მეტად შავ ფერებში ეხატება პოეტს სამშობლოს მდგომარეობა:

"და აპა, ვხედავთ, მრთელს ბუნებაში
საუკუნიდამ სუფევს მშვიდობა;
აქ კი ვნებების ცოფიან ხმაში
მძვინვარებს მგლური წყვდიადში მტრობა.

---

1/ "დროება" 1872წ. N14

2/ "კრებული". 1872 წ. N 10

აქ უგნურობას აღუდგენია
ტახტი საზიზღი ძალადობისა,
და ნათელ მხარეს ბნელი ჰფენია
სინიდის მკვდარის ბედკრულობისა.
როგორც ზროტნი ედემში სულნი
შიგა შეჭრილან, გადმოუყრიათ
ანგელოზები ზეცისა წულნი
და, დოე რომ გაქრა, ვერ გაუგიათ.
რამდენ ბრწყინვალე ეს კუთხე ქვეყნის
არის სამოთხე ამ ქვეყნის ერთი,
იმდენი ხალხში სიბრაზე მხეცის,
კვლა, გამცემლობა და ჯოჯოხეთი".

/ ბაირონის გაურიდამ/.

საყურადღებოა პოემა "რაშიდ ვარდან-ოღლი", რომლის შემოქმედებითი ისტორია 70-იან წლების ბოლო ხანებს ხვდება.[1/]

-----------------------

1/ პოეტის არქივში პოემა 4 ხელნაწერად არის დაცული /86, 87, 88, 89/. პირველი ორი ავტოგრაფს წარმოადგენს/ხელნაწერი 86 სრულია, ხოლო ხელნაწერი 87 დეფექტური, შიგ შესწორებები და გადახაზული ადგილები სჭარბობენ/. ხელნაწერი 89 კირილე ლორთქიფანიძის მიერ არის გადაწერილი. როგორც ჩანს, კირილეს, რომელიც გამოსაცემად ამზადებდა პოეტის თხზულებებს, გადაუწერია პოემა 86 ავტოგრაფიდან და უჩვენებია მამისათვის. უკანასკნელს წითელი მელნით შესწორებები შეუტანია ტექსტში. ამ სახით დაიბეჭდა 1897წ. გამოცემაში.

---

საინტერესოა ნაწარმოების შემოქმედების ისტორია. პოემის პირველი ვარიანტი, რომელსაც შესავალი ერთვა, ეკუთვნის 1872 წ. შესავლის ბოლო ტაეპში ვკითხულობთ:

" მაშ გავაგრძელებ ჩემსა სასჯელსა,
ნაცნობ რაშიდსა მოვუბრუნდები:
ვიტვირთებ საქმეს ერთხელაც ძნელსა,
ცდას სიკვდილამდის არ დავეხსნები"...

1872წ. სექტემბერში მამია გ. წერეთლისადმი გაგზავნილ ბარათში სწერს: "მე დავსწერე ერთი ნამცეცა პოემა, რომელიც დასრულებული არის კიდევაც, მხოლოდ ჯერ არ გადამითეთრებია, იმედი მაქვს გაიგებ რის მიზეზითაც უნდა მომხდარიყოს ეს...
ჰო რა გულით მინდა, ერთი გნახო და გამოვიკითხო შენგან რჩევა ამ პოემის შესახებ ".

1879 წ. დაწერილი ლექსი "კარჩხალის მთები", როგორც ქვესათაური გვამცნობს, პოემაში უნდა შესულიყო. რაღაც მიზეზის გამო ავტორს არ შეუტანია საბოლოო ტექსტში. მ. გურიელის არქივში დაცული ავტოგრაფი "ვისია" /122/, წარმოადგენს პოემის ნაწილს. "ვისია" დაწერილია 1878-79 წ.წ. პოეტს იგი გაუგზავნია კირ. ლორთქიფანიძისთვის. "თუმცა შენმეუბნები, სწერს მამია კირილეს 1879 წ. 17 ივნისს, რომ ის მე მეკუთვნის როგორათაც თხზულება, მაგრამ მე ამაზე გეტყვი: "ვისია" მართალია ჩემია, მხოლოდ რვეული და თვით თხზულება კი შენი საკუთრება არის... როგორათაც გულმომჭირნეს და მზრუნველს საზოგადო სარგებლობისათვის /ინტერესებისათვის/ გეკუთვნის შენ ეს თხზულება, და არა მე დაუდევნელსა და თითქმის უზრუნველს". ამავე წერილში პოეტი პირდება კირილეს პოემის დასრუ-

---

ლებას - "რაც შეეხება გაგრძელებას, გაძლევ პირობას ვიხმარო ყოველი ღონისძიება, და ამასთან ესეც უნდა გითხრა, რომ ვგრძნობ რაღაცა ძალას, რომელიც მიჩიჩინებს ავიღო ისევ დაჟანგული კალამი". პოემამ საბოლოო სახე 1883 წ. მიიღო.

ნაწარმოების ფაბულარული სქემა რომანტიული პოემის ქარგაზეა აგებული. ცნობილია, რომ კლასიკურ პოემის შინაარსს შეადგენს ფაქტებით და მოქმედებით მდიდარი ისტორიული შემთხვევა /ომი, დაპყრობა, გამეფება და სხვა/. მოქმედება ვითარდება თანმიმდევრად, შენელებული სახით, ეპიზოდები იშლებიან ვრცლად, ეპიური სიზვიადით. კლასიკურ პოემაში თხრობა ობიექტურია, პოეტის პირადი გრძნობები უკანა პლანზეა გადაწეულნი. მას ახასიათებს მაჟორული ტონი და ამაღლებული სიტყვათა წყობა.

რომანტიული პოემა არსებითად განსხვავდება კლასიკური პოემისაგან. მასში სიმძიმის ცენტრი გადატანილია არა გარეშე მოვლენებზე, არამედ გმირის პირად დრამაში, პირად განცდებში. გმირის შინაგანი ცხოვრების კონფლიქტზე იგება მოქმედება. მთავარია გმირის შინაგანცდების: მწუხარების, გულგატეხილობის, მარტოობის, სევდის, ჩვენება. გმირის სულიერ განცდებში მოსჩანს თვით ავტორის განწყობილება. ზოგჯერ ავტორი ისე ახლო სდგას გმირთან, რომ იშლება მათ შორის განსხვავება. რომანტიული პოემა ლირიკულ-სუბიექტური ხასიათისაა... მასში გაშლილი სიტუაციები, რომელიც მთავარი მომქმედი პირის განწყობილებების ჩვენებას ემსახურება, მეტად დაძაბული და დრამატიულია. იგი დატვირთულია დრამატიული მონოლოგებით და დიალოგებით. 1/

ქართულ ლიტერატურაში ღარიბად არის წარმოდგენილი რომანტიული პოემა. გრ. ორბელიანსა და ნ. ბარათაშვილს აქვთ

---

1/ იხ. შ. რადიანი. ლიტ. მეცნიერება. 1936 წ. გვ. 101- 102.

ამგვარი პოემების შექმნის ცდა, მაგრამ ისინი ვერ იცავენ ბოლომდე რომანტიული პოემის პრინციპებს. მ. გურიელი რომანტიულად ანვითარებს პოემის სიუჟეტსა და სიტუაციებს.

რაშიდი რომანტიული გმირის ყალიბზეა ჩამოსხმული. მასში რელიეფურად მოჩანს ავტორის ფსიქოლოგიური განწყობილება.[1] რაშიდმა ცხოვრებაში ბევრი რამ გადაიტანა და განიცადა. იბრძოდა ოსმალთა ჯარში მთაშაველების წინააღმდეგ, შეტაკების დროს დაჭრა მათი მეთაური. კეთილი და რაინდული გულის კარნახით, მეგობრული მზრუნველობა გამოიჩინა დამარცხებული მტრის წინაშე. პირადი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო, გაანთავისუფლა ტყვე და თვით მართლმსაჯულების წინაშე წარსდგა. თავისუფლების მოტრფიალე რაშიდი თავს აღწევს ტყვეობას. გადალახავს ოსმალთ საზღვარს და დუშმიშის სამთავროში ამოჰყოფს თავს. ეროვნული თავისუფლების პრინციპით და მეგობრობის ღრმა პატივისცემით გამსჭვალული რაშიდი, ენერგიულ დახმარებას უწევს მთაშაველებს. მისი მღელვარე სული აქაც არ ჩერდება. გადადის ჩერქეზეთში და ორი წლის განმავლობაში ებრძვის მათ მტრებს, - ლეკებს. ბოლოს სამშობლოში ბრუნდება.

რაშიდის სული დაუოკებელია, ვნებები დაუყუჩებელნი. იგი ბედისა და სოფლის მომდურავია.

" სახესა მისსა შეეტყობოდა
შინაგან ძრწოლა, დარდიანობა ;
არრა ესმოდა, არც რას ამბობდა,
თვალში წასვლოდა მას მთელი გრძნობა".

---

/1/ ი. ვინოგრადოვი მართებულად შენიშნავს: "Писатель выбирает и соединяет события так, чтобы обрисовать людей и их отношения с нужной ему стороны и в нужном ему освещении". (Борьба за стиль. Сборник статей. 1937г. ст. 191).

პოეტი მოკრძალებით ეკიდება რაშიდის სულიერი წყლულების გახსნას. ვისიას აფრთხილებს, ნუ გააღვიძებს ცხოვრებისაგან ურდომილსა და დაქანცულ მძინარე ლომს, -

"თორემ, ვით წყარო მთისა მაღლისა,
ზამთრისა ყინვით შეყენებული,
ბორკილს შეხსნის მზე გაზაფხულისა,
გარდმოიჭრება გაშფოთებული,
და მაშინ, რაც გინდ წინ შემოუხვდეს,
თან გაიტაცებს, ვერ დაუდგება,
მას ყველაფერი თან უნდა გაჰყვეს,
მათაც დაახრჩობს, თვითაც დაიხრჩობა".

ასეთია ცხოვრებით უკმაყოფილო გმირის სულიერი მღელვარება. რაშიდის მწუხარება გამოწვეულია პირადი ტანჯვით და სამშობლოს ბედის უცოდნელობით. ეს ჩანს მონოლოგიდან, რომელიც მთლიანად მეორე თავს შეიცავს.

რაშიდმა სულიერი სიმშვიდე ვერ იპოვა ვერც სამშობლოში და ვერც მის გარეთ. ოსმალეთსა და ჩერქეზეთში ყოფნის დროს, სურდა აშლილი ვნებები სამხედრო ბრძოლებით დაეყუჩებინა, ხმლის ცრიალსა და სისხლის ღვრაში ჩაეკლა სულიერი მარტოობა, მაგრამ ამაოდ. როგორც ცნობილია, გულგატეხილობითა და მარტოობით შეპყრობილნი ადამიანები ბუნების წიაღში ნახულობდნენ ნავსაყუდარს. ბუნება, როგორც ასოციალური კატეგორია, ანდამაცივით იზიდავდათ მათ. რაშიდისათვის ესეც მიუწვდომელია. სიყვარულიც ხომ მძლავრი ფერმენტი იყო რომანტიულად განწყობილი ადამიანის ვნებათა დასაყუჩებლად. რაშიდი აქაც ვერ ნახულობს თავშესაფარს. იგი ცხოვრების გზაზე

შეხვდება მომხიბვლელ ვისიას. პოეტი მოხდენილად ხატავს ვისიას მშვენიერებას: " აი, ლბილ სელში, რა რიგ მოწყვეტით,

ჩაეშო, მუბლზე დაიდო ხელი!
ნეტავ თუ გასძღეს ხანგრძლივის ჭვრეტით
თვალები, ერთხელ მისი მნახველი!
შეხე უსიტყველს, მოშლით მჯდომარეს,
ჰგავს ხელოვნებით ქვისგან გათლილსა,
ზეგარდმო ნიჭსა, სიბრძნით ბრწყინვალეს,
და ვნებისა ხატს, თნებით აღვსილსა!".

ვისიას მშვენიერებამაც ვერ მოჰხიბლა რაშიდის გული. მწარე სინამდვილემ მის შემეცნებაში სკეპტიკური აზრი გამოკვანძა: "ქალი რას ჰპოებს დექნილის მკერდში!" ამ აზრს ბოლომდე იცავს. ბოღმა ნარევი სევდა და სკეპტიციზმი ისმის რაშიდის უკანასკნელ მონოლოგშიაც:

"ვინაო, ქალო? მე რაშიდი ვარ
ურჯულო, უმღვთო, უმხანაგო,
სიყრმიდამ შავ-ბედს უწამებივარ,
და ვერ ვახერხებ თავი წავაგო.
შურით აღვსილი, გაშმაგებული,
მშიერ მგელივით, ველად დავრბივარ,
იმიდნათ ვარ ცით განწირული,
რომ სამშობლოსაც არად ვარგივარ".

ყურადსაღებია პოემის მეორე მომქმედი პირი-ვისია. ისიც პესიმისტური განწყობილებით არის გამსჭვალული. პოეტი მხატვრული პარალელებით ცდილობს გამოსახოს ვისიას სულიერი მარტოობა. რომანტიული პოემისათვის დამახასიათებელი ლირიკული გადახვევა კარგად არის გამოყენებული.

მ.გურიელის აზრით: ძნელია, როცა გონიერ კაცს სდევნის უწყალო უბედურება; როდესაც მუშას დაქანცულს, მშიერს, დუკმასა სტყუებს უგუნურება; ძნელია, ვისაც სასტიკი სენი სხეულს ულეწს, დღეებს უმოკლებს; სიღარიბე და უსამართლობა სულს ჯანს აკლებს, დღეებს ამოკლებს.

მძიმე ასატანია, როცა გულის მეგობარს დიდი ხნით ვემშვიდობებით; ვსტოვებთ სამშობლოს მთა და ბარს, ან ხანგრძლივ რასმეს ველოდინებით. მაგრამ ყველა ამაზე უფრო ძნელია სულის სიცარიელე.

ავადმყოფობის დროს ადამიანი ტკივილებს გრძნობს, სიღარიბეში ბედს სწყევლის, ტყვეობაში ძალადობას გმობს, გაჭირვებაში ღვთისგან ხსნას ელის. შორს განდევნილი სწუხს, იტანჯება, სამშობლო ტკბილი რა აგონდება. ტკივილის აღქმა, ბედის წყევლა, ძალადობის დაგმობა, წუხილი, ტანჯვა და ცრემლი, ადამიანის გულსა და სულს მალამოდ ედება. სულიერი სიცარიელის დროს ტანჯვა გაათკეცებულია. ადამიანი კარგავს სასოებას, გონება უშფოთს, გული უდნება, აზრი ეკარგვის.

" რა არის კაცი, თუ მისი სული
უმიზნო არის და ცარიელი,
თუ გონებაა მისი დახშული,
ეს ნიჭი ცისა გასაკვირველი!
მაშინ მეფე ეგ თვით შეძლებული
დაემგზავსება მომღონარ ლიმონსა,
მცენარე ქმნილი ის უგრძნობელი
რით სჯობს მკვდარ-ცოცხალ ალიტრიმონსა".

რაშიდს სწამს სულიერი მეგობრობა, საქმით ამტკიცებს მეგობრულ გრძნობას. მისი დამოკიდებულება დუშმიშთან და

თემურიან ამისი ნათელი ილუსტრაცია არის. ესეც ხომ დამახასიათებელი სტილიური ნიშანია რომანტიული პოემისათვის.

პოემა ათმარცვლოვანი ზომით არის დაწერილი. მასში, ძირითადად, ქალური ჯვარედინი რითმაა გამოყენებული. გვხვდება არა ზუსტი რითმებიც: ასონანსები /რითმა, სადაც მხოლოდ ხმოვანი ბგერები იგივეობენ/, კონსონანსები /სადაც მხოლოდ თანხმოვნები იგივეობენ/ და არათანაბარ მარცვლიანი რითმები /როცა ერთი რითმის ქვეშ მდგომი სტრიქონების კლაუზულები სხვადასხვა ზომისანი არიან: ერთი დაქტილურია, მეორე ქალური, ან ერთი ქალურია, მეორე ვაჟური/. მაგრამ ეს წესი, ზოგჯერ, ირღვევა და პროზაიზმები იჭერენ წყობილსიტყვაობის ადგილს. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მე-16 თავის ბოლო ტაეპი:

" დერვიში, უცხო კაცი სხვა მხრეთი,
უჩვეულებო რაღაც ისრეთი,
თავით ფეხამდის ახირებული,
ის დაუდეგი, მარად მოლოლავი,
ბევრისა მცოდნე, ბევრის მნახავი,
არის სასტიკად გაჩუმებული".[1]

ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული პოეტური თქმის, შედარების, ზუსტ გამოკვეთასა და დახვეწას. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: კალმახები წყალში გიჟ ბავშვებივით ხლტიან, ცელქობენ /თავი 6/; ბადე წყალში ჯირკივით გაატყაპუნა /თავი 7/; პოეტი ტყვიას ადარებს ანგელოზს : ეს უმური ანგელოზები ვისაც ეწვევა, სული ამოსდის /თავი 42/; ადამიანის განწყობილება ედრება თევზს / თავი 40/ და სხვა.

---------------

1/ შეად. მე-12 თავის დასაწყისი.

ენა, ლექსიკა, აქა-იქ გაუმართავი და დაუხვეწავია. გვხვდება უსწორო ფორმის სიტყვები: სტრიალებს, სიმართლეები, ოცნებაები, ნდომები, ესეები, სნება/სნეულების ნაცვლად/, საძღნობელი, თანხმად, სომენ; გაუმართავი თქმები: თუ გარდაწყვეტით მიციან მკვდარი და ყურბანსა ჰკვლენ ჩემთვის ჯამეში. შავ-მთიელების წარმომადგენლები. იმღვიძრეთ გამსწვრივ ამ ერთსა ღამეს. მოციქულები წადის და მიდის. ჭკვიანი ბერი, რასაც არ ესავდეს. თავის სხვადასხვა ჩაჩუტებითა; არქაიზმი: ვითარ, მთართმნძნებს, უბარი, დამიუბრდი, მრქვით და სხვა. ბურულიზმი: ფატუჩობს, მდგურსა /მდგარის ნაცვლად/; ბარბარიზმი: დავასილაღე, მირაღა, ალლაჰ-ჰექფერუნ; რუხიციზმი: ური და სხვა.

გარდა ენობრივი დეფექტებისა, პოემას კომპოზიციური დეფექტიც ახასიათებს: მოქმედება ნელა ვითარდება, მოჭარბებული პროზაიზმები ამძიმებენ ბუნებრივ თხრობას და ნაწარმოებს გაუმართავი რიტორიკის დაღს ასვამენ. შემდეგ, მთავარი გმირის- რაშიდის, თხრობაში სიტუაციების ბუნებრივი გაშლა წყდება. განსაკუთრებით რელიეფურად ეს მომენტი სჩანს 35 თავის შემდეგ.

პოემას დადებითი მხარეებიც აქვს. შევჩერდეთ შედარება-მეტაფორებზე. კავკასიის მთის მწვერვალზე, შავი ზღვის მახლობლად, სდგას "დერვიშულ ტალავარში" გახვეული რაშიდი. სევდასაა მიცემული. პოეტი ასეთი შედარებით ხატავს ამ ფაქტს: "ქვის კედელივით უძრავად იყო". რაშიდის სული სატრფოსკენ მიილტვის, მას უხმობს, მისი "ხატი აქვს მარად უბეში". ადამიანის სურვილი, ნდომა ცვალებადია: "ნდომა ტაროსის

მზგავსად იწვლება". მგოსანი ლირიული ტონით ხატავს მარ-ტოობით შეწუხებული ვისიას ოთახში შესვლის სურათს. ოთახში ლამპარი ანათებს,-

"რომლის მკრთალ ჩრდილსა, ფინზედა მორწყულს,
მისი პაწაწა სტკეპნის ფეხები
და მათ სირმიან წუღებით მორთულს
ეალერსება ლამპრის სხივები".

პოეტს შეშურს ლამპრის სხივის ბედი, რომელსაც ძვირფასი სამკაული "დაჰყავს ხმელზე". ვისიას მშვენიერება, "მწველ თვალთა მიმოვლინება", გრძნობათა მოზღვავებას იწვევს, ასეთი შედარებებით ცხოველდება სურათი,-

" როგორც ცდომილნი მახით ფრთოსნები
მათ სხივ ქვეშ გულნი დაფართხალობენ".

...

" შეხე უსიტყველს, მოშლით მჯდომარეს,
ჰგავს ხელოვნებით ქვისგან გათლილსა,
ზეგარდმო ნიჭსა, სიბრძნით ბრწყინვალეს,
და ვნებისა ხატს, თნებით აღვსილსა!".

პოეტი, ხშირად, სილამაზისა და მშვენიერების გადმოცემის დროს, ასტრალურ შედარებებს მიმართავს. მაგალითები:

"ქალო ლამაზო ცისკრისა მზგავსო".

...

" სქელ წარბებიდამ ცეცხლის თვალები
თითქო ცის მეფეს ებაასება,
მათში ათასი ერთად გრძნობები,
ვით წყალში მთვარე, კამკამებს, ჰკრთება".

" ღიმილი მისი ჟამს მოგაგონებს
ბნელში მავალს, რომ გზა დაგეკარგოს,
თითქო ელვისებრ გზას ის გიჩვენებს,
წამის სინათლით სცდილობს რამ გარგოს".

მე-13 თავში პოეტური პარალელიზმის გამოყენებით რელიეფურად არის მოცემული სევდა-მწუხარების, "სულიერი სიცარიელის", სიმწვავე.[1]

პოემაში შედარებით დამაკმაყოფილებლად არის დახატული ბატალური სცენები. ლექსი ზოგიერთ თავში დიალოგური ფორმით არის გაშლილი, რაც კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე.

დამაკმაყოფილებელია მე-18 თავში მოცემული პოეტური სახე: დამწუხრებული რაშიდის გამოფხიზლება, მძინარე ლომის გაღვიძებას ედრება. შეტაკების წინ მეომრის განწყობილებას ამგვარად ხატავს პოეტი:

" მკერდი ზღვის მზგავსად ატოკებული
უქაფო ზვირთებს დაადგორებდა".

---

1/ შდრ. "პოეტი და ჩვენებაში", პოეტის დასახასიათებლად გამოყენებული პარალელიზმი.

# თ ა ვ ი V.

მამიას ძმები. ნაცნობ-მეგობართა წრე. ნაკვესები, ზმები, ექსპრომტები. მამია დეკლამატორი. მეფე ლირის კანდიდა-ტები: დ. ყიფიანი, მ. გურიელი, ი. ყარაშვილი, დ. ერისთავი და კ. ყიფიანი.

მამიას ჰყავდა ექვსი ძმა: ნიკო /რომელიც ბავშვობა-შივე გარდაიცვალა/, ჯამბაკური, ვახტანგი, ალექსანდრე, ტელე-მაკი და ვარდენი. ყველა ისინი მოლექსეობდნენ. ი. მეუნარგია მათ "გურიის საზოგადოების შესამჩნევ წევრებს" უწოდებს. ჯამბაკური მუსიკალურ სტატიებსაც სწერდა.[1] პოეტის არქი-ვის შესწავლის დროს, ჩვენ ვნახეთ ტელემაკ გურიელის წერი-ლი მამიასადმი. წერილი გამოგზავნილია ოდესიდან.

"უძვირფასესო მამია!, - სწერს ტელემაკი ძმას, - უცევე დაიმსახურის ამ მცირეოდენ ლექსთ პწკრებმა, გამოსყიდ-ვა აქამდისინ ჩემი ურიგოთ მოქცევის შესახებ ბარათის მოუ-წერლობისა; ეს ის არის მამია როცა რამე გაჭირვებაში და მწუხარებაში ჩავვარდები შაირის დაწერად ავჟღერდები და თუ რამ, ამ ჩემმა უმუზო ბუნებამ აღმოთქმა შესძლო, იმა-ვე დროს შენ მყავხარ ფიქრში. და შენზე არის ყოველთვის მოწერილი, ყოველ ამნაირ ჩემის სულის განწყობილებაზე შენთ-ვის მომინდება მოწერა, თუმცა მუზის სიღარიბით, ყოველის მის რაც მინდა გადმოგცე ვგრძნობ მათსზე აღმობეჭდვას ერთობ ბევრი აკლია, მაგრამ ვიმედობ: ამ მოციქულს რაც მოაკლდება და ვერ უმჭევრმეტყველებია, პოეტის წინაშე ბევ-

---

[1] "თითოდე სიტყვა ქართულის გალობის გავრცელების შესახებ" /ივერია: 1897წ. N 135/.

რის თქმა არ არის საჭირო. მცირე მოვლენებით და სიტყვითაც ბევრს სურათს დახატავს; მე ვიხმარე ერთი სიტყვა ამ ლექსში და შეიძლება თუ არა? მაგალითად: "საწინდრით", რა აზრზედაც მე ვიხმარე იმაზედ ძლიერ ხარაკტერული არის, სხვა ენაზე კარგად გამოდის ეს სიტყვა. მაგალითად არის ერთ წიგნში ანგლიურიდამ რუსულში: Таким образом дети одной и той же страны выходят на жизненную дорогу с далеко неодинаковыми залогами на успех...

ბოდიშის თხოვნით გკოცნი კარგს გულს. გთხოვთ ხსოვნას, შენი მარად ერთგული ტელემაკი".

ლექსი ტელემაკ გურიელისა.

დრო იყო ჩემთვის გემეტებოდა,
მამობრივადაც დაგილოცივარ,
ყოველი კარგი შემომსწრებოდა,
ვიგონებ იმ დღეს მარტო როცა ვარ;
კიდევაც ვსცადე რამდენს შესძლებდა,
ვიწრო საწინდრით ჩემი ცხოვრება,
ხელ ყოფა მათი მე გამებედა
შეგსრულებოდა შენ მედარება;
მაგრამ ლოცვებში მხვედრი არ გვიჭრის
მსურს მოგაგონო მამის ძვირო!
თუ აწმყო დროები ღატაკი არის
ვისთვისაც უფრო არის საჭირო,
იცი, რომ გროვას კმაყოფილება
იმავ დროს ეტრფის როცა იწვევენ?
ჩვენთვის ძვირობენ მეტად ცვლილება,
ხალხი ხომ გვიცნობს, თუმც სხვები გვმტრობენ,

მაგრამ ლათინთა ძველ იგავები,
როცა ვიხსენებ მაიმედებენ.
„სადც კარგად, მაგრად არს სხეულები
იქ სულის მრთელად განისვენებენ";
ასრე სიმტკიცით ჩვენ უნდა განვლოთ
რამოდენიმე რიცხვები წელთა
და იმ მიზნისთვის აზრი ვამრავლოთ
ბედნიერება რაც არს ყოველთა...

1888 წ. 11-ს აპრილს. ადესა.

ჯაბა გურიელის ლექსები ცნობილი ყოფილა გურიაში. ჩვენს ბელეტრისტს, ე. ნინოშვილს, მესამეხარისხოვან მოლექსეთა პოეზიის აღსანიშნავათ, სპეციალური ტერმინი მოუგონია — "ჯამბაკურიზმი".

მამიას ძმები მოხდენილი "მოსალმუნეები" ყოფილან. გურიაში "სალმუნობა" ნიშნავდა შემდეგს: ოთხსტრიქონიანი შაირი ოთხ კაცს უნდა შეედგინა: დაიწყებდა ერთი, მეორეს უნდა მიეწყო მეორე სტრიქონი რითმით, შემდეგ მესამესა და მეოთხეს. ერთხელ მამიასთან სტუმრად ყოფილა ყარამან თავდგირიძე.[1] ყარამანს უყვარდა მამიას და- ივდითი და მის ხელს თხოულობდა. ძველი ტრადიციული წესით, სანამ ოჯახის უფროსი ნებას არ დართავდა, საცოლე საქმროს ვერ დაელაპარაკებოდა. ყარამანთან ერთად სუფრასთან ისხდნენ: ივდითი, მამია, ჯაბა და ტელემაქი; ყარამანმა აიღო პატარა ქაღალდი და დასწერა:

---

1/ ყარამან თავდგირიძე მოლექსეობდა. საქ. მუზეუმში დაცულია რამდენიმე მისი ლექსი /H855/.

არ გრცხვენია უმადურო ენა, რომ არ აგიბამს?

ჯაბამ მიაწყო:

შენ ჩვენ შორის სიყვარული ოქროს ჯაჭვით გაგიბამს,

ტელემაკმა განაგრძო:

გაიწითლა გასწყვიტო, ამას გული არ გიზამს...

მამიამ დაამთავრა:

და ისეთიც კი გიქნია რკინის ჯაჭვით დაგიბამს!

მეორე მაგალითი: ოზურგეთიდან ლესას /მამიას სოფელია/ მიდიოდნენ ცხენებით ჯაბა გურიელი, ტარიელ თავდგირიძე და გოჯასპირ მგელაძე. გზაში, სოფელ ჯუმათთან, ღომის საკრეფელში, დაინახეს ერთი შესანიშნავი სილამაზის ქალი. გააჩერეს ცხენები და მიესალმნენ. მგზავრებმა მოინდომეს შთაბეჭდილება ლექსით გამოეთქვათ.

დაიწყო ტარიელმა:

ოზურგეთით მოვდიოდით ტარიელ და კნიაზ ჯაბა,

განაგრძო ჯაბამ:

ვნახეთ ქალი საკრეფელში თეთრი, სუფთა, შავ თვალ-წარბა;

მიაწყო გოჯასპირმა:

ისეთი თვალით შეგვხედა, ერთი სიტყვით შეგვეხარბა!

დასაბოლოვებული სიტყვები ისეთი უნდოდათ ჯაბას და ტარიელს მოეფიქრებინათ, რომ ღირსეული, ლიტერატურული ეთიკის შესაფერი, ვულგარულობას მოკლებული ყოფილიყო და თანაც გულის ასატოკებელი, მაგრამ არ დააცალა გოჯასპირმა და წამოიძახა:

გადმოხტა უცბად გოჯასპირ, კაკალ გულზე მიეძაბა!

მამიას წრეში დიდად გავრცელებული იყო ზმით აზრის გამოთქმა. სადარბაზო შეკრებისას, სუფრაზე, წვეულებაში, ყველა ცდილობდა

მიეპყრო საზოგადოების ყურადღება მოხდენილი ზმებით. მა-
მიას ეადვილებოდა გარემოების შესაფერი ზმის გამოთქმა.
ერთ წვეულებაში ღვინოს სვამდა და ისე იჯდა, რომ ზურგი
შემოსვლელ კარებისკენ ჰქონდა შექცეული: შემომსვლელს, ან
შემომტანს, ვერ ხედავდა. ამ დროს ბეჭი შემოიტანეს. ჯაბამ
მოახსენა:

ინებე ჭიქით დალევა.

მამიამ არ იცოდა რა ხდებოდა მის ზურგს უკან, ისე უპასუხა:

საამოთ ალევინებს.

სუფრაზე შემომსხდარნი ცდილობდნენ ყოველი შესამჩნევი სა-
განი ზმით დაესახელებინათ. ერთ წვეულებაში, რომელსაც მა-
მიასთან ერთად, ჯაბა, ტელემაკი და სიმონ გუგუნავა ესწრე-
ბოდნენ, შემოიტანეს ხილეულობა. მამიამ შეამჩნია ეს.

მამია /იწყებს/: დამისხ ალის ფერის ღვინო, იგი
შეიქმს წითლად ბაგეს.

ჯაბა/აგრძელებს/: ვერ დავულევ, აშლილი ვარ, ღვინოს იმ ჩემ
ამხანაგებს.

ტელემაკი /მიაწყობს/: რო ვიყიდო ტურის ტყავი, ვინ გამიცვლის
შიგ ფარდაგებს.

სიმონი/ამთავრებს/: მალე ღვინო მოგვერევა, ვერას ვიტყვით ჩვე
გასაგებს. 1/

ერთხელ მამიასთან სტუმრად ყოფილა ეპისკოპოზი
გრიგოლ დადიანი, რომელსაც მოუსურვებია გაგება-შესაძლე-
ბელია, თუ არა, რაიმე აზრის გამოთქმა ზმებით ლექსში.
მამიას, იქვე ხანდაუყოვნებლად, დაუწერია შემდეგი ლექსი:

მდინარე ეგრი გოლვიან დღეში მოწყურებულთა
წყურვილს უნელებს,

ხან ადიდდება, ახრჩობს ერს და მღვდელთ მთავრის
მამულს მოურწყავს ველებს;

ენგური აქვს ამ წყალს სახელად, იქ ჰკრეფს
მეგრელი იის ყვავილებს,

---

1/ გ.დგებუაძის ცნობა.

არ გვინდა და ნილოსის წყალი, ჩვენ სხვა მდინარე ვერას გვიშველის.

/გამოდის: გრიგოლ დადიანი-მღვდელთმთავარი გურია-მეგრელიის/.

პოეტის არქივში დაცულია ავტოგრაფი /99/, რომელშიაც შეტანილია ზმით დაწერილი ლექსი:

ბარკალმა ხიდზე მისუსტა, მაღლა ვიძახი შველასა,
თავადო რა გულისა ხარ, მევე შეგატყობ ყველასა;
კაზე თხის ხორცით გავაძღოთ, მუცელზე წამოვერავსა,
აწ ვერას გეტყვი ამის მეტს, შეკაზმვა უნდა ყველასა.
მარტო ბიჭი მოდიოდა, საარაკო ბრიყვათ ვნახე,
მექაშა, პილწი ლომი, მისი გემო ვერა ვნახე;
ბორჯომიდან მომავალმა ახალციხე დავინახე;
ხის ნაფოტსა ცეცხლი მენთო, მისი შუქით ლხინი ვნახე.
ულვაშ კოკობა ვაჟკაცსა გვერდს რომ ვუხდე გავსცემ ხმასა,
ქორის ხიზა, ლალის ტყეში, დამეკარგა, ვეძებ მასა,
ფაშა მაიამ მეირთო არვის უგავს საქმე სხვასა,
და დამწერი ამას ამბობს კვლავაც ვიტყვი სხვადასხვასა.

მამია გურიელს, ქართული კულტურისა და მწერლობის გავრცელება-ში, დახმარებას უწევდა გ. შერვაშიძე. გიორგი იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილის, შვილი. ახლობელი ნათესავი მამიასი, ჭრაინდელი თვისების კაცი, მომხიბვლელი სილამაზით შემკული. ჩვენი პოეტი უანგარო სიყვარულით იყო გამსჭვალული მისადმი. მამიამ მას რამდენიმე ლექსი უძღვნა. პოეტი აღტაცებით მიმართავს მიხეილს:

" მე შენცა იცი, ამ ქვეყანაში
რაც რამ კარგია, მინდა, შენ გქონდეს;
ყველა კაცთ შორის, ყოველს მხარეში
სიკეთის შენის ქება ისმოდეს.

ბედი გმონებდეს, ხალხი გეტრფოდეს,
ადგილი გეპყრას მამა-პაპური,
მტერი შენს საწყენს ვერრას იქმოდეს,
ურიცხვი გედოს ღვინო და პური.
მეც გავიგონო, შენმა მოყვარემ,
ეს უცხო შენი ბედნიერება;
ათას წელს სვიანს გინათოს მთვარემ,
მზემან გადმოგქცეს თვისი შვენება".

გიორგი მოლექსე და მწერალი იყო. უმთავრესად, სალაღობო-საარშიყო ლექსებს სწერდა.

მამია და მისი მახლობლები, ცდილობდნენ ყოველი უბრალო შემთხვევა ლექსით აღენიშნათ. ლექსით განწყობილების გამოთქმა ძალიან გავრცელებული იყო მათ წრეში. იგი წარმოადგენდა კოლექტიური შემოქმედების თავისებურ ჟანრს. ერთხელ ქუთაისის ქუჩებში დასეირნობდნენ მამია, გიორგი შერვაშიძე, კოწია ერისთავი და ბექან ბერიძე. ეძებდნენ გასართობ საშუალებას. ამ დროს, სანდრო წერეთლის სახლიდან, მოესმათ სიმღერა. მოისურვეს შესვლა. იქ. გ. შერვაშიძემ, რომელიც ახალი დაბრუნებული იყო ევროპიდან, განაცხადა: დიდი ხანია არ ვყოფილვარ მათთან სადარბაზოთ და, საღამოს ჟამს, მიუწვევლად შესვლას უზრდელობად ჩასთვლიან. მაშინ, მამიას წინადადებით, მასპინძელს მისწერეს ლექსი. იწყებს მამია:

ჩვეულებრივ თქვენსას ლხენით გვინდა რაღაც გვათამაშო,
იქ მღერიან ყმაწვილები: ცურფა მაკა და თან მაშო,
მწუხრის გულის სანუგეშოდ მოგვიმზადეთ ტკბილი საშო,[1]
აბუჩები[2] არ გვიბრძანოთ, არ გვიწოდოთ წმინდა აშო.[3]

---

1/ საშო-საკლესით გალობა, ე.წ. ძილის პირი.
2/ მიუხვედრელნი, შეუგნებელნი.
3/ ქრისტეს მოციქული.

განაგრძობს გიორგი რუსთაველური შაირით:

-ამის მთხოვნელნი ჩვენა ვართ, მთავარი ჩაქვ-აჭარისა,
თან შერვაშიძე აფხაზი, მოყვარე თქვენის მხარისა,
წერწეტი ერისთავი გვყავს, მტერთა დამცემი ზარისა,
ჩვენთან ჩაუქი ბერიძე, ძველთა აზნაურთ გვარისა.

ეს ლექსები, დანიშნულებისამებრ, მიიღო ელისაბედ წერეთლისამ, სანდრო წერეთლის მეუღლემ. მან და მისმა მეგობარმა ქალებმა, მოისურვეს სტუმრების ლექსითვე მოწვევა. საჭირო მოლექსე კაცი. გაგზავნეს 7 ეტლი სხვადასხვა ოჯახში, აკაკის მოსაძებნად. აკაკი იპოვეს პრინც ოლდენბურგისას. მგოსანმა არ მოისურვა წაყოლა, მეეტლე კი არ ეშვებოდა, განუცხადა, - 7 ეტლით დაგეძებდით. აკაკი დათანხმდა. აკაკის მისვლას ქალები აღტაცებით შეხვდნენ. სთხოვეს სტუმრების მოსაწვევად ლექსი დაეწერა. პოეტმა უპასუხა: მე იმათ ლექსით მოვიწვევ, მაგრამ თქვენი ლანძღვაც იქნება ლექსშიო. აი ლექსიც:

თავადსა და მთავრის შვილებს, ერთად გვჩაგრავს დღეს მონება,
რაღა გვრჩება ძველ დროთაგან, თუ არ ტკბილი მოგონება,
უხვი გული, პურ-მარილი, ღხინი, თავის მოწონება,
და თქვენ გვარი მეგობრების ჩვენთან სტუმრად მობრძანება.

მაგრამ ვაი თუ ძველებურად გულმა ვეღარ მოგვიღხინოს,
რადგან დღეს ვერ შევეყრებით იმ ძველებურ თამარს, ნინოს;
ამათ ყველას გარუსებულს ნახავთ, ქალებს სამარცხვინოს,
მაგრამ რა ვქნათ, დავჯერდებით, რომ გადავკრავთ ცოტა ღვინოს. 1/

-- -------------

1/ გ.დგებუაძის ცნობა.

მ.გურიელი გონებამახვილი კაცი იყო.პოეტი,ბავშვობიდანვე, ისეთ წრეში ტრიალებდა,რომ შეუძლებელი იყო არ ეჩინა ამ თვისებას თავი.დათა გურიელის სასახლეში,სადაც პოეტი კარგა ხანს იმყოფებოდა,ჩვეულებად იყო შემოღებული სადარბაზო ერის ორ მოპირდაპირე დასად გაყოფა და მათი შედავება ლექსით,ექსპრომტად.სხვაზე უფრო შესანიშნავი მოლექსენი იყვნენ ტიფონა გიგინეიშვილი და ბეკოლია ჭყონია,რომელნიც არჩევან-არადანით იყოფდნენ შუაზე მთელ კრებას და შემდეგ შეუტევდნენ ერთმანეთს მოსწრებული სიტყვის ცეცხლს.

მამიამ პატარაობიდანვე დაიწყო საექსპრომტო ლექსების გამოთქმა.ი.მეუნარგიას მოჰყავს პოეტის ადრინდელი მოსწრებული სიტყვის შემდეგი მაგალითი:ორ ძმას თავართქილაძეს,დიმიტრის და ოტიას,უყვარდათ- პირველს შესანიშნავი ლამაზი ქალი მაკოდა და მეორეს- ირინე.არჩევან-არადანში მამიას მხრისკენ იყო დიმიტრი,მაკოიას სატრფო-ჩინოვნიკი და მოწინააღმდეგე დასში ოტია.როცა გაიმართეს ხმა მოლექსეებმა,მამიას მოწინააღმდეგე პარტიამ გადაჰკრა რაღაც დიმიტრის და გურია ლექსში:

ამას ამბობს ირინეა,

ეს რომ მამიამ გაიგონა,პასუხად შეუტია:

ირინემ თქვა: არ მეგონა,
თუ თქვენგან ეს იქნებოდა,
მე თუ ბედი მქონებოდა,
მაკოია მერქმევოდა.

ე.ი.ლამაზიც ვიქნებოდი და ჩინოვნიკის სატრფოც.ეს უკანასკნელი თქმა,- "მე თუ ბედი მქონებოდა,მაკოია მერქმევოდა"-, იმდენათ მოეწონათ მამიასაგან,რომ შემდეგ მამიას

ძმობაში, როდესაც ბევრს დაიწყევლიდნენ, ამ ლექსს ამოიოხრებ-დნენ ხოლმე.[1]

მ. გურიელის ნაკვესები და მოსწრებული სიტყვები საკმაოა. ჩვენ მოვიყვანთ რამდენიმეს. გიორგი შერვაშიძე, უცხოეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, ძლიერ აღშფოთებული იყო იმ მოვლენით, რომ ამხანაგ-მეგობრებზე, რომლებთანაც ხალი-სიანად ატარებდა დროს, ცუდი ხმები დადიოდა საზოგადოებაში. ზოგი ქურდიათ ამბობდნენ, ზოგს სხვა უზნეო საქციელს სწა-მებდნენ. გიორგიმ მამიას უთხრა: ისეთი წრე მოვაწყოთ, რომ ცოტათი უკეთურ საქმეში შემჩნეულს ხელი არ ჩამოვართ-ვათ. "დაიდევი ზურგზე ხელი, ჩემო გიორგი, და იარე; სამ კაცს ვერ ჰნახავ ჩვენში ისეთს, რომ რამე უკეთურ საქმეში არ იყოს შემჩნეული", - მიუგო მამიამ.

ერთხელ, მამიას, ქართლიდან ესტუმრა ერთი გულუბრყ-ვილო თავადიშვილი და სთხოვა: ბანკიდან ათასი მანეთი მა-სესხებინეო. მამიას არაფერი შეუძლებლად არ მიაჩნდა, მაგ-რამ კარგად იცოდა, ფულის სესხებისას, ბანკებში არსებული მკაცრი პირობები.

—ეს ადვილია, უპასუხა მამიამ, მხოლოდ შენ გაბრიელ ეპისკოპოზს უნდა მოაწერიო ვექსილზე ხელი.

-გაბრიელი როგორ მომიწერს ხელს,- შესძახა გან-ცვიფრებულმა ქართლელმა.

-მაშ, შე გიჟო! ადვილი რო იყოს ბანკიდან ფულის სესხება, ჩვენ ასე გაჭირვებული ვიქნებოდით?!-მიუგო მამიამ.[2]

-------------------

1/ ი. მეუნარგია. მ. გურიელი / გაზეთი /.

2/ ნ. გუნცაძის ცნობა.

1878-79 წ.წ. მამია ცხოვრობდა ქუთაისში, სასტუმრო „კოლხიდაში". ერთ დღეს, მხლებელ ივანიკასთან და ერთ თავადიშვილთან ერთად, ჩამოდიოდა კიბეზე. უკანასკნელმა გაასწრო პოეტს. ივანიკამ გაბრაზებით მიმართა თავადს:

— „როგორ გაბედე მთავრის გასწრება?

მამიამ მოსწრებულად მიუგო მხლებელს: ივანიკა, ქვევით ჩასვლაში ვინც გამასწრებს გაუშვი, საქმე ისაა ზევით ასვლაში არავინ ამასწროსო.

კატო აბაშიძემ /პოეტის დისწულმა, კიტა აბაშიძის დამ/ გადმოგვცა ასეთი ცნობა: ნინო წერეთლისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის ქორწილზე მამიას დაპატიჟეს. ნინო ძალიან ლამაზი და მოხდენილი ქალი ყოფილა. ბიძინა კარგი ვაჟკაცი, მაგრამ ცოტათი შავი. სადღეგრძელოს დალევის დროს, მამიამ, ასეთი ექსპრომტი ესროლა სიძე-პატარძალს:

შავ ბიძინა, ბედმა გიცინა,
ლამაზი ნინო გვერდს მოგიწვინა.
ლამაზო ნინა, ძლიერ მეწყინა,
ბედმა გარგუნა შავი ბიძინა. 1/

აქვე მოგვყავს მამიას დაუბეჭდავი საექსპრომტო ლექსები.

დესპინე გურიელის ქალს.

ვერას გეტყვის, ვერას გაცნობს,
უტყვი არის ეს მხატვრობა;
მაგრამ გულსა, გულითვე სცნობს,
თუ კი სუნთქამს მასში გრძნობა.
მაშ, როცა თვალს აყენებდე
ამ სურათზე, - სათხოვარი
ეს მაქვს: ხშირად მიგონებდე,
ვით ძმა და მეგობარი.

---------------

1/ ხელნაწერები: 50,93.

ივდითი გურიელის ქალს /პოეტის და/.

გთხოვე მოდითქო, მოგელოდები!
მე უშენობა მეტად მწყენია,
და თუ არ მოხვალ, ბარემ ლოდები
გადამაყარო ის მირჩევნია.

კატო ნაკაშიძის ქალს,

კატოსა მარტოსა,
შვენის მოწყენა,
სიცილი, თამაში,
ტკბილი მოლხენა.

მარგარიტა თავდგირიძის ქალს.

მარგალიტს ვითა ჩიტს
აქვს გალია
და მის მცველს,
ჭკუა თხელს,
მრუდი თვალია,
ანათებს ბარს და მთებს
მისი ნალია.
მისგან ეს
გული კვნესს,
უშხით მთვრალია.

ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ პატრიოტიზმი მ. გურიელის ლირიკის ძირითადი მოტივია. პოეტის მთავარი საზრუნავი საგანი "ჩაბალახ ახდილი" სამშობლოს ღირსების აღდგენა და დაცვა იყო. ამას ემსახურებოდა მამია საჯარო გამოსვლებშიაც. იგი ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას, - ოჯახში, სკოლაში, თეატრში, თუ სხვაგან საჯარო შეკრებისას, - იყენებდა ამ მისიის

განსახორციელებლად. თანამედროვეთა გადმოცემით მამია მოხდენილი დეკლამატორი ყოფილა. იგი განსაკუთრებით კარგად კითხულობდა პატრიოტულ ლექსებს. გ. ლასხიშვილი სწერს: "მე მამიას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ქუთაისის გიმნაზიელებს ის ხშირად გვყავდა, რასაკვირველია, ნანხხი და ძალიანაც გვიყვარდა; მისი ზოგი პატრიოტული ლექსი ზეპირად ვიცოდით; განსაკუთრებულად აღტაცებაში მოვყავდით მის სცენიდან დეკლამაციას. ახლაც თვალწინ მიდგას მამია სცენაზე: პენსნე ქვეით ჩამოწეული, მამია ზევიდან გადმოიყურება და თავისებური ხელების ქნევით, მომხიბლავი კილოთი წარმოსთქვამს: "ყმაწვილებო ჯერ ვუსურვოთ ჩვენ სამშობლოს დოეგრძელობა"...

და ბოლოს:

"ასე ვუთხრათ: საქართველო აღსდგა,
გახდი კვლავ თავხედი, არა რა არს
უსაშველო,
ყმაწვილებო ალავერდი ".[1]

ამ "ყმაწვილებო ალავერდის" ისეთი გრძნობითა და აღტაცებით იტყოდა ხოლმე, რომ მთელი თეატრი ერთხმად და აღტაცებით შესძახოდა: "იახშიოლ". [1]

ამავე ფაქტს ადასტურებს ი. მეუნარგია.

პატრიოტული ლექსების სახარო დეკლამაციისათვის მ. გურიელი პოლიციამ ერთი თვით ჩასვა ქუთაისის ციხეში.

თანამედროვეთა გადმოცემით, მამიას დეკლამაციაში მსმენელს იტაცებდა მომხიბვლელი ხმის ტემბრი, რომელიც შეუსუსტებლად ჟღერდა ლექსის, ან პროზის, გრძელი პერიოდების წარმოთქმისას; პოეტი თვითეულ წინადადებას, სიტყვას, ბგერას, არტისტული მოხდენილობით შლიდა მსმენელების წინაშე. ი. მეუ-

------------------

1/ გ. ლასხიშვილი. მემუარები. გვ. 53-54.

ნარგიის ცნობით: "შესანიშნავი მამიას კითხვაში ის იყო, რომ რაც უნდა გაცხარებული კითხვა ჰქონოდა იმას, რაც უნდა დრამატიული მოძრაობა ყოფილიყო ლექსში, ფრაზისა და ფრაზას შუა მამიაში სრულიად დამშვიდებულს და თავისუფალს არტისტს გრძნობდი".

მ.გურიელს დიდი გავლენა ჰქონდა თავადაზნაურულ ახალგაზრდობაზე: ნ.ნიკოლაძე სწერს: "მთელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე იმერეთში ნახავდით ასეთ ახალგაზრდებს, რომლებიც ბაძავდნენ არა მარტო მის ტანსაცმელს: მუქ წამოსასხამს, ჩერქეზულს და გალიბანდის ქუდს, არამედ მის მანერებს, ხმის ტონს, საუბარს და აზრებს".[1]

მამიას ხმის ლამაზი ტემბრი და მოხდენილი დეკლამაცია ცნობილი იყო ქართველი მოწინავე საზოგადოებისათვის. 80-იან წლებში, როცა ილია ჭავჭავაძის ინიციატივით ქართველმა ინტელიგენციამ განიზრახა "მეფე ლირის" წარმოდგენა, მამიაც მიიწვიეს. კოტე ყიფიანი თავის მოგონებაში სწერს: "1879 წელს, ზაფხულს, ქ. თბილისში გავრცელდა ხმა, რომ კეთილ მიზნის სასარგებლოდ ქართველ მაღალ-წრეების საზოგადოებაში დააპირეს "მეფე ლირის" წარმოდგენა და ამ შესანიშნავ ტრაგედიის სხვადასხვა როლები, თვითონვე, ურთიერთ შორის გაინაწილესო.

ახლა კარგად აღარ მახსოვს, რომელ მანდილოსნებს დაავალეს ქალების როლების შესრულება, მახსოვს მხოლოდ კნეინა ნინო ორბელიანისას უნდა წარმოედგინა ლირის ასულის "რეგანას" როლი და თვით "ლირის" შესრულება კი შესთავაზეს: მამაჩემს, დიმიტრი ყიფიანს, თავ. მამია გურიელს, თავ. დავით ერისთავს და იაკობ ყარაშვილს".2/

---

1) „Новое обозрение". 1891 г. შდრ. Ал. Хаханов. Очерки... т.IУ, ст.272.

2/ „თემი". 1912 წ. № 64

გამოცდის დროს, ილია ჭავჭავაძის სახლში, რომელზედაც ძალიან ბევრი ხალხი დასწრებია, ყველაზე კარგი შთაბეჭდილება კოტე ყიფიანს მოუხდენია და იგი გამოუცხადებიათ ერთხმად მეფე ლირად.

## თ ა ვ ი - VI.

ხელახლა სამხედრო სამსახურში შესვლა. საქართველოს აწმყო და მომავალი. იმედის მოტივის გამახვილება. "თერგდალეულებთან" დამოკიდებულება /კიტ. ლორთქიფანიძე, ნ. ნიკოლაძე, ილ. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი/. ნადსონის ლექსების თარგმნა. სატრფიალო ლექსები. "ქობულეთ-ლების ყანური სიმღერა".

1876 წელს მამია ხელახლა შედის სამხედრო სამსახურში, ცხენოსანთა პოლკში, რომელიც ქუთაისში იყო მოთავსებული. აქ ცოტა ხანს რჩება. როცა ოსმალეთთან კვლავ დაიწყო ომი, რუსეთის მთავრობამ შეჰქმნა გურიის ქვეითი რაზმები. 1877 წ. 17 აპრილს, მამია დანიშნული იქნა მესამე რაზმის კომანდირად. ამ დროიდან დაწყებული, 1878 წ. 17 ნოემბრამდე, მამიას რაზმი დაჰქროდა ხუცუბანს, სამებას, ციხისძირს და ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდა ოსმალთა შემოტევას. 1878 წ. 17 ნოემბერს რაზმი დაიშალა. მამია, ამჟამად უკვე კაპიტანი, კვლავ დაუბრუნდა ცხენოსანთა პოლკს, რომელშიაც იმყოფებოდა 1884 წლამდის; ამ წლის 5 თებერვალს პოლკი გადაკეთდა დივიზიონად. მამია გადაყვანილ იქნა კავალერიის სარეზერვო ნაწილში. ამით

დასრულდა პოეტის სამხედრო კარიერა. ამის შემდეგ მ. გურიელი სამსახურში აღარ შესულა. ცხოვრობს ოზურგეთში, ფოთში, ლესა-მალთაყვას, მომეტებულად ქუთაისში.

მამიას არ აკმაყოფილებს დამბლადაცემული საზოგადოებრივი ცხოვრების მდორე დენა. პოეტი ვერ ურიგდება მთავარმართებელ დონდუკო-კორსაკოვის დამპყრობელურ პოლიტიკას. 1881 წ. 11 იანვარს, მგოსანი თავის შეხედულებას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ამგვარად უზიარებს ჯაბა გურიელს: "ამნაირი მოყრუებული დრო, როგორიც ეხლა არის, ძლიერ ძვირად მოხდება ხოლმე ქვეყანაში: არა თუ რუსეთში, მრთელს ევროპაში სულ მიჩუმებულია საქმეები, გაზეთები სულ ცარიელია, ტყუილა უბრალო ფუჭი ამბების მეტი არა არის რა; მაშ ქუთაისში რაღა უნდა ყო[illegible]ან კი რა ნება გვაქვს ვემდუროდეთ ერთნაირობასა და მოწყენას აქაურის საზოგადოებისას". ყურადსაღებია პოეტის არქივში დაცული ავტოგრაფი 108, რომელშიც მეტად უარყოფითად არის წარმოდგენილი ქუთაისის საზოგადოებრივი ცხოვრება. მამია სწერს: "ჩვენი ქუთაისი მეტად ახირებული ქალაქია, აქ ძნელად შეიძლება მოწყენა, იმდენი არის ყოველ დღე სხვადასხვა ნაირი თავის შესაქცევები. დღეს შამოვა მოდათ საიდუმლოთ შაასობა სხვადასხვა პირებთან, არავინ ხმას არ იღებს, მხოლოდ გაუწყნარებლად ჩურჩულობენ! თქვენ რჩებით მარტოკა, არა იცით რა ამბავია და მეტ ნაკლებ სწუხართ.

თქვენ ჯერ ხამი კაცი ბრძანდებით ქუთაისში, იქონიეთ მოთმინება სულ ორიოდ საათისა და სუყველაფერს დაწვრილებით გაიგებთ, თითონ გიამბობენ, იყავით დარწმუნებული, რომ იმერელი საიდუმლოს ვერას შეინახავს. ხვალ ხედავთ სულ სხვა

სანახაობას: არის ერთი ბეზღება, ლანძღვა-ყიჟინი, რა არის ნეტავი, რა მომხდარა? არაფრისთანა, ისრე რაღა, ენა ექავებათ და თქვენ-კი ამ უშველებელი ხმაურობისაგან ჰფიქრობთ ერთი დიდი საქმე უნდა იყოს რამე, ნუ შესწუხდებით, ეს ყველაფერი იმერული მოდა გახლავსთ, ამათ-ამათებათ. აბა ჭორის რაღა მოგახსენოთ; ჭორი სახლებში, ჭორი ქალებში, ჭორი კაცებში, ჭორი ბულვარში, ქუჩებში, სადილ-ვახშამზე და ვგონებ საბან ქვეშაც-კი, ჭორს უჭერია პირველი ადგილი. აქაურებმა ყოველი საიდუმლო ყველასი იციან: ნაცნობების, უცნობების, სულების, სხვადასხვა სამმართველოების, თვითმმართველობის და სხვა."

ჩვენ, ხაზი გაუსვით იმ გარემოებას, რომ მ. გურიელის შემოქმედების ლეიტ-მოტივი ეროვნულ-პატრიოტულია, რომელშიაც რელიეფურად მოსჩანს საქართველოს წარსული "დიდების" იდეალიზაცია. დაახლოებით, 80-იან წლების დასაწყისიდან, მ. გურიელის პოეზიაში ნელდება წარსული "დიდების" იდეალიზაცია, მახვილდება იმერის მოტივი.

სამშობლოს კეთილდღეობას მამულიშვილმა ყველაფერი უნდა ანაცვალოს. მისთვის სიკვდილსაც არ უნდა დაერიდოს. პოეტს სწამს სამშობლოს მომავალი, სადღეგრძელოს სვამს მის საკეთილდღეოდ: "ბატონებო, პირველ დავსცალოთ

სამშობლოისა სადიდებელი,
სიცოცხლე ცხელი მას ვანაცვალოთ,
ის არის ჩვენი მაცხოვრებელი.
მამა-პაპათა ჩვენთა მის პირზე
დღენი ბრძოლებში დაულევიათ,
მათთვის ასობით მტრებს, მდგართა ჯინზე,
თვით-არსება ვერ წაურთმევიათ.

მო, ნუ დაუთმობთ ჩვენსა მამულსა
ნურცა ერთ ბიჯსა გრძნობით, სიმხნითა,
ვემსგავსოთ იმა მოწამეებსა,
გამოვისყიდოთ მხარე სისხლითა".

პოეტი სამშობლოს მოღალატეებს სამარცხვინო ბოძზე აკრავს. გესლიანი საცერით მხამავს მას, ვინც დაივიწყა წმინდა მოვალეობა- სამშობლოს ბედნიერ მომავლისთვის ბრძოლა. ჩვენს სინამდვილეში, დასძენს მამია, ბევრია-

" პატრიოტები, გმირნი ლაქლაქით,
თბილ სოროების მომნახველები".

/პოეტი და ჩვენება. 1883წ./

ცრუ პატრიოტს, დაინტერესებულს სახელის, ქება-დიდებისა და დიდკაცობის მოხვეჭით, მწარედ დასცინის. ცრუ პატრიოტი თვალთმაქცია, ის -

"ჰყვირის, იბრძვის, ილანძღება,
მამულისთვის გაწირული,
სანამდისინ გამოძღება,
შემდეგ მისდის რადაც რული!
თუ იშოვნა მან ყადობა,
ან მაზრისა გახდა ბეგი,
გინდ სანატრი ბრალმდებლობა,
შეიქნება მიუდეგი.
ჩუმი მწყრალად იხედება,
გაბერილი, როგორც ბუშტი,
თითქო მთელს ხალხს ემუქრება,
მზაა, დაჰკრას მწარე მუშტი.
დაყლოყინებს, დაღრიალებს,
წიხლებს ისვრის ვირი ჩვენი,
თვისებსა ჰკბენს, სხვებს აწვალებს,

ესრეთია მისი სენი".

/ანდერძი.1886 წ./

აქ მოსჩანს აკ.წერეთლის სატირების გავლენა/"პატრიოტის აღსარება", "ჩანჩურა" და სხვ./.ანალოგიურ ხაზებს,განხილულ ლექსსა და აკაკის სატირებს შორის, დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს.1/ მამია დიდი სიმპატიით იყო გამსჭვალული აკ.წერეთლის მიმართ.პოეტის ხელნაწერებში დაცულია ფრაგმენტალური ავტოგრაფი /141/,რომელიც წარმოადგენს "თორნიკე ერისთავის" კრიტიკულ განხილვას. მამია ხოტბას ასხამს აკაკის ნიჭს.ქართული ლიტერატურისათვის დიდ შენაძენად სთვლის მის მხატვრულ ნაწერებს.

მ.გურიელის შემოქმედებაში,მართალია სუსტად, მაგრამ მაინც მოსჩანს სატირა-იუმორი. "სატირაში ავტორი ადამიანთა ცხოვრებას მაღალი მოთხოვნილების თვალსაზრისით უდგება.სატირიკოსი აკვირდება ცხოვრებას,ხედავს ცხოვრების მოვლენათა შეუსაბამოებას თავის მისწრაფებებთან; რწმუნდება,რომ ამ შეუსაბამოებაში დანაშაული ედება ადამიანს.ის აღელვებულია ადამიანის /საზოგადოების/ქცევით. ამიტომ მას სურს გამოამზეუროს,გამოამჟღავნოს ნაკლი, რათა უარყოფითი მოვლენა ყველასათვის თვალსაჩინო და გასაგები გახადოს.ამის გამო სატირაში განსახიერებულ სახეებს იქით მკითხველი გარკვეულად და განსხივოსნებულად ჰხედავს ავტორს მაღალი საზოგადოებრივი იდეებითა და პრინციპებით".2/

---

1/ სატირა-ირონია მოსჩანს მამიას სხვა ლექსებშიაც /მაგ. "რჩევა და დარიგება" და სხვ./.

2/ პროფ.მიხ.ზანდუკელი.ილია ჭავჭავაძე,როგორც სატირიკოსი. /"ილია ჭავჭავაძე.საიუბილეო კრებული"/.

მამიას სატირა-იუმორი სოციალური დაძაბულობით და სიმკვეთრით არ ხასიათდება, რადგან იგი აღმოცენებულია დეგრადაციის გზაზე დამდგარი კლასის წიაღში და მიზნად ისახავს მის გამოსწორება-გამოფხიზლებას. აქ გაკილვას და დაცინვას თვითკრიტიკის მიზანი აქვს.

ჩვენი შეხედულებით მამიას შემოქმედების ეს მხარე "თერგდალეულთა", განსაკუთრებით ილიასა და აკაკის, იდეური და სტილიური გავლენის დაღს ატარებს.

ილ. ჭავჭავაძე გამძაფრებული სარკაზმით ხატავდა ქართველი ერის უარყოფით მხარეებს, საზოგადოებრივი "ცხოვრების ჭუჭყს": " ჩვენისთანა ბედნიერი

განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ლმობიერი;
თვალბმული,
თავაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუ,
ყველა ცრუ,
ჭკვა დამჯდარი, გულხმიერი;
მცირე, დიდი,
ყველა ფლიდი,
ცუღლუტი და მანკიერი".

მამია დაახლოებით მსგავს ფერებში იძლევა 80-იანი წლების საზოგადოებრივი ცხოვრების სურათს:

"ყველა სტყუის, ყველა ფლიდობს,
თავის თავსა ემოყვრება,
ბედკრულისთვის არვინ სცდილობს,
სურსთ კი ჩვენი მოტყუება.
ზოგსა უნდა შეიძინოს
სახელი და ქება დიდი,
შემდეგ ტკბილად დაიძინოს,
გარდაიდოს ზღვაზე ხიდი.
ზოგს ფულები ენატრება,
და აგრეთვე დიდ-კაცობა;
დაჩაჩუტობს, მასხრად ხდება,
სწადს ხელთ იგდოს მბრძანებლობა.
ზოგიც სხვაფრივ დამეძებრობს,
სუნავს, ლოკავს, ეგრე რჩება,
ხარბს კუდს უქნევს, დაცუღლუტობს,
ყველა ხვრელში შეცოცდება!".

მგოსანი თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას ეჭვის თვალით უცქერის. გესლიანი ირონიით ამხელს არისტოკრატიის მცონარეობას, უგუნურებასა და გაუტანლობას. დასცინის მათ ინერტულობასა და სიზარმაცეს. ეს დაცინვა-ირონია კლასობრივი დაკვეთით არის ნაკარნახევი, თვითკრიტიკის მიზანი აქვს. მამია არისტოკრატიის ძველ თაობასაც არ ერიდება. ნაწილს ძველი თაობიდან მეტად შავი ფერებით ახასიათებს. პოეტი სწერს: "რანაირად უნდა შევიყვაროთ თქვენ ჩვენო ძველებო? თქვენ ვაჭრობდით საქართველოთი, როგორათაც მეწვრიმალე! თქვენ არ მიჰყიდეთ ის ხან სპარსელებს, ხან ოსმალებს, ხან ლეკებსა და ხან ვინ იცის ვის,

ხუთ და ექვს ოქროთ. ერთი მიბრძანეთ ხვთისგულისთვინ რითი განირჩევით თქვენ "იუდა გამცემლისაგან"? იუდამ გასცა ერთხელ მხოლოდ, ერთი მარტოკა პირადობა /მართალია ის იყო ჩვენი ღმერთი, მაგრამ არა მისი, მაშასადამე, მან გასცა უბრალო, ერთი კაცი/, თქვენ კი გაეცით რამდენჯერმე ათასეული, მრთელი სამშობლო! იუდამ. აიღო იესოში ოცდა ათი ვერცხლი, თქვენ კი ვგონებ ესეც არ გიშოვნიათ? იუდა ბოლო დროს ისე დასაჯა სინიდისმა, რომ თავის ხელით თავის თავი დაიხრჩო, თქვენ კი იმდენსაც ვერ გამხილებს თქვენი სავაჭრო სინიდისი, რომ სიცოცხლე მიგაჩნდესთ სასირცხოთ! თქვენი ყოფაქცევა, თქვენი სინიდისი, რითა სჯობია იუდასას?! "1/

მ. გურიელი პოეტის დანიშნულებას უცილიცარული თვალსაზრისით უცქერის. "თერგდალეულთა" მიერ წამოყენებული პრინციპი არ არის მისთვის უცხო. მისი შეხედულებით, პოეტმა სოციალური უკუღმართობისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოწინავე პოზიცია უნდა დაიკავოს.

"... შენ ხამს იბრძოდე
პირისპირ ამ ქვეყნიერ სცენთა.
მაშა რისათვის გშობსთ ნიჭიერთა
ზეცა, თუ არა წინა მებრძოლად?
რამდენ ნიჭი გაქვთ მომეცებული,
იმდენ უმეტეს მოგთხოვსთ მამული
და არა სხვების თქვენ თანასწორად".

ილ. ჭავჭავაძე სწერდა: "ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ

---

1/ ავტოგრაფი 154- მეველის საჭირო განმარტების გამო /უძღვნი ჩვენ ძველ თაობას/.

წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ... დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მამოვიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგმდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა". [1]

ანალოგიურ შეხედულებას იცავს მამია, თუმცა პრაქტიკულად მხატვრულ შემოქმედებაში ამას ვერ ახორციელებს. იგი გარკვევით ამბობს: როგორც "თასში ჩადებული ღრუბელი წყალს შეისრუტავს და თასს გააშრობს, წყლულზე მისმული წურბელა ზარს გამოსწოვს, ანთებას აქრობს; როგორც ნიავი ზაფხულის სიცხის ბუღრუსს გაჰფანტავს და ხალხს შეაშრობს ოფლს, დაუამებს გულს",- , ეგრეთვე, პოეტმა ხალხის ჭირი და კვნესა კისრად უნდა იდოს. იგი მოწინავე მებრძოლია. ხალხის ტანჯვა სისხლით უნდა მორეცხოს და გაასპეტაკოს.

"გასწირე სული ხალხისა მსხვერპლად,
იტვირთე მათთვის ტანჯვა და ცემა!
უმჯობეს ჯილდოთ თავ-შემკობილი
შენ ვერ იქნები, დასდე იმედი,
ჯვარს ეცვ სიამით, ვით ღვთისა შვილი,
და ხალხს მოუმკე სანატრო ბედი!"

/პოეტი და ჩვენება/.

---

1/ „საქართველოს მოამბე." 1863წ. იანვარი.

მოტანილ სტროფებში ილ. ჭავჭავაძის "პოეტის" რეზონანსი ისმის: "ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,

მეწოდეს მის ტანჯვით სული,

მის ბედით და უბედობით

დამედაგოს მკვიდრე გული...".

მ. გურიელის შემოქმედებაში იმედის მოტივის გამახვილება "თერგდალეულთა" გავლენით უნდა აიხსნას. ჩვენ, ზემოთ შევეხეთ ამ გავლენის ზოგიერთ მომენტს. აღსანიშნავია, რომ მამია დაახლოებული იყო "თერგდალეულ" მწერლებთან /ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე, ილ. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი და სხვა/. იგი დიდი წარმოდგენის იყო გ. წერეთელზე, რომლის ლიტერატურულ ჩვევა-დარიგებას დიდად აფასებდა. მისადმი გაგზავნილ ერთ ბარათში, მამია სწერს: "შენი თხზულებები ისეთის ხელოვნებით არიან დაწერილნი და იმდენი ესტეტიკური გემოა მათში, რომ, ჩემის აზრით, ჩვენ ყველანი ვალდებულნი ვართ ... подвергать Вашему суду свои произведения".

პოეტის პირად ცხოვრებასა და შემოქმედებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კირილე ლორთქიფანიძემ. ის ერთგული მეგობარი და მზრუნველი იყო. კირილე უწევდა მამიას ეკონომიურ დახმარებას, აძლევდა ლიტერატურულ ჩვევა-დარიგებას, უმტკიცებდა მორალურ განწყობას. მისი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით დაიბეჭდა პოეტის თხზულებათა კრებული. ხელნაწერების დაცვა კირილეს მზრუნველობის შედეგია. მასალების დიდი ნაწილი კირილეს მიერაა გადაწერილი. მამია დიდად აფასებდა კ. ლორთქიფანიძის დამოკიდებულებას, ღრმა მეგობრული სიყვარულით და პატივის-

ცემით იყო მისდამი გამსჭვალული. "უნდა ჩემს სინდისს, რომ სახრჩობელაზე უფრო სიამოვნებით ავალ, ვიდრე მე შენდა ან სხვა ვინმე ამხანაგს ვუღალატო", სწერს პოეტი კირილეს.

როგორც აღნიშნული გვქონდა, "ჩაბალახ-ახდილ" სამშობლოს ღირსების აღდგენა და დაცვა, მ. გურიელის მთავარი საზრუნავი საგანია. აქეთკენაა, ძირითადად, მისი კალამი მომართული. ამას ემსახურება იგი საჯარო გამოსვლებშიაც /ნ. თავი 5/.

მგოსნის სურვილია:

"ბულბული სტვენით ჩასძახდეს მარად,
რაც გულისათვის უფრო ტკბილია,
რომ მთელ კავკასში მტკიცედ და მყარად
კეთილდღეობა დადგენილია".

/ნატვრა. 1887 წ./

მომავლის პერსპექტივამ, რომელიც ბუნდოვანი და აბსტრაქტული ხასიათისა არის, სულიერი სიმტკიცე შეჰმატა მ. გურიელის განწყობილებას. უწესო ცხოვრების ტალღები განადგურებით ემუქრებოდნენ მას, -

"მაგრამ, დასძენს პოეტი, არ დავეც წამებისაგან,
ცხოვრების ომსა დავუხვდი მწყრალი,
შემოვინახე სულში ნდომები,
ტანშია ძალა და გულში ალი".

/რუსულიდან. 1886წ./

წინსვლის რწმენით იმსჭვალება პოეტი. მისთვის მიუღებელია ერთ წერტილზე გაყინვა, "მძინარესავით ბორგვა". იგი თხოულობს მოქმედებას, ძმათ სიყვარულს. აღსანიშნავია, რომ

მ.გურიელი, ამავე პერიოდში, სთარგმნის ტარას შევჩენკოს ლექსს - "Минають дні ,минають ночі" 1/. მართალია, თარგმანში შევჩენკოს დემოკრატიულ-რევოლუციონური სული შენელებული და შელამაზებულია, მაგრამ მაინც ყურადსაღებია ქართველი პოეტის მიერ უკრაინის უდიდესი კობზარის თარგმნა. თარგმანში ვკითხულობთ:

"სავსებით ცხოვრების გავლა
კვალ-დაუჩნევლად, ჯოჯოხეთია,
უმნიშვნელოდ თუ კაცი ისპობა,
სიკვდილ-სიცოცხლე მაშინ ერთია".

მ.გურიელის შეხედულებით ერთი ბრუნვას ემორჩილება ყოველი არსი, მოვლენა. განვითარება დაბრკოლების გადალახვასა და მსხვერპლს მოითხოვს. ჟამთა სვლას,-

"მიაქვს ძველი და ახალი მოაქვს,
ამრიგად სჯული ბუნების მთავრობს;
მაგრამ არავის ნამცეცს არ ჰკარგავს,
ძველებს ახლების ნამკლავთ ხმარობს". 2/

პოეტის რწმენით, ადამიანის დანიშნულება გონიერ მოქმედებაში მდგომარეობს. პიროვნებამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საქმეში:

" ეს არის ვალი ადამიანის,
ესვე სიცოცხლის დანიშნულება;
უმისოდ არსის გონებიანის
ცხოვრება ყოვლად ფუჭი იქნება".

---

1/ "თეატრი" 1886წ. N 38. "შევჩენკოს ფიქრი" 1897 წლის გამოცემაში . ეს ლექსი მცდარად არის დასათაურებული.

2/ დასრულდა ესეც. /ხელნაწერი კრებული 80/.

იმედის მოტივის გამახვილება მოსჩანს სხვა ლექსებ-შიაც. დემონიური სული მომავლის რწმენით მსჭვალავს პოეტს: " მითხრა, აღსდეგ, ნუ ეცემი,
ჯერ კვლავ უნდა იმუშავო,
დაიჯერე რჩევა ჩემი,
შენ ღვთიურო, ბედით შავო!
ნურას დარდობ, ნუ სწუხდები,
წარსული სულ დაივიწყე!
შენთან არ ვართ ძმები, დები?
მაშ ცხოვრება ახლად იწყე!
დე, თუნდ მოჰკვდე, გონიერო
შენი სული არ იყეფებს
და ერი კი მადლიერი
შენს სახელსა გააღმერთებს".

/ე.პ.ვ. ქალზედ. 1889წ./

აქვე უნდა აღინიშნოს მ.გურიელის შემოქმედების ერთერთი სტილიური ნიშანი: მგოსანი ზოგჯერ მიმართავს პოეტურ გალუცინაციას; ლექსებში გამოჰყავს ჩვენება, დემონი, ბოროტი სული, წარმოებს მათთან დიალოგს /"ე.პ.ვ. ქალზედ", "პოეტი და ჩვენება", "საქართველოს მზეს " და სხვა/.

ზემოთ განხილული პოეტის განწყობილება არ არის თავისუფალი ჩავარდნებისგან. მ.გურიელის ამ ხანის ზოგიერთი ლექსი დაცემულობისა და სევდა-ნაღველის შემცველია/"მთვარე" 1887წ., "ოცნება" 1887წ., "რათ მინდა? "1887წ. და სხვა/. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მ.გურიელი სწორედ ამ დროს სთარგმნის ნადსონის მელანქოლიური ხასიათის ლექსებს ( " ВЕРЬ, - говорят они"...).

როგორც აღვნიშნეთ, მამიას პოეზია, ძირითადად, პირადი განცდის ლირიკაა, რომელშიაც სოციალური, ფილოსოფიური, თუ სხვა საკითხები, უკანა პლანზეა გადაწეული. მგოსანი, უფრო ხშირად, მომენტალური განცდების უკუფენას იძლევა. აქედან გასაგებია, თუ რატომ გასდევს მამიას შემოქმედებას მთელს მანძილზე სასიყვარულო-სატრფიალო მოტივი.

ამ ხანის ზოგიერთ სატრფიალო ლექსში მამია ქალის გარეგნულ სილამაზეს, ვნებასა და ხორციელობას უმღერის /"მარაოზედ" 1879 წ., "რა კარგია ყმაწვილობა" 1881 წ., "მოგონება" 1888 წ./. უშუალო განცდის ნიადაგზე აღმოცენებული და მომენტით გამოწვეული სატრფიალო ლექსებიც გვხვდება პოეტის შემოქმედებაში/"ე.პ.ვ.ქალს" 1889წ., "მაკას წულაზე წაწერილი" 1887წ., "ვერ დამივიწყებ" 1889 წ., "ე...ას" 1889წ. და სხვ./.

მაგრამ მამია მარტო გარეგნული სილამაზით არ კმაყოფილდება. მას აინტერესებს სულის მშვენიერება. პოეტი სიყვარულის რომანტიულ გაგებას თავისებურ ხარკს აძლევს. როგორც ცნობილია, რომანტიკოს პოეტებისათვის სიყვარული წარმოადგენდა ამაღლებულ გრძნობას. მათი შეხედულებით სიყვარული აძლევს ადამიანს დაივიწყოს მიწიერი დამოკიდებულებანი. მასში იშლება მთლიანობა დაბოლოვებულისა და დაუბოლოვებელის, მარადიულისა და წუთიერის. დაბოლოვებულია, წუთიერია სიყვარულის ხორციელი მხარე; დაუბოლოვებელია, მარადიულია სიყვარულის სულიერი მხარე.

მ. გურიელის შეხედულებით გარეგნული სილამაზე მომხიბვლელია. რა სჯობს გაზაფხულის ყვავილივით გარდამლმა ახალგაზრდა ქალის ალერსს. მისი სიტურფით და სი-

კეკლუცით დატკბობას. მაგრამ ეს არაა საკმარისი. საჭი-
როა სულის სიმშვენიერემდე ამაღლება:

"უნდა სული გავიმშვენოთ,
ეს უკვდავი რამე ნივთი,
რომ საქებად ვიდღეგრძელოთ
მომავალში მარად მითი".

/კატო აბაშიძის ქალს. 1888 წ./

სულის მშვენიერება წმინდა, ნათელი და მარადიულია. იგი აცისკროვნებს ადამიანის არსებას. პოეტი შესთხოვს სატრფოს სულიერ ნათესაობას. ევედრება "სულით" მოიხსენიოს იგი.

"რადგან ეს ნივთი მხოლოდ არ კვდება,
ეს ერთი სტოვებს ნაკვალევს სრულსა.
მაშ მრქვი "სულოთქო", ნუ დაგზარდება!
ეგრე შეშვენის ჩვენს სიყვარულსა."

/ბაირონული. 1885 წ./.

გაგონდებათ ნ. ბარათაშვილის სიტყვები:

"თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დაამბერებს,
მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა ჰშობს სიყვარულსა,
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა".

/რად ჰყვედრი კაცსა.../.

სიყვარული ამაღლებული გრძნობაა. იგი ადამიანის გულსა და სულს მალამოდ ედება. როგორც გაზაფხულის სასიამოვნო ამინდი ბუნებას გვირგვინს სდგამს და ამეფებს, მაისის ღამის გრილი სუნთქვა ვარდს გაფურჩქვნის-ბულბულს აყე-

ფებს, როგორც ზაფხულის წვიმა ველს მორწყავს, დამჭკნარ ბალახებს ააბიბინებს,-

"ეგრევ, მკითხველო, გულს სიყვარული
გააჭაბუკებს, გაახალისებს,
სიცოცხლეს მატებს და რაც ბედკრული
იყოს ერთბაშად ყველას ავიწყებს.
....
ეგ ჭეშმარიტად თვით ის ჯანია,
პრომეტემ რომა ზევსსა აჰხადა,
და იმ დღიდამ რაც მოუტანია
ჩვენ თვით შემძლებელ ღმერთად გაგვხადა".

/ რაშიდი /.

ამ გრძნობას პოეტი ადვილად არავის დაუთმობს. სატრფოს მტაცებელს, სულერთია ვინც არ უნდა იყოს,- მეფე, ღმერთი, ანგელოზი, თუ ეშმაკი,- თან შეაკვდება:

" თვით ღმერთი, რომ ზესთა ძალით
მის მტაცებლად გარდმოვიდეს,
მე შევუტევ მასაც ხანჯლით
ვგონებ ისიც ვერ დამიდგეს". 1/

მ. გურიელი სიყვარულს სახავს, როგორც ტრაგიკულ გრძნობას. ლექსში "მეც არას ვიტყვი", 2/, პოეტი მზადაა ყველაფერი, თვით სიცოცხლეც-კი, შესწიროს სატრფოს. ის კატეგორიული ტონით ამბობს:

"მაგრამ მე მაინც ჩემს სულის ლტოლვას,
ჩემს სიყვარულსა არ დავეხსნები,
თუ გინდ ველოდე ქვებით დაქოლვას,
კუბომდის მისი ერთგული ვშთები!"

---

1/ "რილეევიდან". ავტოგრაფი 58.
2/ დაცულია კირ. ლორთქიფანიძის მიერ გადაწერილ ორ კრებულში/ 80, 96/. დაწერილია 1876 წ.

სატრფომ უღალატა, დაივიწყა წმინდა გრძნობა, გულში შხამი ჩაუნთხია, სიმწარე აგრძნობინა, მაგრამ მაინც ვერ გაბზარა იგი. აფორიაქებული პოეტი რისხვას უგზავნის შემომქმედს, რომელმაც ვერ სძლია ღალატს:

" დამეხსენ, წადი, არ გიცნობ ღმერთად,
შენ არაფერი არ შეგიძლია,
ჩემის ნდომების მთლად მოსაკვეთად,
შენგანვე ქმნილმა არსმა დაგძლია!".

პოეტის გულში კვლავ წმინდა ლამპრად ანთია სიყვარული. იგი მზადაა "თავი წყვედ მისცეს სატრფოს" და თაყვანი სცეს მის მტრულ ძალას. მზადაა გული ჯოჯოხეთურ ტანჯვებს გადაუხსნას, სხეული ჩანგლით ეშმაკებს დაახევინოს, ოღონდ სატრფომ გაიგოს მისი სულის წუხილი და სინანულის მგზნებარე ოხვრა მოსწყდეს მის მკერდს.

" ეს ერთი ოხვრა მისის მკერდიდამ,
თუ ამოიჭრა ჩემთვის ხმიერი,
მერე მას ვიცნობ ჯოჯოხეთიდამ,
და მით ვიქნები იქ ბედნიერი"...

მგოსანს არ ეშინია მიჯნურის წყრომისა და განრისხების. დე, სატრფომ აგინოს, ლანძღოს, სახელი გაუსვაროს, გვემად დასახოს. მისი გრძნობა იმდენად მძლავრი და თავშეუკავებელია, რომ ყველაფერს ფარავს. პოეტი კვლავ ერთგული რჩება სატრფოსი /" მადლობელი ვარ" 1876 წ./.

ჩვენ ზემოთ შევნიშნეთ, რომ, რეფორმის შემდეგ, საქართველოს კაპიტალიზაციის პროცესი აჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა. ახალი სოციალური ფენა, სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენელი, თანდათანობით იპყრობდა ჰეგემონიას. მ. გურიელი უარყოფითად არის განწყობილი ამ

მოვლენისადმი. პოეტი გარკვევით გვეუბნება, რომ სავაჭრო ურთიერთობამ, "ოქროს მოყვარეობამ", დაარღვია ძველი ერთობა. კაპიტალიზაციის შედეგად წარმოშობილ ახალ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას შავი ფერებით ხატავს მგოსანი:

"გაჩნდა ქურდობა, ავაზაკობა,
კვლა, მოტაცება, გამცემლობა,
სულის სიმდაბლე, ენის ჭრელობა,
ლომობა სიტყვით, საქმით მელობა".

ვაჭართა კლასი ცბიერებითა და მატყუარობით არის სავსე. მამია სწერს: "ყოველი ქვეყნის ვაჭრები ერთი სარწმუნოების არიან: კანტორა მათი საყდარია, ანგარიშის წიგნი- მათი სახარება; კასა- წმინდა-წმინდათა; ბირჟის ხარება მათი სამრეკლო; ოქრო მათი ღმერთია და აღებ-მიცემა მათი სარწმუნოება". 1/

ამ სოციალურ ფენასთან დასაპირდაპირებლად, მ. გურიელი მარტო ფეოდალურ არისტოკრატიას არ ეყრდნობა. იგი ცდილობს, დაბალ სოციალურ ფენებში, განსაკუთრებით გლეხობაში, იპოვოს თანამგრძნობნი. აქედან გასაგებია, ჩვენთვის, პოეტის დემოკრატიული ტენდენცია და, კერძოდ, სიმპატია გლეხობისადმი. 2/ ზემოთ, ამ საკითხთან დაკავშირებით, მოვიყვანეთ სათანადო ფაქტები /"ნაგომრის ქალაქობა", "კეთილი მაგალითი", თარგმნა ბიორნსის ლექსისა და სხვა/; მაგრამ, ვინაიდან, ეს განწყობილება მ. გურიელის სამწერლო მოღვაწეობის უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა, ამიტომ, მოკლედ აქაც უნდა შევჩერდეთ ამ საკითხზე.

---

1/ ხელნაწერი 99.

2/ ამავე სოციალური მიზეზით უნდა აიხსნას ნ. ა. ნეკრასოვის "სამშობლოს" თარგმნა /ავტოგრაფი 76/. თარგმანი მძიმე ენით არის შესრულებული. ეძღვნება ილ. ჭავჭავაძეს.

დაჩაგრულ სოციალურ ფენას მამია თანაგრძნობით უცქერის: "ძნელია,როცა კაცსა გონიერს

სდევნის უწყალო უბედურება,
როდესაც მუშას დაქანცულს,მშიერს,
ლუკმასა სტყუებს უგუნურება".

მ.ჭურიელმა მსოფლმხედველობის შეზღუდულობის გამო, ვერ შესძლო დაჩაგრული სოციალური ფენის,გლეხობის,დუხჭირი ყოფა-ცხოვრების განცდა და სწორი ასახვა. "ქობულეთლების ყანურ სიმღერაში"[1],რომელშიაც გლეხური ყოფაა ასახული, არა ჩანს გლეხის მებრძოლი განწყობილება. პოეტი ჰუმანის-ტის სათვალებით შესცქერის ეკონომიურად შევიწროებულ, ბიუროკრატულ მართველობის კლანჭებში გაბმულ,გლეხების ყოფა-ცხოვრებას. მამიას გლეხები ნაღვლიანად მღერიან:

"ყველა ჩვენ გვცარცვავს სწყლებსა
ალა,მეჯირი,"ვალით",
რაც რომ გაგვაჩნდა,დაჰყიდეს,
დაგვედო კვლავაც ვალით!
ვინ არის ჩვენი პატრონი,
ვინ დაგვაფაროს ხელით!
ბიჭებო,ნუ დამიღონდით,
შრომაა ჩვენი მხსნელით!
ჩიბუხი როცა მოვსწიეთ,
იქ გაჩნდა ვიღაც ბრიყვით,
ის ურცხვი ჭია ნეხვისა,
უპირწყლო,ვიღაც ტრიკით.

---------------

1/ ეს ლექსი მამიამ დასწერა 1887წ. და დასაბეჭდად გაუგზავნა "ივერიას". პოეტის საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ, ცენზურულ პირობების გამო, იგი არ დაბეჭდილა. რედაქციის უკანვე დაუბრუნებია ხელნაწერი, ასეთი წარწერით: "მოწყალეო ხელმწიფევ! ეს ლექსი არ იბეჭდება საცენზურო პირობათა გამო. სტეფანე ჭრელაშვილი".

თუ რომ გაჰყიდეთ ბატი,
ვიყიდეთ- ბატი-ბუქით!
ისრე დაგვწუწნეს, დაგვცალეს,
ვერ დაგვაძღება ბუზით.
ვაჭრები ფულს არ იღებენ,
ვიღებთ და გვხდიან ტყავსაო;
ბოქაულები გვიხდება,
რას ეძებს სამართალსაო!.."

საკმაო სიმკვეთრით არის დახატული გლეხობის დუხჭირი ყოფა-ცხოვრება. დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს ანალოგიურ ხაზებს მოცემულ სურათსა და რაფიელ ერისთავის გლეხურ თემატიკაზე გაშლილ ლექსებს შორის. აღსანიშნავია, რომ მამია გამოხატავს, არა ცალკეულ, ინდივიდუალურ, არამედ კოლექტიურ განწყობილებას გლეხობისას.

სოციალურ უკუღმართობასთან მებრძოლი გლეხის სახე მ.გურიელმა ვერ მოგვცა. მან ზეციურ ინსტანციაში გადაა-ცანია გლეხს, ამქვეყნიურ უსამართლობაზე, საჩივარი.

" სიმღერის შემდეგ ღმერთს სთხოვეს,
გადაგვარჩინე მეფისო,
მაგ ჩვენს დამჩაგვრელს, დამწიხლველს,
გაუმაძღარსა დიდ ვირსო".

სოციალურ ჩაგვრაზე უფრო მწვავედ, მამიას, ეროვნული ჩაგვრა მიაჩნდა. მისი აზრით, პირველი დავიწყებული უნდა იქნას, სადაც მეორე, რათა, შეერთებული ძალით, შესაძლებელი გახდეს საერთო მტრის მოსპობა. "ალავერდის", "პოეტისა და ჩვენების" ავტორი საბრძოლო სულისკვეთებით იმსჭვალება, როცა საქმე სამშობლოს დახსნას ეხება. აქ, მისი გლეხებიც

პროტესტანტებია. შეზარხოშებული ქობულეთლები მედგრად მღერიან: "ვის არ მოუნდეს ღლეულსა

შებრძოლა, შეჯახებათ,
მერჩოლთა ზარის დაცემა,
მამულის ალყავებათ?".

სიმღერა, როგორც ლირიკული ლექსის თავისებური ფორმა, გამოყენებული აქვს მ. გურიელს, მაგრამ ეს ჟანრი არ არის დამახასიათებელი მისთვის.

## თ ა ვ ი VII.

კახაბერი. თარგმნა "ილიადას" და "ლაოკოონის". უკანასკნელი დღეები. ფიზიკური და სულიერი დაცემა. სისტემატიური ღვინის სმა. სიკვდილი და დასაფლავება.

მ. გურიელის მიწერ-მოწერიდან სჩანს, რომ 1884 წ. იგი მძიმეთ დაშავებულა. მთელი წლის განმავლობაში უმკურნალია. 1885წ. 16 თებერვლის თარიღით, მამია, ფოთიდან წერილს უგზავნის ჯაბას: "ეხლა აქიმობა დავიწყე და უკეთ შევიქენი; ყბა და თითი თითქმის მომირჩა ორივე, ფეხი ჯერ კიდევ მაწუხებს რამდენიმე, მარა ისიც კეთულობს. მეტი რა უნდა მოგწერო, თუ ჩამოხვალ და მნახავ ძლიერ მაამებ". ავადმყოფობა 1885 წ. ბოლომდე გაგრძელებულა.

პოეტის გულისყური მიპყრობილია, ერთადერთი ვაჟისადმი, კახაბერისადმი, რომელიც პეტერბურგში სწავლობს, ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. მამიას გატაცებით უყვარს შვილი. სურს დაემსგავსოს იგი, გურიელთა ისტორიულ გმირს კახაბერს, -

"ისმალთ ძალთ მლეწველს, უბადლო მამაცს, მას ლომსა და ბრძენს შეუპოვარსა". 1/

მისადმი მიძღვნილ ლექსში, პოეტი სწერს:

"ჩემო კახაბერ, ჩემო გულო, თვით ჩემო ჰაზრო,
მთლად კახაბერსა დაემგვანე, ტონე იხმარე!
მეტი რა გითხრა, დაგარიგო, თავი გაბეზრო,
სამშობლოისთვის სულ იზრუნე, სულ იმწუხარე!"
/ჩემს შვილს კახაბერს. 1887 წ./.

მამია მატერიალურ დახმარებას უწევდა შვილს. კირ. ლორთქიფანიძის არქივში დაცულია კახაბერის ბარათები, სადაც ნათლად სჩანს მამიას მზრუნველობა. ეკონომიურად ძალზე შევიწროებული პოეტი, ახერხებს საარსებო ფული მიაწვდინოს კახაბერს.

თბილისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, კახაბერი ლენინგრადს გაემგზავრა. იქ იმყოფებოდა რამოდენიმე წელს / 1887-88 წ.წ./. ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შესასვლელი გამოცდები კარგად ჩააბარა. ქაბუკის გული, მოშორებული სამშობლოს, ოჯახს, ნათესავ-მეგობრებს, დანაღვლიანებული იყო. განსაკუთრებით მამის დაშორება სტანჯავდა. 1887წ. 28 ოქტომბრის თარიღით გამოგზავნილ ბარათში ვკითხულობთ: "ეჰ, სადა ხარ საყვარელო მამავ; ნეტაი იჯდე ეხლა აქ, ჩემთან, რო გადაგეხვიო და გაკოცო, როგორც მინდა!.. ფიქრში ვკოცნი შენს მაღალ შუბლს... თუ გიყვარვარ, ერთი შენი პორტრეტი გადაიღე, როგორც ამ ხანში ხარ და გამომიგზავნე, რომ დავიკიდო ჩემს თვალს წინ და წარმოვიდგინო, რომ ჩემთანა ხარ... ამას სხვების საკითხავად არა ვწერ, არც იმიტომ ვწერ რო დაგიმტკიცო ჩემი სიყვარული... არა! Просто, невольно чувства вырвались из души!"

---

1/ როცა მამია გაშორდა მეუღლეს, კახაბერი დედის, მარიამ მელიქიშვილის, მზრუნველობის ქვეშ იზრდებოდა. ბავშვი დიდი ხნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო მამას.

მამია ყოველ ღონეს ხმარობს, შეუქმნას შვილს სწავლისათვის ნორმალური პირობები. ეკონომიური მდგომარეობა არ უწყობს ხელს სისტემატიურად გადაუგზავნოს ფული. სესხის ადებით, მამულის გაყიდვით, ნაწილობრივ ახერხებს კახაბერის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. პოეტი, ხშირად, სესხისთვის მიმართავს ნაცნობ-მეგობრებს /მაგ. კირილე ლორთქიფანიძეს/. ხშირად ვერ შოულობს გასაგზავნ ფულს. ეს საშინლად სტანჯავს.

ჭაბუკი კახაბერის ძარღვებში არისტოკრატული სისხლი სჩქეფდა. იგი ქედმაღალი, თავმოყვარე ახალგაზრდა იყო. ქართული კულტურისა და ტრადიციების სიყვარული მასში საკმაოდ სჩანს. სამშობლოს მოშორებული, ცდილობს არ დაივიწყოს ქართული ენა და ლიტერატურა.

"უნდა გითხრა, სწერს კახაბერი მამას, რო როცა თავისუფლათ ვართ და არა ვსწავლობთ, ჩვენ ვაძლევთ ყურადღებას ქართულ ენას, ვეფხის ტყაოსანს ვთარგმნით და ზეპირათაც ვსწავლობთ. ჩვენი ყმაწვილ კაცობა აქა ძალიან ისარჯება ქართულ ენისათვის, ამიტომ, რო იცის რო მამულის ენის უცოდნელობა არის სირცხვილი ჩვენის ხალხისა; არც ერთი ხალხი არ არის ქვეყნიერობაზე თავისი ენა არ იცოდეს და ჩვენი ყმაწვილები კი ფრანცულს და ანგლიურს უკეთესათ ლაპარაკობენ ვიდრე თავის ენასა, ეგრევე მეცა. მაგრამ ვეცდები, ვისწავლი ჩვენს ენას, როდესაც კარგა მეცოდინება, მაშინ მარტო შევიძლებ ვთქვა, რომ ქართველი ვარ".

კახაბერს ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სწავლა არ გაუგრძელებია. 1888 წ. მაისში, თავს ანებებს ინსტიტუტს. იგი რჩევაშია, ვერ გადაუწყვეტია, რომელ გზას გაჰყვეს. ტექნოლოგობა არ სურს. სამხედრო სამსახური? ეს დარგი მოსწონს, იტაცებს: აი როგორი აღფრთოვანებით ხატავს იგი სამხედრო სამსახურის მიმზიდველობას:

"Эта служба привлекает... потому, что вместе с нею мне рисуется жизнь беззаботная, веселая, жизнь, в которой среди лихих товарищей, гусаров что-ли, я мог бы отдаться поэзии и песням и всем тем предметам, которые так привлекательны горячей юности. А смерть, которая следует за такою жизнью, смерть среди грохота пушек и свиста пуль, когда увлеченный общим потоком, забудешь все на свете, рынешься, как лев в толпу врагов и не заметишь даже, как шальной свинец вонзится тебе в грудь и примет смерть тебя в об"ятия, разве смерть это не в сто раз привлекательное медленного испускания духа на постели, окруженной плачущими родными?".

კახაბერს არ ავიწყდება სამშობლოს სამსახური. მხიარული, თავზეხელაღებული, სამხედრო ცხოვრება სამშობლოს, ხალხს, ვერაფერს მისცემს. გადასწყვეტს დაანებოს თავი სამხედრო სამსახურზე ზრუნვას და სამთო ინსტიტუტში შევიდეს. კახაბერმა განზრახვა ვერ განახორციელა. ამის შემდეგ მალე დაიღუპა.

ამ პერიოდში მ. გურიელი, უმთავრესად, მთარგმნელობას ეწევა. სთარგმნის მხატვრულ და პუბლიცისტური ხასიათის ნაწერებს. "ივერიის" რედაქციისადმი გაგზავნილ მიმართვაში, პოეტი სწერს: "ბ. რედაქტორო! სხვა და სხვა მიზეზისა გამო გვიან მხოლოდ მომეცა სიამოვნება თქვენის პატივცემული ივერიის პირველი ნომრის წაკითხვისა. სხვათა ცნობათა შორის იყო მოხსენებული, რომ ვითომც მე კიდევაც მეთარგმნოს: ლესსინგის "ნათან ბრძენი" / Натан мудрый / და ვსთარგმნიდე ჰომიროსის ილიადას. ამისთვის რომ მკითხველი

საზოგადოება არ დარჩეს უბრალო მოლოდებაში, საჭიროთ ვსთვლი მოვახსენოთ: მართალია მე ვსთარგმნე ლესსინგის "საზღვარი პოეზიისა და მხატვრობისა" და არა "ნათან ბრძენი" და აგრეთვე ილიადის- ხმა პირველი".

ლესსინგის "ლაოკოონი, ანუ საზღვარი პოეზიისა და მხატვრობისა" / Laokoon, oder über die Grenzen der Málerei und Poesie /, 29 თავისგან შედგება. იგი მთლიანად უთარგმნია მამის. პოეტის არქივში თარგმანი 147 და 170 ავტოგრაფებით არის წარმოდგენილი. მ. გურიელი ზერელობას იჩენს ლესსინგის ესტეტიკური სისტემისა და ტერმინოლოგიის ცოდნაში. როგორც ვიცით "ლაოკოონში" უამრავი ლექსებია მოტანილი ბერძნული, გერმანული, ინგლისური და ფრანგული პოეზიიდან.

მამის, უმრავლეს შემთხვევაში, მრავალწერტილი აქვს დასმული, აღნიშნული ლექსების თარგმანის ნაცვლად. თარგმანი სუსტია. მასში სჩანს ზერელე ცოდნა, არამარტო ლესსინგის ესტეტიკური სისტემისა, არამედ, თვით "ლაოკოონის" ტექსტის.

1889 წ. მ. გურიელი სთარგმნის ჰომეროსის "ილიადას" /პირველი სიმღერა/. სულიერად დაცემულმა პოეტმა უძველეს წარსულს, ანტიურობას, მიმართა.

ჰომეროსის უკვდავ პოემებს, "ილიადა" და "ოდისეას" ქართველები იცნობდნენ, ჯერ კიდევ, ძველ საუკუნეებში. ჩვენ გვაქვს წერილობითი მოწმობა იმისა, რომ მე-9 საუკუნეში ქართველებს სცოდნიათ ჰომეროსის პოემების შედგენილობა.[1] ჰომეროსი და მისი გმირები დამოწმებულნი არიან

---

1/ პროფ. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. 2.

ლიტერატურულ ძეგლებში /"ქართლის ცხოვრება", "თამარიანი", ი.ბატონიშვილის "კალმასობა", ბესიკის პოემა "რუხის ბრძოლა" და სხვ./. "ილიადას" მთლიანი პროზითი თარგმანი ეკუთვნის მე-19 ს.პირველ მეოთხედს.[1]

მე-18-19 ს.ს. რუსულ ენაზე ცნობილი იყო "ილიადას" თარგმანები: კოსტროვისა /გამოიცა 1787 წ./, ი.მარტინოვისა /პროზაული თარგმანი, გამოიცა 1823 წ./, გნედიჩისა /1826 წ./ და სხვ. მამიას უსარგებლია ნ.ი.გნედიჩის თარგმანით /1884წ. გამოცემა/.[2]

ანტიური ლიტერატურის გენიალური ძეგლი "ილიადა", დღესაც "მიუწვდომელი იდეალისა და ნორმის ხასიათს ინარჩუნებს" /მარქსი/, ამიტომ ყურადსაღებია ქართველი პოეტის მიერ ამ ნაწარმოების წყობილსიტყვაობით თარგმნა.

თარგმანი დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული. ტონური ჰეგზამეტრის რიტმიულობა შაირითაა გადმოცემული. დაბალი და მაღალი შაირის მონაცვლეობა ზოგან მოხდენილად არის გაკეთებული. რითმა ორი და სამმარცვლოვანია. უფრო ხშირად პარალელური რითმებია გამოყენებული. დამაკმაყოფილებლად არის მოცემული პოეტური თქმები და შედარებები. გავიხსენოთ შემდეგი ადგილი: ფესტორიდი შეკრებილ ხალხს აუწყებს: ფების განრისხების მიზეზი ქურუმის, ქრიზეს, შეურაცხყოფაა. უნდა დაუბრუნდეს ქრიზეს ქრიზეიდა. აგამემნონი საშინლად ღელავს. სურათის გადმოსაცემად ჰომეროსი

---

1/ 1836 წ. იასე გარსევანიშვილს უთარგმნია რუსულით ხსენებული ძეგლი /საქ. მუზეუმი, S338/.

2/ ავტოგრაფში/ 152/ თარგმანი, ძირითადად, 16მარცვლოვანი საღექსო სტრიქონით არის წარმოდგენილი. 1897წ. გამოცემაში სტრიქონები დატეხილია.

ასეთ სახეს იღებს:.

Очи его засветились как пламень.

თარგმანში დაწერილია ეს სახე:

თვალები ცეცხლს ისვრიან.

ნესტორის რიტორობას ჰომეროსი ამგვარ ახასიათებს:

Речи, из уст его вещих, сладчайшия меда, лилися.

მამია იმავე შედარებას მიმართავს:

ენა მოქნილი, რიტორი, ამბობს ვით წყარო თაფლისა.

მ. გურიელი, ზოგჯერ, პოეტურ თქმას, სახეს, აფართოებს, ავრცე-ლებს. მაგ.:

Если дарует Зевс крепкостенную Трою разрушить.

თუ ზევსმა მოგვცა შეძლება, ავიღეთ ციხე-კოშკები,

და ტროადის დავლეწეთ შეუმუსრავი კედლები.

Девять дней на воинство божии стрелы летали.

ცხრა დღეს ისხმოდა, ვით წვიმა, ჯარებზე იმ ღვთის ისრები.

თარგმანში გვხვდება სიტყვები: "დაცავსთმო", "მოცაპკვდება", "ალცავილესა", "წარსთქვა", "ვიშიშვი" და სხვ., რომელთა ხმარება ქართული კლასიკური ლიტერატურის ლექსიკის გავლენით აიხსნება.

თარგმანში, ძირითადად, რითმის ორი სახეა გამოყენე-ბული: ნელი, ეპიური და სწრაფი, დინამიური:

1. მგოსანთა ღმერთო, შეამკე აქილეს პელეიანი,
მწყრალი, ვინც აქაველებსა ათასი მისცა ზიანი.

2. მეფე აქილ გაემართა თვის გემებსა, ჩქარად მფრენსა,
მირმიდონელთ ჯართ უფროსი მენეციდი ახლავს მხნესა.

ასეთი რითმი დაბალი და მაღალი შაირისათვის არის დამახასია-თებელი.

თარგმანს აქვს დეფექტები. ზოგან პოეტური თქმა, შედარება-მეტაფორა, დამახინჯებულად არის გადმოცემული. მაგ.

Он шествовал, ночи подобный.

ბნელს ჰგავს სიჩუმით მისი ბიჯები.

"ბიჯები" უხეშად ისმის.

შემდეგ, - Гнев твой вменяю в ничто...

და შენსა რისხვა-ქადილსა ვსთვლი თავხედობად
ბავშვისა.

რუსულ ტექსტში ვკითხულობთ:

Царь пожиратель народа.

თარგმანი: მეფევ, შემთქვლეფო ხალხების!

ხაზგასმული სიტყვა მკვეთრ დისონანსს იწვევს.

ასევე: Одисей многоумный.

ოდისე, ჭური ჭკვისა.

სწორად არ არის გადმოცემული ეს შედარებაც:

О винопийца, со взорами пса, но с душею еленя![1)]

ლოთო, შეცქერით მურისა მსგავსო, სულით კი კურდღელო!

ანალოგიური ადგილები კიდევ შეიძლებოდა მოგვეყვანა, მაგრამ საილუსტრაციოთ ესეც საკმარისია.

ცხოვრების უკანასკნელ წლებში მამია უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდა. იგი ხშირად მიმართავდა ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებს დახმარებისათვის. 1889 წელს, პოეტი სწერდა მორეულ ნათესავს:

" სულ მდიდარო,
გულ-კლდე მყარო,
ერთგულთ ქედო,
მტერთა ზარო,

-------------------

1/ Елень - олень. /გნედიჩის შენიშვნა/.

ხან ტკბილ-წყარო,
სმენის ქნარო,
და ხან მჭვრეტთა
შესაზარო,
ქვეყნის მხარო,
მოსახმარო,
მითხარ, ვის უნდ
შევადარო?
მეტი აღარ
გამამწარო,
ახლა უნდა
მომეხმარო".

პოეტმა ანალოგიური შინაარსის წერილი გაუგზავნა ნიკო დადიანს.[17] ხშირად სასესხებლადაც ვერ მოუღობდა ფულს. 1890 წ. განიზრახავს მამულის დაგირავებას, ბარათს უგზავნის კირ. ლორთქიფანიძეს და სთხოვს შეატყობინოს დაგირავების პირობები: "ეხლა შენ გთხოვ მიქმნა მეგობრობა და დაწვრილებით მომწერო პირველისავე ფოშტით, თუ რა დოკუმენტები, მოწმობა და სხვა რამ უნდა იმისთვის, რომ სახელმწიფო აზნაურობის ბანკმა მიიღოს მამული გირაოთ და ფულები მომცეს".

ეკონომიურ გაჭირვებას ზედ ერთვის ფიზიკური დაუძლურება. ავადმყოფობამ ძალიან დაასუსტა. 1889 წ. 17 ივნისს, ქუთაისიდან, პოეტი სწერს რძალს, ელენორა თავდგირიძეს: "რაც შეეხება ჩემს პირადობას, შენმა სიცოცხლემ მეტად ავათ ვარ, მარადეული ჩუმი ციება მაქვს ტანში, ზედ კატარი ჯანს მართმევს და ასრე დამასუსტეს

-----------------

1/ ავტოგრაფი 46.

ამ ორმა მოყვრებმა, რომ არც შემიძლია სიარული და არც ხუთი მინუტი ფეხზე დგომა". ფილტვების სისუსტე, რომელიც წინათაც აწვალებდა, უფრო გამძაფრდა, სისხლის ღებინება დაუწყო.

მამია არ აქცევდა ყურადღებას ჯანმრთელობას. სისტემატიურად ღვინოს სვამდა. ფიზიკურად დაუძლურებული პოეტი, სულიერადაც დაეცა. სურდა ბოღმა და ვარამი ღვინის სმაში ჩაეკლა. ი. მეუნარგიის ცნობით, პოეტს თვითმკვლელობაც განუზრახავს: "ერთხელ საღამოს გაეგონა, ვოდკით მთვრალმა კაცმა ცივ წყალში ტანი რომ იბანოს, მოკვდებაო და მთელი ბოთლი ვოდკა დაელია და რიონში გადავარდნილა, მაგრამ ვიღაცას ამოეყვანა იქიდამ. უვნებლად".

პოეტმა 1890 წლის ზაფხული ზღვის პირად, გრიგოლეთში, გაატარა. ჯაბასა და მისი ცოლის, ელეონორას, მზრუნველობამ ცოტათი მოამჯობინა. გრიგოლეთიდან მამია სწერდა დას, ივლითის: "მე ეხლა მოვიკეთე: სისხლიანს აღარ მაფურთხებიებს სრულებით და ციებაც დამეთხუა, მაგრამ სისუსტე მაინც არ მეხსნება". / 1890 წ. 21 ივლისი/.

მამია, მიუხედავათ ფიზიკური დაუძლურებისა, ღვინის სმასა და ქეიფს არ ანებებდა თავს. დამახასიათებელია მეგობრისათვის გაგზავნილი ლექსი, რომელშიაც მოსჩანს პოეტის საქეიფო განწყობილება: "ნიკო ცუდმა ტაროსებმა მოწყენამდის მიგვიყვანა,
აღარ გვესმის არც დუდუკი, არც ჩანგი და არც ჩაგანა.
როცა სადილს მოგვიმზადებ იღუპება სულ ქვეყანა-
საშიშარის წვიმის გამო ვერ მოიმკეს ჩვენში ყანა.
კმაყოფილი ვართ მარად დღე შენს გამო დაპატიჟებით,

ღისაურს სადილს გვიკეთებ და ჩვენ ოზურგეთს
ვისჯებით;
გულით გვინდოდა გწვეოდით ერთად ბრძნებით
და გიყებით -
ტაროსი ნებას არ გვაძლევს არც ეტლით, არცა
ბიჯებით.
არ მიაწერო ვერ მოსვლა შენ ჩვენსა
დაძაბუნებას,
რადგან მტერად გვყავს ტაროსი ის
გიშლის შენს მოსურნებას,
თუ რომ მიიღებ ჩვენს რჩევას და ჩვენს
შენდამი რწმუნებას
ნულარ გვპატიჟობ, დაგვეხსენ, დაემორჩილე
ბუნებას". 1/

1890 წ. ბოლოს პოეტი მიემგზავრება ბათუმში. სურს რუსეთიდან ჩამოსულ აქტიორთა მიერ გამართულ სპექტაკლების ნახვა. შემდეგ, კვლავ ბრუნდება სოფელში, ჯაბასთან.

მ. გურიელის ნუგეში და სათაყვანებელი საგანი პირმშო შვილი, კახაბერი, იყო. კახაბერის თვითმკვლელობის თავზარდამცემი ცნობა, რომელსაც აქ ყოფნის დროს იღებულობს, უკანასკნელ სასიცოცხლო ძარღვს ჩასწყვეტს, ისედაც უკუღმართი ცხოვრებით დატანჯულ, პოეტის გულს.

უკანასკნელად მამია ქუთაისშია. გაუბედურებული პოეტი, ბარბარე ჭყონიას ღარიბულ ქოხს შეაფარებს თავს. ეს ქალი, რომელიც წინათ ნამსახური იყო გურიელების ოჯახში, დედობრივ მზრუნველობას იჩენს მასზე. ჭლექის ბაცილები ძიძგნიან ფიზიკურად დაუძლურებული პოეტის გულმკერდს. 1891 წ. 25 ივლისს,

---

1/ საქ. მუზეუმი /H 3040/. ავტოგრაფი დათარიღებულია 1890 წ. 29 სექტემბრით/ ოზურგეთი/.

ღამის 10 საათზე, სისხლის შარდევანმა ამოხეთქა და რამდენიმე წუთში სამუდამოდ შეწყდა მგოსნის ტანჯული სიცოცხლე.

პოეტის გარდაცვალების ცნობამ, საქართველოს ბევრი კუთხე სამგლოვიარო განწყობილებით მოიცვა. აი რამდენიმე ფაქტი. გორი: ყოველი ქართველი დიდად შეაწუხა მამიას გარდაცვალებამ; ამ მოულოდნელმა ამბავმა ელდასავით მოიცვა [illegible] ყველა ჩვენგანი: არავის სჯეროდა მისი უდროვოდ გარდაცვალების ამბავი... ისე ღრმა იყო მისი პოეზია, ისეთი მძლავრი იყო მისი სიტყვა, რომ ჩვენს გულს იგი ერთობ ღრმად აჭდევია და ეჭდევა კიდევაც, ვინემ გული საგულეს გვექნება. როდესაც ასეთი მძლავრი კაცები იხოცებიან, მათი სიკვდილი გულს არ ეჯერება, გული მათ ვერ იმეტებს, რჩებიან იგინი ჩვენთან ამიერ უკუნისამდე. ეს არის კიდეც უკვდავება კაცისა. ეს ჩვენი გული არის უკვდავი ძეგლი მამიასი და მისთანათა.

ფოთი: განსვენებულის, ჩვენის მამულისათვის თავდადებულის, სახელოვანის პოეტის დაკარგვამ ფოთელებსაც ძლიერ დაგვწვა გული... და სხვ. /"ივერია".1891 წ./ "ივერიის" რედაქციას ანალოგიური განცხადებები მოსდიოდა ბორჯომიდან, ხაშურიდან, ოზურგეთიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან.

პოეტის დასაფლავება მოხდა ქუთაისში, წმ. გიორგის სასაფლაოზე /1891 წ. 28 ივლისს/, იმ ადგილს, -

"სად გრგვინვა ფაზის, მარადის მწყრალის,
უდუდუნებდეს ხმას საამურს".

მრავალრიცხოვან სამგლოვიარო გვირგვინებს ასეთი წარწერები ფარავდნენ:

"დიდებულ ნიჭის პატრონმა ვერ მოიპოვა გზა ფართო,
წუთისოფელმა დასცანხა, ძალა უღრთოთ წაართო.
მაგრამ რაცა ქნა, იმითაც მსწრაფლ მოიხვეჭა სახელი:
იყო ღრმა გრძნობის პოეტი და გონიერათ მზრახველი".

/ მ. კალანდარიშვილი, ი. ხელაძე, ი. კილაძე/.

"ვეღარ მოვისმენთ კვლავ ჩანგსა მამიას ცეცხლის მგზნებარეს,
მაღ ვსწუხვართ, თვარა რაც წერა ძეგლად დარჩება ჩვენს მხარეს!
მთავრის შეო იყო და ლექსით მთავრობდა გრძნობას მღელვარეს,
ჯავარი ვარდანიძეთა მასთან იმარხვის სამარეს".

/ილ. ჭყონია/.

სანამ ცხედარს მიაბარებდნენ უკანასკნელ სავანეს, კუბო დასდგეს წმ. გიორგის ეკლესიაში. აქ, რამდენიმე პირმა წარმოსთქვა სიტყვა და ერთმა წაიკითხა ლექსი. სიტყვები წარმოსთქვეს ნ. მენშიკოვმა- შავიზღვის პოლკის ოფიცერმა და პოეტმა გრ. აბაშიძემ. სილოვან ხუნდაძემ წაიკითხა ლექსი.

მოგვყავს სიტყვა გრ. აბაშიძისა.

"ცხოვრების ნიშნად სიმართლე გქონდეს
და სიყვარული მოძმეთა ვალად,
სამშობლო შენი მარად გახსოვდეს,
თუ კი გსურს გახდე ადამიანად"...

აი, ეს დიდებული მოძღვრება ეკუთვნის ამ ჩვენთვის ძვირფასს ადამიანს, ჩვენგან დაუვიწყარ მოძმეს, რომელიც დღეს ჩვენ წინ გულ-ხელ დაკრეფილი მოგვთხოვს ქრისტიანულ ვალებს: შენდობას და მოტევებას. ამ მოკლე, მაგრამ მაღალ-მგრძნობიარე შაირში არის დასახული იმისი სამარადისო მცნება, რომელსაც განსვენებული ატაცებით და იმედნეულებით აღვიარებდა და რომელსაც არ განშორებია დღემდის, საფლავის კა-

რებამდის; ამაში არის მისი ყოველდღიური აღსარება. ეს იყო მისი გულწრფელი ლოცვა, რომელსაც ციურის ხმებით შეღაღადე-ბდა თავის საყვარელ სამშობლოის არე-მარეს. თუმცა განსვენე-ბულს, როგორც საზოგადოდ უმეტეს ნაწილს კაცობრიობისას, და განსაკუთრებით პოეტს, მრავალი საჭირბოროტო მოვლენა გადაღო-ბებია ცხოვრების გზაზე, ყოველ გვარი სატანჯველი ცხოვრების ტალღები შესჯახებია იმის გულის ფიცარს; თუმც "ვაი" და ცრემლის მეტი მას ცხოვრებაში თითქმის არა მოუპოვებია, მაგრამ მისი მადლიანი არსება პირადის მწუხარებით არ შემკრთალა, არად შეუმჩნევია და სასოწარკვეთილებას არ მისცემია!

მისი ცრემლი, მისი გოდება იყო მხოლოდ გამომსახვე-ლი საზოგადო მწუხარებისა, მისი ავ-კარგიანობისა; თავის ჩანგით იგი ჰსახავდა მამულის იმედებს, რომლისადმი სა-სოება გულში განსვენებულს არ ამოუშლია... შეიძლება ამით არ გარდახადოს ყოველგვარი მოვალეობა ცხოვრებისათვის, მაგრამ მისი სამსახური და ღვაწლი მწერლობის ასპარეზზე არ არის დასავიწყებელი და ჩვენც ნიშნად მადლობისა ვუნატროთ საუკუნო მშვიდობა ჩვენს მოყვარულს, ჩვენგან დაუვიწყარ პოეტს".

ლექსი სილოვან ხუნდაძისა.

პოეტო! ზეცამ აგავსო
ნიჭით და გრძნობით ძალზედა;
ბნელს ანათებდი, ბრწყინავდი
შენ საქართველოს ცაზედა!
მაგრამ ცხოვრებამ დაგტანჯა,
ძალა უთოდ წაგართო:
დიდებულ ნიჭის პატრონმა
მით ვერ იპოვე გზა ფართო...

რაც გსურდა, ყველა ვერა სთქვი, -
საწუთრომ აღარ გაცალა:
შენს გრძნობას მახე დაუგო,
მოგწამლა, გასვა სამსალა...
ხოლო რაცა სთქვი, იმითაც
მსწრაფლ მოიხვეჭე სახელი:
იყავ ღრმა გრძნობის პოეტი
და გონიერად მზრახველი,—
ანგელოსებრივ ფრთებ გაშლით,
ცეცხლის მგზნებარე თვალებით, -
ვინ გვითხრას შენებრ შაირი,
მოგვხიბლოს ციურ ძალებით ?!
ჯერ კიდევ ხალხის ღვიძების,
გამოფხიზლების ჟამია, -
და ვაი, რომე აღარ გვყავს
სიტყვით მხიბლავი მამია! 1/

მოყვანილ ფაქტებსა და ცნობებში გაზვიადებულია პოეტის გარდაცვალებით გამოწვეული დანაკლისი. მ. გურიელის პოეტური ხმა, როგორც დავინახეთ, ასეთი მოცულობისა არ ყოფილა. თვით მამიასაც არ ჰქონია ამისი პრეტენზია. პოეტს სურდა, მხოლოდ, - "ახალი ქართული ლიტერატურის საძირკველის გებაში მასაც მიეღო მონაწილეობა და დაეშენებია ერთი ქვა". ვფიქრობთ, მამიამ ეს მისია შეასრულა.

ამით დავასრულეთ მ. გურიელის ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვა. საბოლოო დასკვნები ასეთია:

---

1/ საზოგადოება, პრესა, გამოეხმაურა პოეტის სიკვდილს. პერიოდულ გამოცემებში დაიბეჭდა სტატიები და ლექსები. "ივერიაში" მოწინავე სამგლოვიარო წერილი გამოქვეყნდა, ასევე "მწყემსსა" და „Новое обозрение"-ში. საინტერესოა დუტუ მეგრელის ლექსი- "მ. დაზელის გარდაცვალების გამო" /ივერია. 1891წ. N 164/.

1. გურიელების გვარი ძველი წარმოშობისაა. პირველი გურიელი, რომელსაც იხსენიებს ისტორია, ცხოვრობდა მე-13 საუკუნეში. გურიელთა გენეალოგიური შტოს აღდგენა შესაძლებელი ხდება მე-16 საუკუნიდან.

2. უკანასკნელი მთავრის, მამია გურიელის, დროს გურიის ეკონომიურ ცხოვრებაში შესამჩნევი ხდება სავაჭრო-სასაქონლო მეურნეობის განვითარება. რუსეთის კაპიტალის ინტერესები მოითხოვს საქართველოს მთლიან ადმინისტრაციულ ერთეულად გადაქცევას, სამთავროთა გაუქმებას. მე-19 ს. ოციან წლებში გურიის სამთავრო უქმდება.

3. პეტრის მამა, დავით გურიელი, მთავრის ტიტულის პრეტენდენტია. მეფის რუსეთის მართველობით უკმაყოფილო დავითი, პირველ ხანებში, პოლიტიკური ემიგრანტი ხდება. დედა, ეკატერინე, გონებამახვილი და მწიგნობარი ქალი იყო.

4. დავით გურიელის სასახლეში ფეოდალური წესები და ტრადიციები იყო გაბატონებული. მე-19 ს. 40-50-იან წლებში სავაჭრო კაპიტალის განვითარებამ მძლავრად დაურტყო ორონა ბატონყმურ სისტემაზე დამყარებულ ნატურალურ მეურნეობას. უმთავრესად ამ პროცესის "მსხვერპლი" გახდა დავით გურიელის ეკონომიური ავლადიდება.

5. მამია დავით გურიელის მეორე შვილია. პეტრის ბავშვობა და ყრმობა არახელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდა. ცოტა ხანს გაგრძელდა ძიძა-აღმზრდელის გავლენა ნორჩ მამიაზე. ბავშვის გონებრივი განვითარება შეაფერხა "დარბაზის ერისა" და შინაყმების გარემოცვამ.

6. მამიამ ადრე დაანება თავი საშუალო სასწავლებელს. ფეოდალური ტრადიციის მიხედვით სამხედრო სამსახურში შევიდა. ფეოდალურ განცხრომაში გატარებული ცხოვრების უდარ-

დელი პერიოდი სასიამოვნოდ ეზმანებოდა პოეტს და ამიტომ სამხედრო სამსახურზე გული აუცრუვდა.

7. მ.გურიელის პოეზია რომანტიული ლირიკის დაცემის გამომხატველია. მის შემოქმედებაში მოცემული გვაქვს რომანტიული პოეზიის მოტივების გადამღერება, რაც ხშირად მეტად მკრთალად არის შესრულებული. თემატიკა, ჟანრი, მოტივები, რომანტიული ლირიკიდან არის, უმთავრესად, ნასესხები. ამასთან ერთად შეიმჩნევა რეალიზმის ტენდენციები.

8. შემოქმედების იდეურ-შინაარსობრივი მხარის ამ-ყოლეობით, მ.გურიელის პოეზიაში გვხვდება რომანტიული და რეალისტური ჟანრები: ერთის მხრივ-რომანტიული პოემა, ელეგია, მიძღვნა, ალბომში; მეორეს მხრივ- არაკი, სატირა და სხვა.

9. რეფორმის შემდეგ, საქართველოს კაპიტალიზაციის პროცესმა გურიის ფეოდალური არისტოკრატია რღვევის გზაზე დააყენა. სოციალ-ეკონომიურმა რღვევამ კლასის ფსიქო-იდეოლოგიას თავისი დაღი დაასვა. წარსულის ლანდებში გადაიყვანა და სევდით გამსჭვალა იგი. გამახვილდა ასოციალური ინსტინქტები. გადაჭარბებულმა მგრძნობელობამ მოიცვა ფსიქიკა. ამით უნდა აიხსნას ეროსის სიჭარბე მ.გურიელის შემოქმედებაში.

10. მამიამ ბრძოლის ველზე, კარვის ქვეშ, ამოიდგა პირველად პოეტური ხმა. ამ ხანის ლექსები, უმთავრესად, სატრფიალო ხასიათისაა, რაც წინა თეზისში აღნიშნული სოციალური მიზეზით უნდა აიხსნას. პოეტის მთელი რიგი სატრფიალო ლექსები უშუალო განცდის ნიადაგზეა აღმოცენებული, მომენტითაა გამოწვეული /"ბაბილინა გურიელის ქალს", "დესპინე გურიელის ქალს", "ივლიტე ნაკაშიძის ქალს", "ფარვანა", "სამაჯე", "სატრფოსადმი" , "ს...თს", "ს...ს", "ჩემს სურათზე"/.

11. მ.გურიელის სატრფიალო ლექსებში საკმაო სიძლიერით არის წარმოდგენილი სიყვარულის ეროტიული მხარე-ვნება- ხორციელობა / "ეხლაც კალამი ჩემი საბრალო" , "ჩემს კეკელას", " მეფე რომ ვიყო", "სურათი", "არ მომწონს" , " უცხო ქვეყნებს"/.

პოეტი სიყვარულის რომანტიულ გაგებას თავისებურ ხარკს აძლევს /" კატო აბაშიძის ქალს" , "ბაირონული", "რაშიდი" /. იგი, ზოგჯერ, სიყვარულს სახავს, როგორც ტრაგიკულ გრძნობას / "მეტს არას ვიტყვი" , " მადლობელი ვარ" და სხვ./.

12. მამიას შემოქმედებაში, განსაკუთრებით სატრფიალო ლექსებში, ძირითადი ჟანრი მიძღვნაა. პოეტი, ხშირად როცა ქალის სილამაზესა და მშვენიერებას გადმოსცემს, მიმართავს ასტრალურ შედარება- მეტაფორებს, რომელთაც ორიგინალობის ნაკლები პრეტენზია აქვთ. მგოსნისთვის ეს დამახასიათებელი პოეტური ხერხია.

13. მ.გურიელის შემოქმედების ლეიტ-მოტივი ეროვნულ-პატრიოტულია. მის მსოფლმხედველობაში რელიეფურად მოსჩანს საქართველოს წარსული "დიდების" [illegible] / "[illegible]", "დიდების" იდეალიზაცია /"ფიქრი ყრმობისა", "მოხუცის ბაასი", "ნადსონი", "დილას ერთხა მარტო ვჯექ... ", "პოეტი და ჩვენება", "კარჩხალის მთები", "ალავერდი"/. პოეტი, ზოგჯერ, წარსულის უპირატესობის ჩვენებისათვის დაპირისპირებას, კონტრასტს მიმართავს /"ქალები", "ქართლი შენა ხარ?"/.

14. პოეტი, მთელ რიგ ლექსებში, დამაჯერებელი სახეებით იძლევა მეფის რუსეთის დიდმპყრობელურ პოლიტიკას. თავის განწყობილებებს ალეგორიული ფორმით გამოხატავს /"შიშია", "ირმის ნაამბობი"/.

15. მ.გურიელის მსოფლმხედველობაში პესიმიზმის შეჭრა გამოიწვია ეროვნულმა ჩაგვრამ, არისტოკრატიის დაცემა-განადგურებამ და პირადი ცხოვრების აფორიაქებამ. რომანტიზმის სტილიური ნიშნები: სევდა, ინდივიდუალიზმი, ცრემლი, უმეგობრობა, რელიგიურად მოსჩანს პოეტის ლექსებში, რომლებიც უმთავრესად, 70-იან წლების მეორე ნახევრამდეა დაწერილი /"კითხვა" "ფანტაზია", "პოეტი" და ჩვენება"- პირველი ვარიანტი, "რაშიდი", "ჩემს რძალს ელეონორას", "შენთვის ბუნებას მოუცია ყოველი ღირსება". ბარათები: ელეონორა გურიელისადმი, ჯაბა გურიელისადმი/. მამია ამ პერიოდში სთარგმნის "გიაურსა" და "დემონს". "დემონის" თარგმანი სუსტია, იგი ვერ იძლევა ორიგინალის პოეტური სიძლიერის შთაბეჭდილებას. პოეტი, ამ პერიოდის ლექსებში, საწინააღმდეგო განწყობილებასაც ამჟღავნებს, გვაძლევს იმედის მოტივს /"ადამიანი", "მოხუცის ბაასი", "ჩემს ძმას ჯაბას", "სნეული", "პოემიდან რაშიდ ვარდან-თოლი"/.

16. მამია უარყოფითად არის განწყობილი ახალი ეკონომიური ძალის, სავაჭრო კაპიტალის, მიმართ. იგი ცდილობს დაბალ სოციალურ ფენებში, განსაკუთრებით გლეხობაში, გამონახოს დასაყრდენი და დაუპირისპიროს კაპიტალის გამანადგურებელ შემოტევას. ამით უნდა აიხსნას მგოსნის დემოკრატიული ტენდენცია/რ.ბიორნსის ლექსის თარგმნა, "ნაგომრის ქალაქობა", "კეთილი მაგალითი"/.

17. "რაშიდ ვარდან-თოლის" შემოქმედებითი ისტორია 70-იან წლების ბოლო ხანებს ხვდება. ნაწარმოების ფაბულარული სქემა რომანტიული პოემის ქარგაზეა აგებული. რაშიდი რომანტიული გმირის ყალიბზეა ჩამოსხმული, რომელშიც მოსჩანს ავტორის განწყობილება. პოემის მეორე გმირიც, ვისია, პესიმიზმით არის გამსჭვალული. "რაშიდში" გვხვდება მთელი რიგი მხატვრუ-

კომპოზიციური და ენობრივი დეფექტები. პოემას დადებითი მხარეებიც აქვს, რაც, უმთავრესად, ქალის მშვენიერების, სევდა-მწუხარების, პაცალური სცენებისა და სხვ. გადმოცემაში მდგომარეობს.

18. მ. გურიელი გონებამახვილი და მოსწრებული სიტყვის კაცი იყო. ნაცნობ-მეგობართა წრეში გამოირჩეოდა ზმების, შაირებისა და საექსპრომტო ლექსების გამოთქმით. მამია მოხდენილი დეკლამატორიც იყო: პატრიოტული ლექსების დეკლამაციით "ჩაბალახ ახდილი" სამშობლოს ღირსების აღდგენა და დაცვა სურდა.

19. დაახლოებით 80-იან წლების დასაწყისიდან, მ. გურიელის პოეზიაში ნელდება საქართველოს წარსული "დიდების" იდეალიზაცია და სევდა-ნაღველი, მახვილდება იმედის მოტივი /"ნატვრა", "რუსულიდან", "შევჩენკოს ფიქრი", "დასრულდა ესეც", "ე.პ.ვ. ქალზედ" და სხვ./. იმედის მოტივის გამხვილება "თერგდალეულთა" გავლენით უნდა აიხსნას.

20. მამია თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას ეჭვის თვალით უცქერის. გესლიანი ირონიით ამხელს არისტოკრატიის უგუნურებასა და გაუტანლობას, დასცინის მათ სიზარმაცეს /"ანდერძი", "რჩევა და დარიგება"/. ეს დაცინვა-ირონია კლასობრივი დაკვეთით არის ნაკარნახევი, თვითკრიტიკის მიზანი აქვს. მამიას შემოქმედების ეს მხარე "თერგდალეულთა", განსაკუთრებით ილიასა და აკაკის, იდეური და სტილური გავლენის დაღს ატარებს.

21. პოეტის შემოქმედებაში, 80-იან წლებში, კვლავ იჩენს თავს გლეხური ყოფის საკითხი, რაც მე-16 თეზისში აღნიშნული სოციალური მიზეზით უნდა აიხსნას. მ. გურიელმა

მსოფლმხედველობის შეზღუდულობის გამო, ვერ შესძლო დაჩაგრული სოციალური ფენის, გლეხობის, დუხჭირი ყოფა-ცხოვრების განცდა და სწორი ასახვა. მან ზეციურ ინსტანციაში გადაიტანა გლეხს ამქვეყნიურ უსამართლობაზე საჩივარი /"ქობულეთლების ყანური სიმღერა"/.

22. მამია ცხოვრების ბოლო წლებში, უმთავრესად, მთარგმნელობას ეწევა. სულიერად დაცემულმა პოეტმა უძველეს წარსულს, ანტიკურობას, მიმართა. სთარგმნის ჰომეროსის "ილიადას"/პირველი სიმღერა/. თარგმანი შედარებით დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული. ამავე პერიოდში მამიას მიერ ლესსინგის "ლაოკოონის" თარგმანში სჩანს ზერელე ცოდნა, არა მარტო ლესსინგის ესტეტიკური სისტემისა, არამედ თვით ტექსტის.

23. პოეტის ენა, ლექსიკა, სტილიურ დეფექტებს საკმაოდ შეიცავს. შეიმჩნევა შემდეგი მომენტები: გურული დიალექტის გავლენა, მორფოლოგიურ-სინტაქსური არქაიზმი, უსწორო გამოთქმები, რუსიციზმები და სხვა.

24. მამიას პოეტური მეტყველება ღარიბია მხატვრული გამოსახვის საშუალებებით. არ აქცევს სათანადო ყურადღებას პოეტური თქმის, სახის, ზუსტ გამოკვეთასა და დახვეწას. ორიგინალური შედარება-მეტაფორების ნაკლებად გვხვდება პოეტის ლექსებში.

25. მამიას ლექსებს ინსტრუმენტალობა აკლია. პოეტი უმთავრესად იყენებს ქალურ და დაქტილურ რითმებს. დამახასიათებელია ათმარცვლიანი ზომის ოთხსტრიქონიანი ტაეპი, ჯვარედინი რითმით. აქვს შაირის ზომით დაწერილი ლექსები, რაც კლასიკური პოეზიისადმი მიბაძვას წარმოადგენს.

## ტექსტში გამოყენებული ხელნაწერები.

ც. არქივი: ქართლ-კახეთ-იმერეთის სახაზინო პალატის ანგარიში 1841- 45 წ.წ.

მთაწმინდის მწერალთა მუზეუმი: ბაირონის "ყველაფრის უწინ" თარგმანი, ავტოგრაფი 148.

საქ. მუზეუმი: 1. მ. გურიელის ლექსი "ნიკო ცუდმა ტაროსებმა", ავტოგრაფი H3040.

2. "ილიადა", თარგმნილი ი. გარსევანიშვილის მიერ S338.

3. ყ. თავდგირიძის ლექსები H855.

4. გრ. აბაშიძის "ზღაპარი" H 3047.

ქუთაისის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმი:

1. "ნაგომრის ქალაქობა", ავტოგრაფი 196.
2. "ირმის ნაამბობი", ავტოგრაფები: 84, 95.
3. "ალავერდი", ავტოგრაფი 62.
4. "რაშიდი", ავტოგრაფები: 86, 87; ხელნაწერები: 88, 89.
5. "ვისია", ავტოგრაფი 122.
6. საექსპრომტო ლექსები, ავტოგრაფები: 50, 93.
7. უბის წიგნაკი, ავტოგრაფი /უნომრო/.
8. "მეველის საჭირო განმარტების გამო /უძღვნი ჩვენ ძველ თაობას/", ავტოგრაფი 154.
9. "რილეევიდან", ავტოგრაფი 58.
10. ნ. ა. ნეკრასოვის "სამშობლოს" თარგმანი, ავტოგრაფი 76.
11. "ილიადას" თარგმანი, ავტოგრაფი 152.
12. "შენთვის ბუნებას მოუცია ყოველი ღირსება", კირ. ლორთქიფანიძის მიერ გადაწერილი კრებული 80.
13. "დასრულდა ესეც...", იგივე კრებული.

14. "მეტს არას ვიტყვი", შეტანილია კირ. ლორთქიფანიძის მიერ გადაწერილ კრებულში- 80,96.

15. ავტოგრაფი 99.

16. ავტოგრაფი 108.

17. ავტოგრაფი 141.

18. ბარათი დედისადმი, აბინიდან.

19. -"- გ. წერეთლისადმი /1872წ. სექტემბერი/.

20. -"- კირ. ლორთქიფანიძისადმი /1879წ. 17 ივნისი/.

21. -"- კირ. ლორთქიფანიძისადმი /1890 წ. 7 სექტემბერი/.

22. -"- ჯაბა გურიელისადმი /1881 წ. 11 იანვარი/.

23. -"- ჯაბა გურიელისადმი /1885წ. 16 თებერვალი/.

24. -"- ჯაბა გურიელისადმი /უთარიღო/.

25. -"- ჯაბა გურიელისადმი /უთარიღო/.

26. -"- ელეონორა თავდგირიძისადმი /1889წ. 17 ივნისი/.

27. -"- ივდითი გურიელისადმი /1890 წ. 21 ივლისი/.

28. -"- ნიკო დადიანისადმი /უთარიღო/.

29. კახაბერის ბარათები მამისადმი /ლენინგრადიდან/.

30. ტელემაკ გურიელის ბარათი მამისადმი/1888 წ. 11 აპრილი/

31. Полный послужной список, Кутаисского Конно-Иррегулярного Полка. Капитана князя Гуриели. Рукопись 39.

32. ხელნაწერები: 91, 110 .

## ტექსტში დასახელებული ლიტერატურა.

1. ЛЕНИН. Аграрный вопрос в России к концу XIX века. (собр.соч.т.XII, изд.1929 г.).

2. И.ДЖАВАХИШВИЛИ- Политическое и социальное движение в Грузии в XIX в.

3. БРАНДЕС - Главные течения в европейской литературе XIX века.

4. А.БЕЛЫЙ - Символизм.

5. К.И.ЧУКОВСКИЙ- Искусство перевода.

6. И.ВИНОГРАДОВ - Борьба за стиль.

7. Ал.ХАХАНОВ - Очерки по истории грузинской словесности. том IУ.

8. Д.БАКРАДЗЕ - Археологическое путешествие по Гурии и Аджаре.

9. Г.ТУМАНОВ - Характеристики и воспоминания.

10. Сборник статистических данных о землевладении и способах хозяйства в пяти губ.Зак.Края.

11. "Новое обозрение". 1891 г. № 2614 /ნ.ნიკოლაძის სტატია/.

12. А к т ы , т.т. УШ,IX,X,XI.

13. საკ. კომუნისტური პარტიის /ბოლშევიკების/ ისტორია.

14. ილ. ჭავჭავაძე. საქართველოს მოამბეზედ /"საქ. მოამბე" 1863 წ. იანვარი/.

15. ილ. ჭავჭავაძე. დიმიტრი ყიფიანი /"ივერია". 1887წ. № 234/.

16. აკ. წერეთელი. ჩემი თავგადასავალი.

17. ი. მეუნარგია. მამია გურიელი /ფაზელი/.

18. ბოროზდინი. სამეგრელო.

19. გ. ლასხიშვილი. მემუარები.

20. კ. ყიფიანი. ჩემი არტისტობის თავგადასავლიდან. /"თემი" 1912 წ. № 64/.

21. ფ. მახარაძე. საქ. მე-19 საუკუნეში. /"მნათობი". 1926წ. №3/.

22. ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი/„თემი". 1911 წ. №8/.

23. პროფ. მ. ზანდუკელი. ახალი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის პრობლემა. /თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები ტ.7/.

24. პროფ. მ. ზანდუკელი. ილია ჭავჭავაძე, როგორც სატირიკოსი. /ილია ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული/.

25. პროფ. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II

26. შ. რადიანი. ლიტ. მემკვიდრეობა.

27. შ. რადიანი. ირ. ევდოშვილის პოეზია. /ირ. ევდოშვილის ლექსები ტ. I, 1935 წ./.

28. „მოგზაური". 1902 წ. № 1-2.

29. „საქ. კალენდარი". 1892 წ.

30. ზ. ჭიჭინაძე. საქ. ბატონ-ყმობის ფაქტიური მასალები. ტ. 4.

31. პროფ. ს. ხუნდაძე. სოც. ისტორიისათვის საქართველოში. ტ. I.

32. ე. ნინოშვილის თხზულებათა კრებული, ტ. I, პროფ. ს. ხუნდაძის რედ.

3 . „ივერია". 1886წ. № 11.

34. „მწყემსი". 1891 წ. № 14.

35. „დროება". 1874წ. № 44/ს. მესხის სტატია/.

36. „კრებული". 1872წ. № 10-12 /გ. წერეთლის სტატია/.

37. „დროება". 1870 წ. № 17

38. მ. გურიელი. კეთილი მაგალითი. /„დროება" 1871 წ. № 38/

39. „კრებული". 1872 წ. №7

40. „კრებული" 1872 წ. № 10

41. „დროება". 1872 წ. № 14

42. „ივერია". 1897წ. № 135 /ხ. გურიელის სტატია/.

43. გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება.

44. „ივერია". 1891 წ. N 164

45. „ივერია". 1909 წ. N 39

46. „დროება". 1870 წ. N5

47. „თეატრი". 1886წ. N 38

48. ლიტერატურული მემკვიდრეობა. /თბ. სახ. უნივერსიტეტის გამოცემა/.

49. G. E. Lessing. Laokoon oder über die Grenzen der Máleréi und Poesie.

50. Raphaël Isarloff. Histoir Géorgie.

## ს ა რ ჩ ე ვ ი.


1. შ ე ს ა ვ ა ლ ი / გვ. 1-4 /
2. თავი პირველი / გვ. 5-17 /
3. თავი მეორე / გვ. 18-41/
4. თავი მესამე / გვ. 42-66 /
5. თავი მეოთხე / გვ. 67- 88/
6. თავი მეხუთე / გვ.89 - 103 /
7. თავი მეექვსე / გვ. 103 - 123/
8. თავი მეშვიდე / გვ. 123 - 137 /
9. დ ა ს კ ვ ნ ა / გვ. 138 - 143/.